ლევან ბოცვაძე

რედაქტორისაგან

გამოცემა ლევან ბოცვაძის ლექსთა კრებული, გადაშლი წიგნს და თქვენ თვალწინ გადაიშლება მეტად საინტერესო შემოქმედება, რომელიც გამოირჩევა ლექსთაწყობის სხვათაგან განსხვავებული მანერით. იგი წააგავს «ვერლიბრს», მაგრამ მასში იგრძნობა საოცარი მუსიკალურობა და ფილოსოფია მისი შინაგანი სამყაროს კარნახით. იგი საინტერესოდ გადმოსცემს თავისი სოფლების ნოღას და კლდეისის ცხოვრების რითმს. ლექსები რომელიც მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდშია შექმნილი ასახავენ, სამშობლოს, ზოგადად მოყვასის სიყვარულს, რომლის გარეშე იჩრდილება სიცოცხლე. ლევან ბოცვაძის, შემოქმედება არ გავს არცერთი პოეტის შემოქმედებას, იგი ინდივიდუალური, საინტერესო და მიმზიდველია. მინდა ვუსურვო ამ საინტერესო, ნიჭიერ ადამიანს შემოქმედებითი წარმატებები, უთვალავი სიკეთე და დიდხანს სიცოცხლე ოჯახთან ერთად.

რედაქტორები;

ზაურ ცერცვაძე.

პროფესორი, მწერალი, მხატვარი,

ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
განათლების აკადემიის აკადემიკოსი: ***რევაზ ძნელაძე***

ეძღვნება

უფროსს მეგობარს ზაურ ცერცვაძეს,
მშენებელს, მხატვარს მწერალს,
საუკეთესოს, როგორც ზედაშეს,
კაცურ ამბების მკერვალს.

შემოქმედებით მუდამ დღე მავალს,
იპყრობდეთ კალმით მწვერვალს,
ჯადოსნურ ფუნჯით დამაშვრალს,
გულსაც უხარებთ მრავალს.

ფრთები შესხმოდეს თქვენი ოჯახის,
ყველა წევრისა ნატვრას,
მუდამ გეხაროთ, ყველას მეგობარს,
პროფესორს, მწერალს, მხატვარს.

07.05.2023.

რევაზ ძნელაძეს

მომავალი დოქტორები,
არ მოგაკლოთ ღმერთმა,
გულითადი მეგობრებიც,
კვლავ შეგძინოთ ღმერთმა.

შვილები და თინათინი,
გიდღეგრძელოთ, რევაზ,
მონაგარი გაგიმრავლდეთ,
მისი ჟამი რეკავს.

სიყვარული გაგიმძაფრდეთ,
მეუღლესთან, ერთად!
ასი წელი მეც გლოცავდეთ,
და იხარეთ ერთხმად.

26.01.2023.

ჩემს კარგ მეგობარს ნოდარ ბაღათინ

ლექსი გოცაძეს

შენ წიგნს ვკითხულობ გულმოდგინებით
ბობოქრობს გული განახარები
ერის შვილი ხარ ნათელმზიანი
ნოდას რომ ლექსად ემსახურები

კარგია შენი ლექსთა კრებული
თავისებური რითმების წყობით
მაგრა ჰაჰათა წარსულს აცოცხლებ
ცხოვრობ უბრალოდ კაცური ყოფით

ჰოზიაა შენთვის მთავარი
შემოქმედებით ზენიტზე დგახარ
შენი ლექსების შინაარსითა
საინტერესო ჰოტენს გავხარ

შემოქმედებით ცაცხლში იწვები
სხვებმაც მოგბაძონ ჭკვა მოკვეთონ
ერთად ერთი ხარ ამ მაქს იჭვები
ბოცვაძეების გვარის ბოკვეთო

ზაური ცერცვაძე 2022 წ



ილია ჭავჭავაძე სკულპტურა: ლ.ბოცვაძისა 1988წ.

ვაჟა ფშაველა სკულპტურა: ლ.ბოცვაძისა 1988წ.

მე დავინახე ის ოკიანე სადაც დაუსრულებლად თვინიერს ხდიან, ოდესღაც აზვირთებულ აწ ნატალღარ ზედაპირს და ნებივრობენ ტიტანები, რასაც მწერლობის უნაპირო უსასრულობა ჰქვია.

ბევრსაც ვერ ვბედე, თუნდაც კითხვით შევჭიდებოდი, ვინძლო ჩემებურად გამეგო, ან სულაც ვერ გამეგო რა ჩაიფიქრეს.

ბევრიც გავიგე, მათი წყალობით, მერე ჩემს თავში აზვირთებულ ტალღებს ვძლიე მე უნებურად და მომინდა ჩემთვის მეთქვა მორიდებულად, თუ როგორ სასიამოვნოდ ძნელი ყოფილა მათი ცქერა შორიდან.

იქ ხომ ისინი ჩვენთვის ტალღებს დალალებს უწნიან სამარადისოდ, რათა ნაპირზე აამაღლონ მკითხველთათვის სულის კარიბჭე.

ჩემი ლექსები

მე კიდევ ერთხელ, აღმოვცენდი ჩემში ლექსებით,

მინდა ვანედლო, მოგონებით ჩემი ფესვები,

იყოს გზამკვლევი, მონაგარის, წესიერებით,

რადგან ერთხელაც, ბევრი წლებით ავითესები.

30.07.2022

სიტყვებს მუდამ, რომ დაედოს რითმა

სიტყვებს მუდამ, რომ დაედოს რითმა,

გაგვინათოს და გაათბოს გული,

დაე მწყობრში ჩააყენოს რიტმმა,

აამღეროს კვლავაც სიყვარული.

23.04.2023

სიკეთე უნდა ადენთო

სიკეთე უნდა ადენთო

და სიყვარულით აღენთო,

სულის სანთლები აღვენთო,

სიმართლით ღმერთი, აღმერთო.

ხან დარია, ხან მათოვს

ჩემსა სიტყვას ვერ წარმოვთქვამ მხატვრულად,

რაც ჩავნიშნე ზეპირადაც არ მახსოვს,

განწყობილი არავისზე ვარ მტრულად,

ფიქრებში კი, ხან დარია, ხან მათოვს.

სხვის გასაჭირს ზოგიერთი განა გრძნობს,

ქარავანი გზას კი დინჯად განაგრძობს,

როცა სადღაც სიძულვილი ნავარდობს,

სიკეთის გზას, სიყვარული განავრცობს.

19.03.23.

სიზმარს შევფიცე
უნებურად აღმოვჩნდი,
პოეზიის ბილიკზე,
განზრახ არა ვფიქრობდი,
უფრო სხვების ქილიკზე.

.....ამ ბილიკზე უვლია
საქართველოს ასაკის;
შოთას, ვაჟას, ილიას,
და ჩონგურით აკაკის.

ტატოს თავის მერანით,
უქროლია სადამდე...
გალას მთვარე მოჰყავდა,
გრანელს ცივი სამარე.

რაც არ უნდა იყო მარგე,
აწი რაღას მოყვები,
შენ კი ვიღას დაეკარგე,
ბილიკს ბანცალ მოჰყვები.....

განგებ ავდექ ვიმართე,
მერე მუზებს მივმართე,
"იქნებ ვინმეს მოვწონდე?!"
..ცოტაც თავი ვიმართლე.

მეც ღმერთისა ვარ შვილი,
მოყვარისა მყვარებელი,
ბილიკს იქით ვერ ვივლი,
ჩემი მუზის მტარებელი. **01.10.2022**

მე თქვენ მიყვარხართ

სიყვარულზე ვერ ვწერ სიტყვას,
რადგან არ მაქვს ამის ახსნა,
ვერ გადმოვცემ, როგორ მიყვარს,
რას ვგრძნობ იმ წუთს, თუნდაც ახლა.

ჩვენ ვიბადებით ამ გრძნობით,
ვის მეტი აქვს და ნაკლები,
განსაზღვრავს ყოფიერება,
ზრუნვა, გარემო თანმხლები.

ესეც სულისა გამოცდა,
საითკენ გადავიხრებით,
ბნელში არ გვინდა ჩვენ მოცდა,
გრძნობა ვამტკიცოთ ფიქრებით.

გონება ერთვის ფიქრებსა?!
შენ უკვე ტყვე ხარ სინდისის,
შავ-თეთრს ამატებ ფერებსა,
ირგვლივ ნათელი დაგიდის.

ცხოვრებაც ლაზათიანი,
შენი ლამაზი გულისთვის,
კაცი ხარ ადამიანი!
გამღები, სიყვარულისთვის.
01.11.2022

აღმაშენებელს

ვინც საქართველო ატარა მხრებით,
მასზე ზრუნვა და ფიქრები თავით,
აღმშენებლობით და არა ნგრევით,
მეც ლექსად გბედე სიტყვები დავით.

08.02.2023.

მეფე თამარს

რა იქნებოდა შოთა რუსთველის, თუ არ თამარი,
ქალი მეფე და ძლევამოსილი მხედართმთავარი,
ფიზიკურადაც ულამაზესი, მზისა სადარი,
სხვა შედევრი და სხვა მეფე ქალი მითხარ სადარი.

14.05.2023 თამარობა

ილიას გზა

ილია მართლის გზით სიარულს
აქვს შინაარსი,
სწორი ნაბიჯით, სიფხიზლისკენ
არს პროზა-ლექსი,
მაშ ვაძლიეროთ საქართველოს
ღერბის ავერსი,
გმირების ხსოვნა, ჩვენ ერთობა,
შვილებს ალერსი.

31.01.23.

ვინერვიულე

ვინერვიულე დაბადებამდე,
ვინერვიულე,
ვინერვიულე როცა გავჩნი,
ვინერვიულე,
ვინერვიულე სკოლის მერხზე,
ვინერვიულე,
ვინერვიულე, საქართველოს ისტორიაზე,
ვინერვიულე, კომკავშირში როცა მიღებდნენ,
ვინერვიულე, ცხრა აპრილზე,
აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე,
ვინერვიულე, მერე ცხადში ამდენ გმირებზე,
ვინერვიულე სამი ბავშვის დაბადებაზე,
ვინერვიულე, მამაჩემზე, დაობლებაზე,
ვინერვიულე სოფელზე და მერე ქალაქზე,
ვინერვიულე პანდემიაზე, ჩემს გარშემო
გარდაცვლილებზე,
ვინერვიულე და მერე ქაღალდზე გადავიტანე,
ვინერვიულე თუ გაიგებენ პოეტობას,
ვინერვიულე,
ვინერვიულე ჩემს სიმაღლეზე,
ვინერვიულე, არაფრისმთქმელ სხვის სიმაღლეზეც,
ვინერვიულებ წარდგენაზე როგორც არასდროს,
ვინერვიულე და ვნერვიულობ ჩვენს მომავალზე.

N 2

ტრამვაით, რომ ავდიოდი,
ბავშვობაში ჩოდრიშვილზე,
კარგად მახსოვს ქუჩები და
მათი ფერი, განი-სიგრძე.

მახსოვს ერთად შეკრებილნი,
თუთის, ლეღვის ძირში, ჩრდილზე,
მეზობლები, სიტყვაზრდილნი,
დიდ სუფრებსაც, როგორ შლიდნენ.

აქეთ ბაღი, იქით სკვერი,
ოთხში მოჰყავთ დომინო,
ფანტანს ეგრიხება წვერი,
მიჯნურ წყვილსა უცდის კინო.

"რაც გინახავს ვეღარ ნახავ",
ცხრა ძმამ თხილი, რომ გაიყო,
ის ბავშვობის მოგონება,
ძალზედ კარგი, რამე იყო.

მახსენდება ნება-ნება,
და მინათებს კვლავ გონებას,
ერთხელ განმეორდეს ნეტა,
არ დავეძებ მე ქონებას.
11.06.2022

17.05.1973.

ორმოცდაათის გამხდარა,
მარად ჩვიდმეტის ეს გული,
წლებს კი იმედი შეჰყარა,
ნახევარს გადაგებული.

აზრებს ღრუბელი გაჰყარა,
გვარად უკვდავი ეს სული,
ცამ კი ცრემლები დაღვარა,
წვიმად, რომ იყო მოსული.

სიბერის ახალგაზრდობა,
ვერცხლია მოოქროული,
ცხოვრების ახლად აზრობა,
შემომაპარა დროული.

17.05.2023

ღვთიური ცეცხლი

ბავშვობაში რომ იტყოდნენ „ვაი მე“,
აძახებდნენ „ვაი შენ და ღვთის ცეცხლი“,
ურწმუნოებს ხშირად უმალავდნენ თურმე..
ეგონათ, რომ უნდა დასცემოდათ მეხი.

„ვაი“-ს ამით ცხოვრებაში არიდებდნენ,
ღვთის ცეცხლით კი ლოცავდნენ და არიგებდნენ,
რწმენის მადლსაც ზეპირ სიტყვად ატარებდნენ,
ბებიები ხშირად ცომზეც ჯვარს სახავდნენ.

15.04.2023.

ცხოვრების ტკბილი საარი

ისიც წავიდა! უკვე რამდენი...
ფიქრობ! რა არის წუთისოფელი,
ერთხელაც ჩემზე გაიფიქრებენ,
სხვა დანარჩენი აქამყოფელნი.

გლოვის წერტილი ახლობელთათვის,
საძვალის თავზე მარმარილოა,
რამდენი ხანი გასტანს ცრემლთათვის,
შენ კი, ხარ უკვე მარადისობა.

სიზმარია, თუ გონი მაწვალებს,
აქა ცხოვრება ჩვენი რა არის?
გავიფიქრე და ექო მაფხიზლებს,
დილის სისხამზე ტკბილი საარის!

22.05.2022

ნებისყოფა

ვინც ინარჩუნა ღირსება,

არ ჩაჰყვა მდარე დინებას,

აწრთო, აკაჟა, თვისება,

არ აჰყვა, მწარე ძინებას.

ვინც არ ატოვა თავის ბუნება,

შეინარჩუნა ბედის ამარა,

ნებით, იკმარა ყოფის ცდუნება,

ვერ მოერიოს დროის ამალა.

17.06.2022.

ცაზე გალაკტიონი

შოთას "ვეფხისტყაოსანი"
და აკაკის "გამზრდელი",
"დიდოსტატის მარჯვენა"და
ვაჟას "გველის-მჭამელი".

ილიასთან ქვაც ღაღადებს,
მგზავრებს ატანს წერილებს,
ყაზბეგს ბერი უხარხარებს,
გონს ვერ უსვამს წერტილებს.

მთაწმინდაზე გალა მთავარეს,
წყნარ ღამეში ანაზებს,
ტატო მიჰქრის უგზოუკლოდ,
მერნის საფრენს ანათებს.

„აი ია“ გაზაფხულზე,
ზამთარს დარდი მიჰქონდეს,
ალიონზე „მე ვხედავ მზეს“
მეტი რაღა მინდოდეს.

14.05.2022

ჩვენი საფიცარი

„მამული, ენა, სარწმუნოება“
ამ მომავლისთვის ზრუნვას აქვს ფასი,
ფიქრი სხვა რამის ამაოება,
მერე ცხოვრება, ყალბი და ფარსი.

ეს კურთხეული, სამოთხის კარი,
იბერიელთა „წმინდა გრაალი“,
ყველა ქართველის ხატი და ჯვარი,
გვაქვს საქართველო ჩვენ საფიცარი.

11.03.2023

ორი ილია!

"მამული, ენა, სარწმუნოება",

"ღმერთი, სამშობლო, ადამიანი",

ილია მართლის ჭეშმარიტება

და პატრიარქის ბრძნული ნათქვამი.

ესეც ქართველთა ქრესტომათია,

კვლავ ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადი",

საქართველო ხომ ანდამატია,

ამ პლანეტაზე, არ ჰყავს ბადალი!

20.03.2022წ

არ დაგანებებ

როცა ილია მამაა ერის,
აკაკის სიტყვას მსოფლიო მღერის,
ვაჟა აცოცლებს ყვავილს და ბალახს,
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარსაც ლახავს.

ტატო მერანით, ვით კატიონი,
ის ჭაბუკია „მარად და მარად“,
გალაქტიკიდან გალაკტიონი,
უქრის „ხეთა ჯარს“ სიოდ და ქარად.

რუსთველი როცა ღამე ნათევი,
სიყვარულით ქმნის დიდ მეგობრობას,
ჩემო სამშობლოვ არ დაგანებებ,
არ გაგრძნობინებ მე შენ ობლობას.

22.03.2023.

ამინ!

მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და
კვლავაც დამინდობს ცოდვის მორევი,
უღმერთოებთან ომი არ მინდა,
ჩემში ცდუნებას ღმერთით ვერევი.

ადამიანურს ვერ შეველევი,
ვერც სადიდებელს, ჩემსას ამ ქვეყნის,
მე ყველა ლოცვას ვეტყვი ამინ და
ვარდებს დავუფენ სავალს იმქვეყნის.

15.03.23

როცა...

წინ ვიყურებით იმედით,
უკან კი მადლიერებით,
მაღლა ავხედავთ ცას ლოცვით,
დაბლა სინანულს დავცქერით.
ჩვენს თავს ჩავხედავთ სიფრთხილით,
გარშემო ვაფრქვევთ სიყვარულს,
ჩვენი ცხოვრება სიფხიზლით,
მოგვიტანს ნამდვილ სიხარულს.

13.04.23

სიტყვით მოდის ჩვენ გულებში,
სიყვარულის ვექტორი,
ეს მუზაა პოეტებში,
ლექსის არქიტექტორი.

წერე და ხატე

ყველას თავისი ადგა მათრახით,
ხატე ნიკალა! ხატე ნიკალა!
ანგელოზები ჩასჩიჩინებდნენ,
წერე პოეტო, მეფე ხარ გალა!

წმინდა გიორგი ედგა მეფეებს,
აშენე დავით, განავრცე თამარ,
ღვთისმშობელი კი ღმერთსა ავედრებს,
ქართველთა მიწას, მის გმირთა სამარხს.

22.03.23

„ჩემი ცხოვრება ჯვარცმაა, რასაც ვეწამები,
ყველა მედუქნის, კინტოსა და სხვა ნაძირალის,
თვითნებობისგან ხშირად სასტიკად ვიტანჯები.
მე ვიცნობ, ილიას, ვაჟას და ვიცი რუსთაველი,
მე მათ ჩემებურად ვხატავ, სხვებმა თუნდ იცინონ,
მაგრამ მივდივარჩემი გზით და მიმაქვს მთა-ველი.“

ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი

ფიროსმანი

პარიზიდან კი თბილისში,
ჩამოსულიყო დე სერვი,
ცეკვით და სიმღერით გული,
დაიპყრო ძალიან ბევრი.

სახელად მარგარიტაა,
ლამაზი და მშვენიერი,
შეხედეთ რა აქტრისაა,
ჩურჩულებდა მიწიერი.

აგერ გამოჩნდა ნიკალა,
ახალგაზრდაა მხატვარი,
ყველაზე გამორჩეულად ,
აქტრისას გულის მდევარი.

მარგარიტასაც მოსწონდა,
მდიდარი, ფულის მხარჯველი,
ყოველ საღამოს კი ჰქონდთ,
შეხვედრა გულის მტანჯველი.

ქალი ფეხს ითრევს რატომღაც,
ნიკალას ბოლო კითხვაზე,
და გადაწყვიტა, რომ სადღაც,
არ ყოფილიყვნენ საზღვარზე.

ან ტფილისს დარჩენილიყო,
ან რისთვის იყო უარზე,
აეხსნა ქართველ კაცისთვის,
..ვერ ივლის ქალის ჭკუაზე.

სიყვარული კი ბრმა არის,
რას აღარ ჩაგადენინებს,
ყველა სიკეთის ზიარის,
წამსაც არ ჩაგაგდებინებს.

ვარდები აწყო ურემზე,
ცხრა წყვილიან ლაბა ხარით,
ვარდი ასოცი ათასი,
ნარჩევი, ხავერდ სადარი.

ეტყობა რამდენიმე დღეს,
აღფრთოვანება მარგარეტს,
შემდგომ ნიკალა გაკოტრდა,
დე სერვი ჰკარგავს ინტერესს.

ნიკო მიადგა სასტუმროს,
სადაც აქტრისას იგულებს,
მარგარიტა კი საფრანგეთს,
დაჰყვება მდიდარ საყვარლებს.

გრძნობებს მწარედაც მოარულს,
ნიკალა გულში მალავდა,
ლამაზი ქალის სიყვარულს,
მწარე სასმელში იკლავდა.

ნიკალა მაინც ხატავდა,
ვალს უქვითავდა ის დუქნებს,
კიბის ქვეშ ათევს ღამეებს,
მუზას კი თავს ვერ უდუნებს.

წმინდა გიორგი ედგა და
მათრახით აძლევს ბრძანებებს,
დახატე ნიკალ, დახატე,
დრო გავა, წაიღებს ვნებებს.

შემოქმედება და სახე,
დარჩება საუკუნეებს,
აქტისა გამოფენაზე,
ამოუდგება ნახატებს.

სიამაყით და გულწყვეტით,
იტყვის“ეს მე ვარ ტილოზე“
არ გჯერათ წარბები ნახეთ,
წარმოსთქვამს თავის ენაზე.

ფიროსმანი კი მსოფლიოს,
აოცებს შემოქმედებით,
პარიზელი კი უკვდავყო,
თაიგულით და წინდებით.
26.04.2023

სიზმრად ნანახი

..გეტყვი, თუ რა დროს იქნება,
შენი ცხოვრება მზიანი,
სიზმარშიაც და ცხადშიაც,
არ გყავდეს თანაზიარი.

სევდას შენ თავად უტიე,
კეთილს აცილე "პიარი"
და სიცოცხლეში მოგძებნის,
საქმენი ღვთისმადლიანნი.

27.05.22

მე თბილისისა მიყვარს ფესვები

მე თბილისისა მიყვარს ფესვები,
მის სიყვარულში გულით ვეშვები,
და ამ ჩემს გრძნობას არ აქვს ეშვები,
მასზე სიმღერას ვერ შევეშვები.

მე თბილისიდან მიყვარს ფესვები,
მის სიყვარულში თავით ვეშვები,
და ამ ჩემს გრძნობას არ აქვს ეშვები,
მე იმ საფლავებს ვერ შევეშვები.

მე საქართველოს მიყვარს ფესვები,
მის სიყვარულში გენით ვეშვები,
მაქვს დასაცავად დიდი ეშვები,
და ქართველობას ვერ შევეშვები.

14.05.2022

ნარიყალა

მოგილოცავთ კალანდობას,
და გიცხადებ კალა ნდობას,
ნარინ! ლოცვით აქ თბილისლებს,
დააბედებ ლამაზ-თბილ წლებს.

ყველა კუთხეს მის კუნჭულებს,
ბარაქა არ მოჰკლებოდეს,
და წართმეულ ჩვენს კუნწულებს,
სიყვარულით ვევლებოდეთ.

14.01.23.

სუფრა გურული

ბუხარს კეცზე სქელი ჭადი,
წალმის თხელი ნაკვერჩხალი,
შამფურს უმზეურის მწვადი,
ღელის თევზი, ტაფას მწვარი,

ყველით სქელი, ხაჭაპური,
ნადუღი და ფხალი პრასის,
ტარხუნა და ნიახური,
სულგუნს ჯერაც რძე, რომ გასდის.

იქ ტყემალი საკვირველი,
კანჭი შიგ, რომ ჩაუწვინო,
ლობიო ნიგვზით კირკველი,
დოქს ჩასხმული ცივი ღვინო.

საცივი და ღომი ცხელი,
კუჭმაჭს ბლომად ბროწეული,
შემწვარ კუპატს კანი თხელი,
კიტრი ახალ მოწეული.

გოჭის თავიც სიყვარულით,
უმზერს ბოლოკით თამადას,
დედალი მრგვლად მოხარშული,
ხილით სავსე კალათა.

აბა კარგად მოილხინეთ,
დრო ატარეთ მხიარული,
ძველი ჰანგიც გაიხსენეთ,
დილოვო და კრიმანჭული.

19.06.2022

კეცებს მოიტანს ოჯახის მამა

კლდისა თირს, კაწაპით აწაკაპებს,
პირთხელით კიდე პირთხლავს,
კეცებს მოსტაცებს მთაში ქარაფებს,
მერე კი ცეცხლში ხალავს.

ოჯახის დედა ცომს როცა მოზელს,
და თავს მოუკრავს ყველსაც,
დააკრავს მტკიცედ გახურებულ კეცს,
უკეთესს ვერ ჭამ ვერსად.

ბაბუ ხალისით წითელ „ადესა“-ს
ჭურიდან იღებს კოპით,
როცა მიიტან სასმისს სახესთან,
დაგისველდება შხეფით.

იქვე ბოსტნიდან მიირბენს ბავშვი,
მწვანილითა და პრასით,
ბებიამ უკვე გატეხა მჭადი,
მოაქვს კეჟერა თასით.

დედალიც მალე იქნება მრგვალად,
სხვაც მოგვესწრება ხვავლად,
მშვიდობა იყოს ოჯახში სრულად,
სტუმარი ღვთისგან, მრავლად.
(პირთხელით კეცი კეთდება,
მერე იშლება სუფრა,
პირთხელი კაცი, ბეცდება,
მოღალატეა სუფთა) **11.05.2023**

შეძახილი

შემოვძახებ !
მერე ცოტა
ვმშვიდდები და ვჩერდები,
შემოვძახებ!
მერე ცოტას
ვყაბულდები, ვჯერდები,
შემოვძახებ!
მერე აღარ
ვცახცახებ და ვშინდები,
მერე თავად **შემომძახებს,**
რომ ღმერთს აქაც ვჭირდები.

23.06.22

ჩემი მუზა

აღარ მსტუმრობს ჩემი მუზა,
სხვაგან სძინავს?! "გაიყურსა"!
როგრც ზღვაში მძიმე ღუზა,
აღარ უგდებს ტალღებს ყურსა.

ჩემია და აქვე რჩება,
მიერთგულა ძნელბედობას,
გაიღვიძებს, რომ მორჩება,
ჩემი გონი, ძილ-ყბედობას.

14.05.2022.

ჩვენია, თუნდაც ცუდი გვიყვარდეს

უკიდეგანოდ განათლებულნი,
საით მიაბამენ ქოთანს ყურს,
ასე ჭიკჭიკით სულგანაბულნი,
უცებ იპყრობენ უმეცართ გულს.

ეგრე არა ვარ გონდაკარგული,
ვიკითხე ჩვენიც, ძველი ბერძნული,
იმდენი ვიცი ჩემი მიყვარდეს,
სადმე, რომ არ ვთქვა განგებ შტერული.

05.06.22

ძველი წისქვილი

ეს საოცარი წისქვილი,
წყლით მოტრიალე ქვით,
არ ელეოდეს მას ფქვილი,
თქვენ კი სათქმელი, თქვით.

გონს აზრი ინტერესით სდის,
ალბათ მარცვალი ელის წინდს,
სინამდვილე კი ლამაზს ხდის,
ნათქვამს, ლექსაც და წიგნს!

17.05.22

ცნობიერისგან ქმედება
ყალბი, რა მოსაწონია?!
გულს ლახვარივით ედება,
როცა სიტყვას არ სწონიან!

„ვაჰ სოფელო“

სად შევკრიბო „დრო და ფული“
მე, ეგ გამი-ზიარ-ეთ,
სოფელს ხშირად ვეფერე
და თქვენ გაგი-ზიარ-ეთ,

ფეხის დადგმა ია-რაზე?!
მაგ საკითხებს ე-რიდე-თ!
კაცურ საქმეს ვაკეთებ და
სიყვარულშიც გერ-ით-მეთ.

01.07.2022

გაარკვიე თავად

როცა ვიღაც შენ გიყვება სხვაზე ავს,
ალბათ სხვაგან შენც გახსენებს ავად,
სანამ ცუდად სხვა მოგიტანს ამბავს,
სჯობს სიმართლე გაარკვიო თავად.

19.05.2023

დაყოფით მტრის გზა ნეტარია

სადაც საჯიჯგნად მუდამ მტერია,
სად დასავლეთში მუდამ სტველია,
აღმოსავლეთში ყველგან რთველია,
ერთიანობით, მტრის გზა სველია.

გონიერება მთლიან ერშია,
გამოცდილებაც უფრო ძველია,
სარწმუნოება მთლიან ბერშია,
მათი ერთობა უძლეველია!

03.07.2022

ვერასოდეს, ვერვის, ვერ გავეგები,
ღობე-ყორეს არ ვეხები-ვედები,
არასოდეს, არსად, არვის ვედრები,
გზავნილ მუზებს, კალმით ჩემთვის ვერგები.

ღმერთო მარტო ამას შენ გევედრები;
ამთლიანე საქართველოს საზღვრები,
გაუმრავლე ხეხილისა ნერგები,
გაუბევრე პურის ყანა და ზვრები.

უძლიერე ქალაქს სწავლის კერები,
გაუნათე მომავალი და გზები,
ღმერთო მარტო ამას შენ გევედრები,
საქართველოს შეურიგე და-ძმები.

ძალა ერთობაშია

სიმტკიცე ნაწრთობ სულშია,
მის გარეთ ყოფა გროშია,
ჩვენი მდგრადობა ღმერთშია,
მისით ანთებულ გონშია.

ევრ-აზიაც, ხომ ჩვენშია,
გზა-ვიწრო ჯვარედინშია,
სად ქართველობა გენშია,
ის კავკასიის ძირშია.

არ დაგვავიწყდეს გამოთქმა,
რაც, რომ ერ-ბერობაშია,
წმინდა გიორგის გულისთქმა;
ძალა ჩვენს ერთობაშია.

არ გვარგებს ყოფა ჯავრითა,
სიბრძნე, ერთობით სრულშია,
დედა ღვთისმშობლის ფარვითა,
ძალა ჩვენს სიყვარულშია.

07.07.2022

90/90

ცა მეტიანები, პირველ კლასში შეგვყარა ღმერთმა,
მასწავლებელებიც მუხლმოუყრელად გვერდში, რომ
გვედგა.
რათა გვესწავლა ჩვენ ანი-ბანი, ქართულთან ერთად,

ბავშვობის წლები ნაღდი ვახსენოთ, არა შემკობით,
შუახნისებმა მოგონებით ვანედლოთ ყველგან,
გარდაცვლილებსაც ხშირად ვუთვლიდეთ ხსოვნას
შენდოით,
ლევან ვასაძე გულდათუთქული, გაფრინდა ჩვენგან.

მათი სახით კი ყველას ნათელი ადგეს იმ ქვეყნად,
იქ პირველ კლასში დაგვხვდებიან ჩვენ თმაჭაღარას,
აქ კი სიზმრებში მოვუყვებით რაც მოხდა ჩვენთან,
გულით ბავშვებმა, როგორ ხმაურით დავცხეთ
ნაღარას.

ნათელ გონებით ოთხმოცდაათში, აღმოვჩნდით
ბნელში,
ძალა, ნათელი ჩვენი, იმედში სახიერდება,
მაშ ვადღეგრძელოთ გოგო-ბიჭებო, ჩვენი შეხვედრა,
ზოგის მონაგარი, მომავალი ბედნიერება.

დავლოცოთ ერთიანი საქართველო, ჩვენგან ნატრული,
მშვიდობით გვევლოს ცხოვრების გზაზე არ გვინდა ომი,
სურათი ცხოვრებაში არ გვენახოს გადახაზული,
ვიყოთ პირნათელნი და ერთმანეთისა გვერდში მდგომნი.

დავლოცოთ ჩვენი საქართველო, ძალით გადათხრილი,
არ გვინდა ომი, მშვიდობის ყვავილს ყველგან ვფურჩქნიდეთ,
ავწიოთ დროშა საამაყო, მაგრამ თავდახრილი,
მეწამულ ბილიკს, რუსთაველზე ტიტებს ვჩუქნიდეთ.

21.07.2022 წ.

9 აპრილი

”დაუკარით“ უსინათლო გულით მღერის,
ახალგაზრდებს ცეკვის ჟინი გასჩენიათ,
თავისუფალ საქართველოს მოლოდინში,
ჩვენს თაობას სახლში რაღა დარჩენიათ.

„რომ ძველ ხანჯალს“ ობი აღარ მოსდებია,
ყველა ერთად მძლავრ მუშტადაც შეკრულია,
შიშის გრძნობა არასოდეს ჰკარებია,
მაგრამ ის დღე სამწუხაროდ ბედკრულია.

„ელდა ეცეს, გაისარჯოს“ ტანკის გრუხუნს,
წინ დაუდგნენ ბიჭები კი შიშველ ხელით,
ალესილი ნიჩბები და საწამლავი
უღმრთოებმა მოიქნიეს როგორც ცელი.

„და ბრძოლებში“ გადაუდგნენ გოგოები,
უმოწყალოდ, რომ ჩეხავდნენ ვანდალები,
„გაისარჯოს“ საშინელი ის კადრები,
გამზირი, რომ გადაავსეს მათ გვამებით.

„ცხრა ლახვარი, რომ ჩამარტყან ცხრაჯერ გულში“
თავისუფალ საქართველოს სიყვარულში,
რუსთაველზე **„ცხელი გული ასვენია“**
და გმირები 9 აპრილის გამთენიას,
ჩაეწერნენ თავდადებულ ისტორიას.

09.04.2023

„იყო და არა იყო რა“

ზოგმა მუცელი იყორა,
ზოგმა ამბები იჭორა,
ზოგმა ერთგული იშორა.
ზოგმა ხასიათს იჯორა,
ზოგმა საქმეში იღორა,
რადგან იშურა, იორა.

ზოგს ახლობელი ეშორა,
უფრო მეტი, რომ ეშოვა,
ზოგმა კი კოჭი აგორა,
რომ არ გაეხსნათ პანდორა.
(იყო და არა იყო რა,
ღვთის საქმის აქ არ იყო რა)

მხოლოდ სიკეთემ ასწორა,
რაც უკეთურმა იწონა,
თან ყველა ერთად აწონა,
ღვთის გზას ადგა და დაწონა.
(ღვთის უკეთესი იყო რამ?
არ იყო, არცა იყო რა).

08.04.2023

მე მიყვარს...

ჯოტო, ბოსხი, ლეონარდო,
ბოტიჩელ, მიქელანჯელო,
რაფაელ, რუბენს, ტიციან,
ველასკეს, დე კარავაჯო.

რემბრანდტი, დეგა, როდენი,
პისარო, რენუარ, მანე,
გოია, ვან გოგ, გოგენი,
პიკასო, დალი და მონე.

სეზან, კლიმტ, მოდილიანი,
მატისი, მუნკ, მონდრიანი,
ვარაზი, ახვლედიანი,
გუდიაშვილ, ფიროსმანი.
(და მაინც?!.. ბოლო ოთხი.....)

17.07.2022

მუნკის კივილი

ორ მეგობართან მისეირნობდა,
ნორვეგიელი მუნკი, ედვარდი,
ცოტა ჩამორჩა, ღობეს მიეყრდნო,
აღელვებულმა იგრძნო ტკივილი.

მზე ჩადიოდა, ზეცა სისხლისფრად,
ფიორდი იყო მუქად შეჭრილი,
ქალაქს ეხურა ცეცხლის ალი და
იბადებოდა სულის კივილი...

01.04.2023

მედროვე

თავი დაადგეს მედროვეს,
გახადეს თანამედროვე,
ჭორ-მარტალიც კი აგროვეს,
განცხრომა აღარ ადროვეს.

ყურიც კი აღარ ათხოვეს,
გახადეს თანამედროვეს,
უფრთხილდი! შენს სიახლოვეს,
შეიცან თანა, მედროვე.

11.11.2022

კორინთოელი

ბელეროფონი პეგასით,
რომ დაამარცხებს ქიმერას,
მერე ზევსებთან ბრძოლისას,
ბორა ჩლიქოსანს უნესტრავს.

ჯაგნარში გადაეშვება,
დაკოჭლდება და ბრმავდება,
სიკვდილს კი გადაურჩება,
მერე ჭკუიდან იშლება.

ცხოვრება ასე უბედურს,
ტყე-ღრეში ახეტიალებს,
გაყოყოჩებულს, მედიდურს,
სიკვდილსაც დაანატრულებს.

ეცადე იყავ კვლავ მარგე,
სანამ გაგწირეს ზევსებმა,
შეირგე ირგვლივ სიკარგე,
მანამ თვალ-სხივით გევსება.

კარგად მიღწეულ ცხოვრებას,
რად ანაცვალებ „ღმერთობას“ ?
გბოჭავდეს კმაყოფილება,
სანამ ცა მოგთხოვს ერთობას.

გოგონა მარგალიტის საყურით

იქნებ გოგონა შენ მარგალიტის ერთი საყურე
დაგიკარგია?
და შემომხედე სრულიად უცნობს გამიღიმე მთხოვ,
რომ მოვძებნო,
იქნებ გოგონა შენ ჩემი გული მაგ გამოხედვით
დაგიდაგია
და სამუდამოდ ვერც მივხვდე რას მთხოვ განწირული
ვარ ფიქრები ვტკეპნო,
ან იქნებ თავად დიდი მხატვრის ვერმეერის გოგონა
ხარ მარია?
მან მოგახედა რათა სიცოცხლის მჩუქნელს
სამუდამოდ დაეტოვე
და ყველას ეთქვა რა მაგარია....

22.04.2023

კაცი ქედმაღალი?!
მწვერვალი მთადაბალი?!
მთა ქედმაღალი,
წინ ფერდობით,
მდგარი მწვერვალი,
კაცი თავმდაბალი,
უკვდავებისა მწერალი.

18.07.2022

მხატვრის თვალი

ისე ჩამიარე, რომ ვერ გავინძერი,
თანაც ვერ გიცანი, რაღაც კი ვიგრძენი,

მზისგან დასაცავი მეკეთა სათვალე,
გულიც გაგატანე, წლებიც გადავთვალე,

თვალიც გავაყოლე ანარეკლს მინაზე,
მაინც ვერ გიცანი, თითქოს ჩემს ჯინაზე,

ნუთუ მე გამექცა ეს მხატვარი თვალი,
გულმაც არ გაუშვა ის ლამაზი ქალი,

წარსულს დავაბრალე თითქოს ჰქონდა ვალი,
ის ლამაზი ქალი, ეს ოხერი თვალი.

22.04.2023.

ვან გოგის მზესუმზირები

მთის ქედებიდან მომზირალებმა,
სალაღობოდან ოქროს სირმებმა,
მზეს უმზირეს და როგორც ირმებმა,
თავი ასწიეს მზესუმზირებმა.

მზეს უმზირეს და ემსგავსნენ მზეს,
ყვითელ სხივებით ამშვენებენ გზებს,
შენსკენ მოსასვლელს, რომ აპობდნენ ტევრს,
თან წმენდნენ სულში დანადებ მტვერს.

შავი გიშრები თეთრ გულებითვე,
მწყობრად ჩალაგდნენ, მზაობა იღეს,
შეპირებული ერთგულებითვე,
ფატებ-ჩადრებით თავები ნიღბეს.

შენს სიყვარულში დაკარგულები,
იქმნიან სათუთ, ღვთაებრივ ზეს,
კვლავაც ლოდინში გათანგულები,
თავიანთ თავში გიწნიან მზეს.

მზეს უმზირეს და გახდნენ მძივები,
ჩემი სულის და გულის სხივები,
მეც შემიყვარდა და ვიმზირები,
როგორც ვინცენტის მზესუმზირები.
24.05.2023

ლეონარდოს ჯოკონდა!

ჯოკონდა--ლეონარდო და ვინჩი,
მარტოა- ლეო, ნარდი და ვისკი,
მოეძალა ლეოს დარდი, ბინდი,
ჯოკონდა კი იჯდა სახეს რინდით.

გაატანა დროს დარდი და ხინჯი,
მონალიზამ მოუმატა ღიმილს,
მერე მიხვდა, მის წინაშე ვინც ზის,
მოისროლა ლეომ ნარდი ვისკი..
 და იყვირა ; "ერთდროულად, ვიცი,
ჯოკონდა-ლეონარდო და ვინჩი?!!!!!"

28.02.2021.

ნატვრისთვალი

თუკი მხატვრისა გონებით,
ვხედავთ მისივე ანბანს,
ის გვაცნობს მუქი ტონებით,
ყოფიერების ამბავს.

რეალურ აღქმის ბადებით,
ბრწყინვალებას სძენს ნახატს,
რადგან თეთრისა დადებით,
მშვენიერებას ართავს.

ფერ-საღებავის შერევით,
ტილოზე მხატვრის თვალია,
შედეგი, ღმერთის ჩარევით,
ნამდვილი ნატვრისთვალია.

29.11.2021

ტანს ჟრუანტელმა გადამიარა

დაბადებიდან მე საქართველოს,
ტანს ჟრუანტელმა გადამიარა,
მუზას ვეძებდი, რომ ჩამიარა,
მერე, მიპოვა ისე კი არა..

ბოლოს, გაჩერდა გახსნა იარა,
და პოეზიაც გამიზიარა,
მამშვიდა, დაღლილს კი მომერია,
და სევდამ ცოტა გადამიარა.

16.07.2022

ვიყავი მხოლოდ

ვიყავი მარტო, მხოლოდ ლევანი,
გოგო გავიცანი ხელოვანი,
გამოდგა დიდად სულოვანი,
გამომყვა, გავმთლიანდი წლოვანი.

თავიდან შევიქენი ცოლიანი,
მერე შევიქმენი წულიანი,
ეს ცხოვრებაა გზა ზოლიანი,
იქ წყვეტილი, აქეთ გულიანი.

ეს პალიტრაა საღებავიანი,
აიღე ფუნჯი ყველაფერიანი,
ხატე ცხოვრება შენი მშვენიერი,
სხვისი არ გინდოდეს ორმო ქერიანი.

აღარ ვარ მარტო, მხოლოდ მე ლევანი,
და არამარტო ვარ მრავლობითი,
"პოეტი"-ც გავხდი, მუზის მადევარი,
სოფო მომერითმა ხელოვანი.

მეუღლეს

მე ყველაზე ცუდი მხარე
ჩემი თავის გიამბე,
ლაპარაკით ალბათ გზარე,
შენ კი თავით მეამე.

ვფიქრობ კარგიც დაინახე,
სანამ მე ვთქვი მანამდე,
რადგან ისიც დამიფასე,
მერე კარგით მამრავლე.

20.06.2022

პირველი მარტი

გაზაფხულის პირველ დღეს,
მერცხალს ბუდე, ხე კვირტებს,
ტყე იას და ენძელებს,
ველი ელის გვირილებს.

სითბო კიდე ბეღურებს,
სიყვარული ბულბულებს,
და სიცოცხლე შეჰყურებს,
ახალ დაბადებულებს.

სილამაზის პირველ თვეს,
თქვენ მეგულეთ მუდამ მხნეთ,
ნინო დაბადებულა,
გაზაფხულის პირველ დღეს.
01.03.23

დღეს პირველი აპრილია

მკვდრეთით აღსდგაო იესო ქრისტე,
გაჟღერებულა იმ დღეს საკვირველს,
..მოიპარესო და ტყუილი თქვეს,
მაშინ იმ დილას, აპრილის პირველს.

01.04.2023.

იბნ სინა

ვალად თუ ჩათვალე პატივისცემა,

აბა რად გინდა, სიყალბის ცვენა,

აღარც მე მინდა ეს ავი სცენა,

"ჩვენ სამნი ვართ.." და ეს ავიცენა.

30.07.2023

კარგი მიამბეთ მოდით, საქმისა,

თუნდაც ტყუილი, ოღონდ ალალი,

წლებმა ცხოვრება მოისაკლისა,

თუ ვერ შევძელი, ჩემი რა ბრალი.

25.07.2022

პურ-ღვინო

სუფრას ნუ დატოვებთ ცარიელს,

თუნდაც ელაგოს პური და ღვინო,

ნაღდი ქმედება შვენის სარბიელს,

სტუმარს მასპინძლის დაალევინო.

29.07.2022

დავირაზმოთ !
ყველამ ერთად
მოვუაროთ საქართველოს.
დავიაზმოთ!
საქებ ერად
მოვიყაროთ, შაქრად გვევლოს.

შემოდგომა

მოხუცს გვერდში ამოდგომა,
მეგობრისთვის გამოდგომა,
ქართველების ერთად დგომა,
მტრის საზღვრიდან გადადგომა.
ცეცხლზე ქვაბის შემოდგომა,
ხვავიანი შემოდგომა,
შემო, შემო, შემო, დგომას,
არა ვუთხრათ განზე დგომას.

მირზა
მუზაც განსხვავდებოდა და
გაჰყვა მებრძოლ გელოვანს,
მომავალი არ დასცალდა
პოეტსა და ხელოვანს.
11.07.202

საქართველოა

ეს წინაპრების დანალანდია,
სისხლით ნაკერი, არაბლანდია,
ეს ის ლანდია, არა შოტლანდია,
ჩვენი სიზმარია, არა ისლანდია.

არც ნიდერლანდები, გრელანდია,
აქ ვარ და მაინც ფიქრთა ლანდია,
ანდამატი და გირლიანდია,
ის ამ სამყაროს ბრილიანტია.

ქართველთ განძია, ფუნდამენტია,
მარიამისგან ღვთის ნავედრია,
ეს რაც ჩვენ ვიცით, თუმცა მეტია,
შესმენილია და წილხვედრია.

სულის და გონის სამკურნალოა,
შავი ზღვა, მთა და მწვანე მდელოა,
გამოიცანით?! ..... !
დიახ! ეს ჩვენი საქართველოა!

23.04.2022

საშკა იოსელიანს და ლევან აბაშიძეს

შვილები საქართველოსი!
ალექსანდრ-საშკა, ლევანი,
დაუფიქრებლად აისხეს,
ტყვია, მტრისათვის მფქვევანნი.

ქართული კინოს ვარსკვლავნი,
არ უფიქრიათ ღალატი,
მსოფლიოს დაამშვენებდა,
მათი ნიჭი და ტალანტი.

შვილები საქართველოსი!
პირველნი თავის საქმეში,
აქაც გვაყვარეს თავი და
მტერსაც ჩახედეს სახეში.

გმირები საქართველოსი,
მცოდნენი „გმირთა ვარამი“-ს
გმირებს როლებში ველოდით,
წარსდგნენ გმირებად მარადის!

13.08.2022

დიდება ომში დაღუპულ გმირებს

დიდება ომში დაღუპულ გმირებს,
სიკეთე ოჯახებს, ყველას შვილებს,
თაყვანი ფორმიან მანდილოსნებს,
პატივი, ომში ჯანდაკარგულებს.

მშვიდობა ყველას, სიმრავლე ქართველს,
ვიღებდეთ სულ მუდამ დიდებულ რთველს,
ბარაქა ყველდგან, მთიელს და ბარელს,
არდავიწყება წინაპართ სახელს.

ვემსახურებით ჩვენ საქართველოს,
საზღვარი მტკიცედ მარად მოგვევლოს,
მშვიდობით გზაზე სულ ყველგან გვევლოს,
და ჩემი თვი თქვენ შემოგევლოთ.

28.04.2023.

კლდეისს

შენ კლდეისო, მზისა დარო,
ცის კაბადონს, ახლოს ხარო,
ზაფხულს მწვანე, ტყეთა ჯარო,
ზამთარს, თეთრად მოელვარო.

ნახევარი საუკუნის,
მუხლი ანცად, ვერა ვხარო,
შენს ჰაერზე, მთის საუნჯის
ფონზე, თითქოს დავქრივარო.

მუდამ ჩვენი ფილტვებისთვის,
საამებლად მზად რომ ხარო,
მინდა ყველას შვილებისთვის,
მუხლი ლოცვით მოგიყარო.

15.07.2022

დავით ჭალიძეს

თითქოს გუშინ გაგვახარე,
შენი დაბადებით დავით,
წახვედი და გაგვიფრინდი,
როგორ მოგვანატრე თავი.

სიყვარული დაგვითესე ,
დიდ ოჯახში, კაცობაში,
მარად ყმაწვილი დაგვირჩი,
აქა ცოცხლებს გონებაში.

უფალთან ხარ მის კალთის ქვეშ,
ნათელი არ მოგაკლოსო,
ჩვენში ცოცხლობ და გიხსენებთ,
ჩვენი სულის ანგელოზო.

15.10.2022

წმინდა მარიამ

მიეც ძალა-გონება,
ვისაც როგორ აკლია,
გევედრები ძალიან,
ღვთიმშობელო მარიამ.

კალთა დაფარებულებს,
ზოგიერთს კი ღვარძლიანს,
ნებით მანქურთებულებს,
სამშობლოს, რო გვაცლიან.

საქართველოს იღბალზე,
სიტყვას ნუღარ გაცვლიან,
გულმხურვალე, ცრემლიანს,
სასმისებს, რომ ჩაცლიან.

მიეც ძალა-გონება,
ვისაც როგორ აკლია,
დაე იყოს ღვთის ნება,
დაგვიფარე მარიამ!

28.08.2022

ერთხელ ღრუბელმაც ინაზა ქალში

ლამაზი ქალი, თითქოს ცის ზღვაში,
მშრალი თმა როგორც ხელმისატანი,
რადგან ცაშია და არა წყალში,
მიარწევს, უთრთის მას თხელი ტანი.

დღეს არ იწვიმებს ბარში და მთაში,
ეს არ მოხდება ერთიდან ასში,
შიშველი ქალი მიცურავს ცაში,
თეთრი ღრუბელი განაზდა მასში.

12.04.23

ეძახიან ცას!

ცა ემსგავსა ზღვას.
იწყო დატალღება,
ვინც რა უნდა თქვას,
იპყრო ყურადღება.

ზღვა მიუხვდა ცას,
გაუღიმა ცალს,
გურიაში ქალს,
ეზახიან ცას.

1941

თვრამეტის იყო გაიწვიეს ორმოცდაერთში,
ღინღლი არ ჰქონდა მოცელილი პირი-სახიდან,
იბრძოდა, სიკვდილს თუ გადაურჩა ათასში ერთი,
ჩამოიყვანეს, წვერ-ულვაშით გადის სახლიდან.

იქნებ ვერ იცნოს აღნაგობით, ცოტას კოჭლობდა,
მიიჩქაროდა, სიხარულსაც აღარ მალავდა,
სატრფოს კი გული განსაცდელით დამძიმებოდა
და ორი ძმის, შინმოუსვლელის ტკივილი ჰკლავდა.

09.05.23.

სახლი

სკივრი ხელსაწყოების,
ფოტოები ალბომში,
რაც შემორჩა ბაბუს სახლს,
სულ ეგ არის ამ დროში.

ძველ სურნელსაც ატარებს,
ნესტიანი კედლები,
ახალს ვერას ვამატებ
და წარსულში ვჩერდები.

05.09.2022

წვიმის წვეთები

სიომ წვიმის წვეთები,
ჩემსკენ შემოაბრუნა,
თითქოს სველი ხელებით,
სახეს მომესალბუნა.

ვიცი მე, რომ მნატრობდი,
ფეხშიშველი მოვქროდი,
გუშინ ღრუბელს, რომ ვმტრობდი,
თურმე მასაც მოვწონდი.

როცა თვალებს ნაბავდი,
ფიქრში ნისლებს ფანტავდი,
სანამ სიზმარს ნახავდი,
მანამ ცხადში გხატავდი.

აკი გითხარ მნატრობდი,
მინატრე და მეც აქ ვარ,
ეტყობა თან დარდობდი,
ალბათ ასე გიყვარვარ.

ზეცამ წვიმის წვეთები,
დედამიწას აპკურა,
მზის სხივების წვეტები,
ზღვის ტალღებში აცურა.

04.09.2022

ჭექა-ქუხილი

ცა განათდა, თან სჭექს ზეცა,
ქუხს და გრგვინავს მიდამო,
დირიჟორობს, ასწრებს ელვა,
ცდილობს გაჰყოს მი და დო.

წვიმა მწყობრში არანჟირებს,
ფოთლებს ტონში დრამერობს,
ქარი ტემპით უკიჟინებს,
არწევს ტყეს და ბობოქრობს.

ირგვლივ სველი სიმფონია,
როცა არეს ამდიდრებს,
ოჰ რამდენი ხმა ჰქონია,
სულს და გულ, რომ აფიქრებს.

04.09.2022

ხმელი ფოთოლი

ერთ დროს ვიყავი მე ტოტზე კვირტი
და აღმოვცენდი როგორც ფოთოლი,
მწვანე ხასხასას, არ მქონდა ტვირთი,
ბევრნი ვიყავით, არა ობოლი.

რაც რამ შემეძლო სიკეთე ვქმენი,
ჟანგბადს ვაწვდიდი ადამიანებს,
გავხმი, გავყვითლდი, არად ვიქმენი,
დროა ვუერთდე იქ ჩემიანებს.

როს ფოთოლცვენა მე მომერია,
გავუფასურდი, როგორც აბაზი,
თუმცა ვიღაცამ მაინც მამჩნია,
თურმე ვყოფილვარ აქაც ლამაზი.

07.05.2023

ბაბუაწვერა

სულს შეგიბერავ მონატრებულის,
და ქარს გაჰყვები უმალ,
ამბავს მიიტან დაბარებულის,
მხოლოდ აზრები სდუმან.

მიზანს მიაღწევ ლამაზი ფრთებით,
საწყისს მოსწყდება ყველა,
ერთნი ვიქნებით მხოლოდ ფიქრებით,
მე და ბაბუაწვერა.

22.09.2022

ჩემი არჩევანი

ეს ჩემი ასარჩევია,
ჭადი მექნება თუ ღომი,
არავის გასარჩევია,
მშვიდობა მქონდეს, თუ ომი.

ცხოვრებით ასარჩევია,
ბევრი მექნება, თუ გროში,
არავის გასარჩევია,
ვიკარგო, ვიკარგო დროში.

16.10.2022

ავან-ჩავანი

ვარ წარმოშობით ერთი კუთხიდან,
და იმას ჰქვია ნოღა სახელად,
რაც დავიბადე სწორედ იმ დღიდან,
თბილისთან ერთად დამაქვს სათქმელად.

მეამაყება ვარ კუთხის შვილი,
სადაც შობილა დიდი აკაკი,
სად წინაპრების ძვლები მეგულვის,
ეს არის ჩემი დიდი არაკი.

თუ რას იტყვიან ჩემზე მავანნი,
სადაურობის დამაქვს თავანი,
მესხეთს ნატეხი გურულთაგანი,
თბილისი არის ჩემი აკვანი,
თბილისელობა ავან-ჩავანი.

05.03.23.

თბილისი

თბილისი ჩემი სახლია,
ვყლაპე ჰაერი თბილ-მისი,
თბილისელი ვარ! ვთქვა-კია?!
ყველას სახლია თბილისი.

თბილისი ჩემი სახლია,
გავჩნდი თბილისურ ეზოში,
თბილისელი ვარ?! ნაღდია,
ურთიერთობის უკვე ეპოსში.

თუმცა ყველას გვაქვს ფესვები,
მის სიყვარულში ვეშვებით,
თბილისი ყველას იზიდავს,
როგორც მზისა-ღმერთს, იზიდა.

ეს სილამაზე შორიდან,
მოგაჯადოვებს შიგნიდან,
დაგატყვევებს და გაგკურნავს,
გოგირდითა და ლოცვითა.

ყველას სახლია თბილისი,
ქცევა, ზრდილობა, ეთნოსი,
სულაც სხვა იყო ხალისი,
ქუჩებსაც ჰყავდა ეროსი.

ღმერთები სიყვარულისა,
აქ თავს იყრიდნენ ყველანი,

მწერლებსა სიხარულისა,
არ ელეოდათ მელანი.

მხოლოდ სახლია თბილისი?
დედაქალაქი ყველასი!
მიყვარს; წარსული, მე მისი,
მზიანი ჰქონდეს, მერმისი.
17.12.2021

ქვარნალა

ნოღის ხიდის ზემოდან,
ჭოლას სახლის ქვემოდან,
იას მზე არ ხვდებოდა,
უღონობა კვდებოდა.

ხევისწყალის წყაროსთან,
თითქოს სული ხარობდა,
გონი ინაბებოდა,
აწმყოც იბადებოდა.

წყარო წარსულს მოგვიყვება,
მომავალსაც გვაუწყებს,
ქვარნალასთან მოდის ყველა,
ის თაობებს გაუძლებს.

10.12.2021

თბილი სიო!

საიდანაც უბერავდა თბილი სიო,
იქითკენაც მიიწევდა "ირისი".
მთაწმინდიდან იწვერება დაისი
და ფირუზად ირეკლება ტბა ლისი.

მძვინვარ ვერეს გაღმა,
ადგილია "გდელისი",
გრძელი, ლისი ჭაობს ნიშნავს,
შემდგომ გახდა "დელისი".

ვერძებისა სათარეშო,
იქვე მაღლობს ვეძისი,
"საბურთა(ლ)ო" დიდი იყო,
ადგილებით ვრცელებით,
ირმებისა სალაღობო,
საჯირითო ცხენების.

ხილიანიც ერეოდა,
ვარდის უბნის ვარდებით.
კუს ტბის დაბლა ვაკე იყო
 საძოვრებით სტეპებით,

წყნეთამდე კი ბაგებია,
ერტყმის ეკალ- ბარდები.
აქეთ ავლით და კვლავ ბარი,
გარძელება ისანი,
სადაც ხშირად თავს იყრიდა
ჰამქარიც და მისანნი.

სამსა გორას, ვერე კეთილს,
"ნავთლუღ"-სა და მეფეთ ციხეს,
მოუყვება ქვემო, შემდგომ მცირე ციხე,
„ნარინ-კალა“ (ნარიყალა)
მდინარე მტკვრის ნაპირებზე
„ჭალის ბაღი“, ორთავ ჭალა,(მეგობრობის ჭალა)

კრწანისის ველს რუსხმულები,
 კათალიკოსებითგანა,
გამოყოლით "რუ"-ს თავისკენ,
გასდევს კიდე ფონი(თ) ჭალა.

ბარის მაღლა, მახათას მთა,
დაბლა ვაზის უბნები,
ელიას მთის ხოჯევანქი,
 "კუკი"-ს ტბები, ხუნდებით,

ავლა ბარსა მარჯვნივ იყო
ზემო კალა, “სუ ლოლ აჰ”-ის
(სოლოლაკი) წყლის სარწყავი არხები,
რადგან ირგვლის მორწყულიყო
 ავანაანთ ბაღები,

გაყოლებით "ვერისუბნის"
 ტირიფები, ჭადრები.
მარცხნიდან კი მიუყვება
ჩუღურეთი, დიდი უბე, (ცხენის ტერფი)
დიღომია გაგრძელება,
ხილ-ბოსტნების იქ სიუხვე,

ღრმა ღელემდე აშენებულს,
უწოდებდნენ „ნაძალადევს“
მუხათ გვერდით პატივს ცემდნენ,
მიცვალებულს დანაკრძალებს.

გლდანულას ხევს, იმის დაბლა
მიუყვება ავი ჭალა,
სადაც ხშირად ბანაკობდა
შემოჭრილი ავი ძალა.

მეტეხი და ხარფუხია,
თითქმის პირველ სახლობისა,
საიდანაც ქროდა სიო,
თბილი, გოგირდოვან წყლისა.

გორგასალის მიმინოდან
აღმოჩენით "ჩახოხბილი"-ს,
შემდგომ შვილის, მეფე დაჩის,
ვახტანგის-ძის გავრცობილი.

ბუნებრივი ცხელი წყლებით,
განკურნება იწყო ხალხმა,
იქვე დარჩნენ ბევრი წლებით,
შვება იგრძნო კაცმა-ქალმა.

აუშენეს გუმბათები,
გაჩნდა აბანოთა უბნები,
გალავანიც შემოავლეს,
რომ ყოფილიყო ურყევი.

დიდხანს აღარც უფიქრიათ
რა დაერქვათ, თან ხალისით,
თავისთავად მას ეწოდეა
შემოკლებით თ ბ ი ლ ი ს ი.

გაგებით დიდად შემკული,
სამშობლოს დედა-ალაგი,
წესებით, ზრდილად შერწყმული,
ჩამხუტებელი ალალი.

ნიჭის მოყვარე, კარგი ზნით,
ტოლერანტული „სალამ“-ით!
ლამაზი ეზო-აივნით,
ეს ჩვენი თბილი-ს-ქალაქი!

14.02.2021.

თბილისური

აფხაზს, გურულს, მეგრელს, ღომი,
კუპატ, ელარჯ, სულგუნს-ბოლი,
აფხაზურა ბადე ქონით
და კუჭმაჭი ხმელი ქონდრით.

იმერს თხელი ხაჭაპური,
კეცზე წიწილ, მუცელ-ქორი,
ჭადი, პრასი, ჭყინტი ყველი,
 საცივს ინდაურის ხორცი.

აჭარელსა აჩმა ფურნის,
კაიმაღი და სინორი,
აჭარული უმი კვერცხით,
ყაისაფა და ჩირბული.

ხევსურებსა ხინკალცომი,
ხავიწი და ერბო-ქონი.
ფშავსა, თუშსა დამბალხაჭო,
ყაურმ, გორდილ და კოტორი.

ქვემო ქართლის კერძი მაწვნით,
არჯაკელი, ბატი კომშით.
ეკალა და სატაცური,
ბოღლიწო და კარგო „ოსტრი“
ოჯახურში კანჭი-ორი,
და წვნიანი მარგი ოსპის.

მესხს და ჯავახს ქადა გულით,
ნაზუქი და ფენოვანი,
ჩეჩილი ყველი, ლუხუმი,
თუთმაჯ მრავალფეროვანი.

ლეჩხუმ-რაჭას, შქმერულ ლორი,
ლობიანი და ჯონჯოლი,
ხვანჭკარასთან ცხარე ხარჩო,
მათი საბადი და სარჩო.

სვანს კუბდარი, მთვარის ტოლი,
ლუკნე, ქნაში და ჭვიშტარი,
ნანადირევს ჟაკნის სროლით,
ჩახრაკული დათვის ხორცი.

კახთ ხაშლამა, „სუკი ღორის“,
ზუთხზე წვენი ბროწეულის,
ყველი გუდის, პური თონის,
ლოქო ქინძმრით, შილა დუმის.

ჩიხირთმა და ბოზბაშ გუფთით,
ლობიო კი თიხის ქოთნით,
„ტოლმა“ ვაზის ფოთლითა და
მარინადი ორაგულის.

ხიზილალა ფერით ორით,
ბადრიჯანი კი ჩანახით.
კალმახსა კი შავი წინწკლი,
შეკმაზული წითელ ფხალი,

ჩაქაფული, ჩახოხბილი,
ბუღლამა და „თათარახნი“,
ქაბაბი და მწვანილ-კიტრი,
ტკბილეული თათარათი.

ცოცხალი, მურწა-ჭანარი,
მუჟუჟი და ნივრით ხაში,
ორასი გრამი ჭიქაში.
სათამადოდ გოჭის თავი,
ისპანახია მალვაში.

ღვინო მორთმეული სურით,
ლურჯი ორნამენტულ სუფრით,
სიტყვა ნადიმს ქალაქური,
განწყობილი გულით-სულით,

შაირისა „კალმასობა“,
სადღეგრძელოებით ბმული,
დამფით-ხაზირ, დუდუკით და
ბაიათიც თბილისური.

03.08.2021

ყარაჩოღელი

მიეგებება სტუმარს სალმიანს,
ააწყობს ხალხურს ფანდურს ლარიანს,
და აამღერებს იქვე არღნიანს,
შუბლზე ააკრავს კინტოს ლარიანს.

და აანთებენ ცეცხლსა წალმიანს,
მწვადსაც დაჰყრიან კახურს ცვარიანს,
ტიკებს ჩაყრილსა მტკვარში ტანიანს,
წვენსა ადენენ მათ ტანინიანს.

ისპანახობას აწყობს თავიანს,
სუფრასთან იხმობს ის თავისიანს,
გამვლელსაც იწვევს, უცხოს ხათრიანს,
ნუგეშსა მისცემს სახედარდიანს.

თავად თამადა, იტყვის გვარიანს;
უფალი მოგვცემს დღეებს ხვავიანს,
დღისითა მზესა, ღამეს მთვარიანს,
ის დაგვიფარავს კაცთა მადლიანს.

და თუმოადგა მტერი დარიალს,
ააწყობს ფილთას ძველსა ღარიანს,
თავს აწყევლინებს ყველა შარიანს,
უკეთურსა და შურით დორბლიანს.

თბილისის ბურჯი

საქართველოა მხარეთ ნაკრები,
დედაქალაქით ტოლერანტული,
მოყვრისთვის მუდამ ღია კარებით,
არასდროს იყო გონით ფანტული.

ყველა კუთხეში დაბადებული,
თუ დაბადებიდან თბილისელი,
საათნოვა თუ იეთიმ გურჯი,
"შუშანიკი" თუ "აბო თბილელი"

და ჩამოვთვალო, რომელი ერთი?!
ვინც როგორ შეძლო, იყო ის ბურჯი,
სიტყვით, საქმითაც თუ სიყვარულით,
ზოგი ჰანგითა თუ კალამ-ფუნჯით,

მეჩუქურთმეა თუ კალატოზი,
აღმშენებლობდა თავისი დოზით.
ავლაბრელი თუ ორთაჭალელი,
სოლოლაკელი თუ მთაწმინდელი.

უმადური თუ ყისმათიანი,
ათეისტი თუ თორას მკითხველი,
ბუდისტია თუ მაჰმადიანი,
ცეცხლის თუ მზისა თაყვანმცემელი.
საქართველოა ყველას მფარველი,
ღვთისმშობლისაა, სადარდებელი,
ჭირ-ვარამისა ბევრის მნახველი,
სულის და მადლის მატარებელი! **15.12.202**

სადღეგრძელო!!!

დავლოცავ; ქართულ მიწას მადლიანს,
ზღვას, მდელოს, მწვერვალს მარად თოვლიანს.
სიმღერას ვუმღერ, მე მრავალხმიანს
გამოვცლი სასმისს, ლამაზ ფორმიანს.

ლექსადაც ვიტყვი ერთს ლაზათიანს;
ლოცვა-კურთხევით ვინც მოგვაქცია
და მომავლისთვის სისხლი აქცია,
წინაპართ ხსოვნამ და ტრადიციამ,
უხილავ მტერთან, მუშტად გვაქცია.

ვინც არად აგდებს "კანფეტს ფოჩიანს",
ვინც შთაგვაგონა "არა! ფორიაქს"!!!
ჟამის დროს რისკის ყველა კანდიდატს,
მღვდელს, პოლიციელს, ექთანს, სანიტარს.

მე ვუდღეგრძელებ ოჯახს ნათლიას,
ღვთისმშობლის წილხვედრს, ღმერთის-კალთიანს!
ქართველთ ბიბლიას, შოთას-კალმიანს
და ნიკოს-მერანს, გალას-მთვარიანს,

ვაჟას-არწივს და აკაკის-აკვანს,
გლახისგან მოკლულ ილია-მართალს!
გოგებაშვილის ქართულსა ამაგს,
ლუარსაბისგან გავრცობილ კვალსა!

გურულ კრიმანჭულს, ფრესკაში ვაზსა,
მრავალჟამიერს, ჰამლეტის ხმასა,
ნინოს ნარნარს და ილიკოს გასმას,
ჭაბუკიანის ოტელოს ტანჯვას.

სუფრას გაწყობილს, ფიროსმანიანს,
ჯავახიშვილსა, სიმონ ქვარანს,
ფარნავაზიანს და გორგასლიანს!
აღმაშენებელს, გუარამ მამფალს!

ქეთევანსა და მეფე თამარს!
ბოცოს-ძეთაგან გალავნის დაცვას,
ასიათასსა განწირულ თავსა,
თბილისს, მთაწმინდას და ჩვენ მტკვარსა!

დავით გარეჯის კელიებს წმინდას,
ფუძის ანგელოზს და ნიკორწმინდას!
მტერთაგან ჩვენზედ, წართმეულ მიწას,
ყველაწმინდას და სულიწმინდას!

თავისუფლების ყველა ქარტიას!
მშვიდად მოვასხამთ ჯანსაღ მანტიას,
შევთხოვ უფალს, რომ ჰქონდეს დღეგრძელი,
მომავლისათვის მზრუნველ პატრიარქს!!!
17.06.20.

ჩემად ნაფიქრი ბროწეულები.
ის გაიხარებს და გაიკვირტებს,
მერე იყვავილებს, გაიკვირვებს,
რომ ვერ ივარდებს, მერე იდარდებს
და გაიფიქრებს, ასე არ ივარგებს!

ამსუბუქდება, გაინავარდებს,
დამძიმდება და ინარნარებს.
ყვავილისფერი, კვლავ დაიდარდებს,
დაიმწვანებს და გაინარინჯებს.

ბოლოს კი წითლად დაბრაწულები,
შემოდგომაზე მოწეულები,
პირს დააღებენ დრო-წვეულები
და მოგვიწვევენ, ბროწეულები.

იმისი თავი და ჩვენი თასი,
დაიმარცვლება ის ფერად-ლალი,
რადგან ყვავილში არ იქნა ვარდი,
სისხლად შეგვარგო თავისი თავი.

მუზა მხატვრების, გარე-ატლასი,
მკურნალ-მძივები შიგნით ათასი,
ასე მოჰყვება დრო-წლეულები,
ადამს წითელი ბროწეულები. **15.06.20.**

ათოვს მარტში თბილისს.

მწყობრად ათოვს თბილისს,
გაზაფხულია, მარტის თვის,
თოვლიც მოითხოვს ხიბლს,
ასეა თითქმის ყოველთვის!

მწყობრად ათოვს თბილისს,
გაზაფხულია, მარტის თვის,
სიტყვას მოითხოვს თბილს,
დადნება მარტო...თავისთვის!

მწყობრად ათოვს თბილისს,
გაზაფხულია მარტის თვის,
გრძნობას უტოვებს თბილს,
უხერხულია მარტისთვის.

განწირულია დნობისთვის...
მადლობელია ნდობისთვის,
უკვე მზადაა ქრობისთვის,
კვირტიც ყალყზეა თრობისთვის!

11.03.2022წ.

"ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას..."

წუხელ კლასელმა დამირეკა წმინდა მიწიდან,
მეც ვუპასუხე მას ღვთისმშობლის წილხვედრ-
შინიდან,
მივცხეთ ჭიქები ეკრანს, როგორც კადრი ფილმიდან,
ჩვენ ერთიანად, "ჟუჟუნა-წვიმა" წაგვსკდა პირიდან.

მერე, როცა წამწამ-უპები ცრემლმა დანამა,
გული გვიჩუყა, სიყვარულით ბლაგვმა, დანამა.
დიდი მინდორიც გავიხსენეთ, სოხუმი-გაგრა,
მატარებელში, ჩამოვწიეთ ბოლო დარაბა.

დამრიგებელი დედასავით გვიმღერდა ნანა-ს,
მოგონებები გვიბრუნებენ ბავშვობის ხანას,
შუახნისები ვეწაფებით სიცოცხლის განცდას,
უფროსები, რომ გვარიგებდნენ და ტეხდნენ განგაშს.

მამის სიმღერა გაგვახსენდა, ძველი გიტარა,
„ბულბულის სტვენა“ კვლავ კვაჭიჭობს მარად და
მარად,
ვინც მეგობრის თაფლის სანთელი ხელით ატარა,
„ძველი თბილისი“-ც, გვახსენდება ბიჭობის დარად.

15.01.2022

ერთად დასაქარგი

საქართველო შენ ვინ მოგცა
კუთხე დასაკარგი?!
ღმერთის მიწა კურთხეული
ჩვენი დასაქარგი!

სამაჩაბლო, აფხაზეთი,
სამეგრელო, ლაზეთი,
გურია და იმერეთი ,
ყველა ქართლი, კახეთი.

რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი,
ქართველ-ზანთა დვალეთი,
ფშავი-(ფხოვი), ხევსურეთი,
ქისტთ-პანკისი, თუშეთი,

თიანეთი-მთიულეთი-
ხევი-თრუსოს კავშირი,
აჭარა და ჯავახეთი,
სამცხე, ტაო-კლარჯეთი,

ჰერეთი და საინგილო,
სოჭი, ლორე-ტაშირი,
სულიერი მოდარაჯე
ჩვენი დავით გარეჯი!

იბერია-კოლხეთია
კუთხეების დასაბამი,
ნიკოფსია, დარუბანდი,
ისტორია და საზღვარი.

რომელიმეს გამოკლებით
ჩვენი ყოფა არა არის,
მთლიანი და ერთიანი,
საქართველო ასე არის.

არ დაზოგეს გმირთა თავი,
რაც გააჩნდათ იმათ კარგი,
მათი ხსოვნა მუდამჟამი,
ამ მიწაზე არს და არის.

ჩვენ არა გვაქვს, ერთი გოჯიც
მიწა ჩვენით დასაკარგი,
აქ მცხოვრები ყველა ხალხის,
ერთად ჩვენი დასაქარგი!

23.09.2020წ.

(ამბავი პირველ ჯაყელთა,
გვარად ბოცვაძედ გაგრძელებისა).

ყველამ რომ უნდა ვიცოდეთ
ჩვენი გვარების მქმნელიო,
დიდი კვლევა მას არ უნდა
თავად გვარია მთქმელიო,

ვეძებე ისტორია და წიგნში
 წავაწყდი ერთ ამბავს;
ბოცო ყოფილა ჯაყელი,
მებრძოლი, მკლავმაგარი და
ყველასთვის პირში მთქმელიო,

გვართაგან გამორჩეული
მეფესთან გვერდში მდგომიო,
შვილებიც ეგრე გაზარდა
სამშობლოს ერთგულებიო,
გაჭირვების დროს თბილისის
გალავნის დამცველებიო.

მემნა ბოცოს-ძე ერთი ძმა
ლომგული, უძლეველიო,
მტერმა, რომ ვერა დააკლო
 ღალატით მოიშორესო,

ბოცო ბოცოს-ძე მისი ძმა
იმ გაყიდული ბრძოლიდან
სულ ძალით გააქციესო,

თორემ ბოლომდე იბრძოდა
ხვარაზმთ რისხვ ა და მგელიო.
ბოცოს და მისი შვილების

თავგანწირვა და საქმეო,
შემოინახა სამშობლომ,
სახელის უკვდავსაყოფად
გვარი უბოძა (მამის)ო,

მემნა და ბოცო იქიდან მოყოლებული,
იხსენიება ბოცოს-ძედ
და მათი შთამომავლობა,
(ს)იტყ"ვა"თ-ცვლილ
გვარად ბოცვაძედ.

წინაპრებისგან ვიცოდი
ბოცოსძეების შესახებ,
მეც მომეწონა ვერსია,
რადგან თავად ვარ ბოცვაძე.

ისტორიული მასალა შევკრიბეთ!
გურამ და ლევან ბოცვაძემ,
გავაფორმეთ და ავკინძეთ
შთამომავალთა სამძივე.

წიგნი შეიკრა ბოცოს-ძეთ
სამაგალითო ბიჭების,
ვისი გორის ხარ, შენც ნახე
თუ დაგებადა კითხვები.

ამაზე აღარ დაობენ
მართალია თუ მითები,
ვერსია კიდევ ბევრია,
რატომ არიან გმირები.

ისტორია კი სხვაც მოსდევთ
ამ ჩინის გამგრძელებლების,
გვარდიას ხელმძღვანელობდნენ
ჯაყელი ბოცოს-ძეები,
ციხეს ჯაყისას გაუძღვა,
ყვარყვარე ციხისჯვარელი.

კიდევაც აილესება
ჟანგიან დანის პირები,
პირველნი ჯაყელთაგანნი,
რომ იყვნენ ბოცვაძეები,
სწორედ ჩვენ ამას მოგითხრობთ
ეს არის დანაპირები.

28.11.2019

ნ ო ღ ა

(ბარ)-საჯავახო, ჭოგ-ნარი,
ტოლე-ბი, ვაზის-უბანი,
ბერძნის წყაროსთან ქვაყ-უდე,
ტყეში ჩაფლული კოხ-ნარი.

ნაციხვარა და ზანდოს მთა,
სამტრედეს „დასასრულია“,
გურიის დასაწყისი და
ოცნების არსასრულია.

მთებს შუა მოსულ „ხევისწყალს“
გარშემო ერტყმის სოფელი,
ზემო და ქვემო ადგილებს
ნოღა რქმევია ყოველთვის.

მთის ძირში ნოღას ზემოდან,
ამაყად უცქერს ბეგა,
გამოჩინებულს ზემო აბაშა,
როგორც ალფა და ბეტა.

ეგრისის დიდი ომის დროს,
VI საუკუნეში,
„ტელეფისი“-სა ციხესა,
გამაგრებული ყოფილა
სარდალი მარტიანე და
ეგრისის მცირე ჯარები.

ვერას უზამდნენ სპარსელნი,
თუ არა მერმეროესი,
მან გაავრცელა ხმები,
რომ იგი არ იყო ცოცხალი
და ბიზანტიის ჯარებიც
მოეშვნენ, იწყეს ხალისი.

ხრიკით აჯობა "სასან"-მა
მარტიანე-სის ჯარებსა,
ტელეფისს-ციხე დაიპყრო,
დაეპარტონა არესა,

ვაჭრობდნენ „მცირედ პროდუქტით“
გზა ქარავნისა-როა,
აქედან მოდის სპარსული
(ბაზარი) სიტყვა ნოღა.

ტელეფისია-ტოლები,
ნასვამი ბერძნისა წყარო,
ჯავახელების საყუდე,
სამტრე და შე-საჯახო,
ოდიშელების სამიზნე,
საჩინო-საჭილაო,

ძველი ეგრისი, კოლხეთი,
იწყება იქ სამყარო.
მწვანეში არის ჩაფლული
ნოღა სიცოცხლის გზა,

გორ-მაღალია, ბურ-(მ)ნათი,
გარს ერტყმის ნიგორ-ზღვა,
ბუკისა-ციხეს, თამარის „გვაბრათ“-ს,
ბორცვზე „გურიის ტბა“.

„საკურთხეველის“ სერებსა,
სურებს უყვება ფარცხმა,
ჩოხატაურში ხიდისთავს,
მწერლებს მუზების თავსხმა,
ნაბეღლავს ზემოთ ბახ-მარო,
 სადარი არ აქვს სხვა,

იქვე გრიგოლეთს ურეკი,
ქო(ვა)ბულეთს შავი ზღვა.
დღეს კი „იმერის გურიის“
ადგილი მიხმობს, ცაც.
მოგონებებით, ბავშვური,
ან ნოსტალგია სულაც.

სად მამაჩემის აკვანი,
დაირწა საარაკოდ,
წინაპართ ძვლები მეგულვის
და ნოღის სასაფლაო,

ბაბუის სახლი, ეზო
და საცხოვრის საალაგო,
ერთ დროს, რომ
სჩქეფდა სიცოცხლე,
სტუმრისთვის საამაყო.

ყოველთვის მომენატრება
სუფრის თავს მათი ხმა,
გურული კრიმანჭული
და მათან „ადესის“ სმა,

მათგან ნასვამი ჭა,
მათი ტკეპნილი გზა,
ეზოში საქანელები,
ცაცხვი, ჭური და ბზა.

16.02.21.

ოთხი ეზო და ია-სამანი

სოფლის ეზოში გორასთან,
აკაციების ჩრდილში,
ტრიფოლიატის სამანთან,
მზეს ვემალებით გრილში.

ლადიკო-ბაბუ მუდამ საქმეში,
მასწავლებელი "შანიძის კლასში",
ჭყინტი სიმინდი, ატამ-სახეჩი,
მოაქვს ბაღიდან სახლში.

გიორგის ოდა მოვლის ხიდია,
გეგუჩაძის და ჭოლიკაურის,
დანატოვარი ჟენიას-დიდია,
უყვართ ლადიკოს ცოლიკოური.

ბილიკით მოკლე გზა არის,
ეზოსკენ ბერაიების,
იქ არის ნინო-ნოდარი,
მშობლები,“ ქერა იების“.

თან ახლავთ ბებო-ბაბუაც,
ლილი და რაფიელი-
-მოყვარე, ძმადნაფიცია,
ყრმობიდან ტფილისელი.

მაკა-ლიკაა! ტოლები,
ჩემი დის-ნინოს მსგავსად,
კარში ვარ, გააქვთ გოლები,
„მჩაგრავენ“ მაგრამ რა ვქნა?

კლასობანა და მიზანს სროლები,
ამის პატრონმა რა ქნას?

---უხუცესია ბებია-დიდი,
ძნელაძის-ქალი, ჯოხით!
ბაბუ..ჭიშკართან მიდი!
თვით კალიოფე მოდის.....

მოდის?! ..და მეც ამაყი გავხდი,
საუკუნეა მომავალს შორის,
ისტორიაა ნოღის,
გრძნობით კი ჩემი ტოლი,
მოდის ნაწრთობი ტონით,

...ჩვენს სანახავად მოდის!
...გრძელი გზით, ნელა მოდის!
...და სიყვარულით მოდის!
მე კიდე, მჯერა იმ ძველი დროის,
ვიდრე დროების-მოდის!

11.12.2021

ჩოხატაური

არდადეგები ჩოხატაურში,
ჩაის სურნელით დილა,
გურული ღვეზლები და მურაბები,
ფოია სუფრას შლიდა.

რამ დამავიწყოს ტკბილი ბავშვობა,
დღისით „ბრისილიმიაუ“
სუფსაზე ბადით თევზაობა და
საღამოს „სეფე მუაო“.

გურულ იუმორს ენამოსწრებულს,
ვიგებდით ყოველ წუთს, ყველგან,
გვხედავდნენ ჩაბჟირებულებს
და უხაროდათ სწორედ ეგ ჩვენგან.

ბებიას ძმისა მირიანისა,
ტყუპები; გმირი და დევი,
სტუმართმოყვარე, გურულთა ზნისა,
შრომა, ხასიათს თანამდევი.

არდადეგებზე მათ ოჯახობას,
ისმოდა დიმპიტაური,
სულ მეყვარება ბიძაშვილობა,
ჩემი ბავშვობის ჩოხატაური.

25.03.2023

ა რ დ ა დ ე გ ე ბ ი

(თხრობა ზაფხულზე, მთაში კ ლ დ ე ი ს შ ი)

რიჟრაჟი, შავი იქმნება ლურჯად,
მერე ზამბახად გახსნის იარებს,
და ცა ალისფრად, რომ მოშუშდება,
დაისი აისს იმშობიარებს.

ნარინჯი ციდან ეღვრება სხივებს,
რომ დაანაყროს ცინცხალი დილა,
თითქოს ჰაერი ნასუნთქი ხარბად,
გონს და ფილტვებსა ერთადა ხსნისა.

მთაში კი ამ დროს, ტკბილია ძილი,
უხმოდ მცურავი ლაგდება ნისლი,
სუსხი, სადღაცას ყივილი მამლის,
ბალახსა ჰკოცნის ცვარი და ნამი.

ბოსლად საქონლის ქშენა, ქავილი,
ყელზე ზარის ხმა, დინჯად ბღავილი,
რიგით ნახირში პირუტყვის მითვლა,

კავკასიურის ყეფა ხავილი.

ბანს აძლევს არწივი, მეფე ცისა,
მაყურებელი, ზეცით მიწისა,
ყანთრით ნაზიდი პატარა სათლი,
რძე მისაკითხი მეზობლისთვისა.

საყდართან კრთომა დანთებულ სანთლის...
წამსვლელი „ჯარის“ მზადება სათიბს,
საგზალზე დაკიდებული,
ვირისა ფორმის, საწკეპი სკამი.

რიტუალია ლესვა ცელების,
ფოცხი, ორთითი, ტლანქი კეტები,
"ბედენს" წავიდნენ კაცები ღამით,
დროც კი არააქვთ არც ერთი წამი.

მათი ნათიბი ბალახის ჭელი,
როცა გახმება ღვარეულისთვის,
მისგან კეთდება ბულული ბევრი,
ნაკრები კიდე, ზვინია თივის.

ქალი წინ უზის რძის "სეფერატორს",
და ატრიალებს მონოტონურად,
რკინა ზუზუნებს და არაჟანიც,
თავის შედღვებას, უცდის მონურად.

მას ცალი თვალი უჭირავს ვარცლზე
და აკონტროლებს, პურის ცომს,
ასტამს გაავლებს, თანაც ჩაალბობს,

თუთუნივითა გამხმარ კომბოსტოს.

თაკარა მზეც ნელ-ნელა ხურდება;
"არ გაიგუდოთ ამდენი ძილით...
--გაუშვი ეძინოთ ბავშვებს ტკბილად"
დაელოდება გუნდა კოკრების.
შიგნითა ოვალს ფურნისა, მხურვალს,
რომ შეაცურონ საცხობად, ფრთხილად.

ჩამოცხა უხმოდ აჭერს მზე მთისა,
არსად არ არის კაცის ჭაჭანი,
შორით ზარმაცი მამლის ხავილი,
იქვე ქათმისა ისმის კაკანი,
და ჭრელი კატის კრუტუნ-კნავილი.

ვერ იგრძნობ ფოთლების თუნდაც შრიალს,
იმასაც იგებ, ეს ბორა ბუზი
დაჰქრის ტყუილად, და მერე უცბად...
გაიგებ როგორ ჩაიწუილა...

--ჭალაში წავალ.. იქნება რამე...
ტარი გამოვა სადმე, იფნისგან,
ან ლოპოსა გაცლით, ასაჟღერი
თუნდაც ყამიში ლელიანისა.

ჭალის ხმა კიდევ სულაც სხვა არის,
აყრუებს ტყესა კოდალა შორით
და ექოთ ამრავლებს, ხმას გუგული,
შაშვი გალობს და უსტვენს ბულბული.

ახლოს ჭრიჭინა ამძაფრებს არეს,
კრაზანას შიშით ხელს უქნევ მარეს,
კალია დახტის უმისამართოდ
და შეიძლება ცხვირზე შეგახტეს.

პეპელა მწვანე ბალახის ღერზე,
მწყობრად და ლამაზად არწევს ფრთებს,
თითქოს ისვენებს შემდგარი ცერზე,
ანდა დიდი ფრენისთვის იღებს გეზს,
დრო ცოტა აქვს, მხოლოდ სამი დღე,
მისთვის ხანგრლივი, ვით საუკუნე,
ფეხზე დამდგარა თავად სალი კლდე,
არ უშინდება დროს და უკუნეთს.

ჭია მაიას დაისვამ ხელზე,
პოვნას ჩაუთქვამ დაკარგულ ნივთის,
თან შეპირდები, რომ აპოვნინებ,
დედას, დარისა შემცნობსა მისთვის.

ციყვი აგროვებს ზამთრისთვის გირჩებს,
"მას" თუ უყვარხარ, გვირილა ურჩევს,
არშემთხვევაში მეგობარს უხმობს,
და საბოლოოდ საქმესაც უწყობს.

ბაბუაწვერას სულს შეუბერავ,
რომ სიყვარულმა თავისთან გიხმოს.
წითელი კაბით, იქვე ყაყაჩო,
იჭვიანებს, მაგრამ დაგინდობს.

სიცხეც ბერდება და კარგავს ძალას,

ნიავს დაუთმობს გათანგულ ტატამს,
მოსასვლელები არიან კაცები,
სახლში შემოვლენ ვინ იცის რაწამს,

ახალი საქმისა დასაგეგმად,
ან სულაც სტუმრის დასახვედრად,
ავი სულების საერთოდ არ სწამთ,
მათ რეალობა ირგუნეს ხვედრად.

ნიავიც მალე დახნოვანდება,
ის მოედება სიცივედ მუქად
და დაელოდება გამძღარ ნახირს,
ცხვრის ფარაც მიუხვ-მოუხვევს ნაბიჯს,
ერჩიო-გაერჩევა სხვანაირს.

ძროხებიც შევლენ ჯერ კიდევ ნათელს,
და მოუცდიან პროცესს მოწველის,
თუ არ ეფერე გიქცევენ ნაწველს,
პატრონი, რომ იმედით მოელის.

კუდმიკრულები „კრულვა-წყევლით“,
მენჯებზე რბილი „სილა“ უშველით,
მერე კი ყაბულსაც არიან და
ზანტად ამოიცოხნიან, შვებით.

ფრინველიც უკვე დაისაბუდრებს,
შეყუჟულ სახლში, შუქი ინათებს,
ნასუქი ღორი კვლავ წაუხვრინებს,
მშიერი ტურა კივის-წანწალებს.

უკუნს კი მთვარე არ აძლევს საქანს,
ციცინათელა არ ირგებს საბანს,
იმედიანად ანათოს რადგან,
მზეთუნახავმა მოირგოს კაბა.

იჭედებს ზეცად ვარსკვლავი ხვავლად,
მას მოძრაობა უხდება ხანაც,
ეს ყველაფერი ერთმანეთს ავსებს
და კარგი დარი იქნება ხვალაც! **21.08.2021**

უარყოფილი ზამთარი

ზამთარს უარყოფს ეს ნაკვერჩხალი,
ნაცრად იქცევა, ეყო ტკვარცალი,
გაიფოთლება ხე ნეკერჩხალი,
და დაბრუნდება ლაღი მერცხალი.

თივას უარყოფს შინ საქონელი,
ენით ბალახი აქვთ საკორტნელი,
ჭია-მაია თითქოსდა ნელი
რადგან დედა ჰყავს მას საპოვნელი.

ძილს უარჰყოფენ ტყეში დათვები,
ქერქს გააძრობენ იფანს ტორებით,
თოვლსაც უარყოფენ მთაში გორები,
მოცურდებიან დიდი მორები.

ფრთებსა გაშლიან ცაში ქორები,
წიწილიც ივლის კრუხის ქოლგებით.
კაჭკაჭი კუდს შლის თავის ჭორებით,
შველი კანკალებს თეთრი ჭორფლებით.

ღრუბელს უარყოფს მზე მომცინარი,
გამოანათებს ის მომკბინარი.
ყინულს უარჰყოფს ლოლო გამდნარი,
წყალი გახდება ის გამდინარი.

შვიდჯერ იწვიმებს, წვიმა მაისის,
გასათხოვარი თავის ბედს ელის,
ღამეს უარჰყოფს დილის დაისი,
დღეს გაეზრდება წამი ნათელის

იამ უარჰყო ნეშოს სურნელი,
მხრებზე იტვირთა მიწის ელფერი
დადგება ჟამი ბარვის და თესვის,
ბებერ სიჩუმეს ხმაური შესცვლის.

შრიალ-ჭიკჭიკი, ფუტკრის ბზუილი,
თქრიალ-ბღავილი, პეპლის ფრიალი,
გაზაფხულია ოპტიმისტური
და პესიმიზმი უარყოფილი!

20.10.2020

გაუსვლელ-გამოუსვლელი
(ჩარჩენილი)

არ ვყოფილვარ არსად...
საქართველოს გარდა...
(თუნდაც წარმოდგენით...
თუნდაც სანახავად...)
ვერ ვიცხოვრებ მარად...
ნოსტალგიის დარად...
იქ ღიმილით ფარსად,
აქ ვემსგავსო "აზდაკს"...
...მე არ წავალ არსად...
ვერ შევიცვლი ფასადს...
ვერ გავიხდი არსად,
უცხო ყოფას, ფარად...
...არ მიცდია სხვაგან,
გამეწია ფარდა
და ცხოვრება სადღაც,
შემიძლია განა?!...
გვიანია რადგან;
არაფერი არ მაქვს...
ქართველობის გარდა
(და ეს განძად დამაქვს...)
მივუყვები სოლოდ,
საწუთროსგან ცდას...
...მე ვაგროვებ მხოლოდ,
წინაპრების განცდას...

10.06.2021

დარაჯები

აქ დარაჯები კურთხეულ მიწის
არ შეუშინდა სიცივეს შიმშილს,
აქ "დატანჯული" სხვა მიწას მიდის,
რომ განერიდოს ტირილს და ქირქილს.

უსიტყვოდ ვუცქერთ აქ დარაჯები,
როგორ მიდიან იქ დარეჯნები!
და ჩამოდიან სხვისი არჯლები,
რომ ჩამოიხსნან მათ კაეშნები.

ვისაც ფული აქვს აგებენ პატივს
არ განაწყენდნენ "შარმიანები",
ყურში კი ხშირად ცუდად ჩაგვესმის;
"კავკასიონზე მიჯაჭვულები.....
.....მშიერმუცელა ამირანები".

აქ დარაჯები კურთხეულ მიწის
არ მოგეშალოთ, ამინ! ცა ნებით.
დრო არ ჩერდება მიდის და მიდის
უსასრულობას დრო თვლის წამებით! **21.11.2020**

ქართული თეთრი

ძველია ქართულში სიტყვა ქველი,
გველია სიტყვა შეგრძნება ბნელი,
"არაგველია" 300! გმირობა ჩვენი!
არა!-გველობას, ეს არის ძნელი?!

არა ქველობას მოჰყოლია
შური და შტერი!
ზედმეტ ქველობას კი
მოჰყოლია შიდა რეტი,

ქართველობას და საქართველოს
სულ ჰყავდა მტერი!
"არაგველობა" გადაგვარჩენს!
რა გზაა მეტი?!

არა-გველობას! ვუღეროთ კეტი,
არ გვინდა ბნელი...!!!
არ გვინდა ცეტი!
არ გვინდა რეტი!
ავისა მქმნელი, სხვა ვითომ ქველი,
სხვისი "ცენტია" სწორედაც კეთრი,
ვამრავლოთ ძველი, ქართული თეთრი.

17.07.2023

მიწები გვაქვს ნოყიერი

ტირიფების "მანეული",
მარანი და მარნეული.
იქვე ახლოს მადნეული,
მოსახლე კი მშვენიერი.

ქვემო ქართლი არის
მიწით ნოყიერი.
ჩვენისთანა "დარდი-მანდი"
„განა არი სადმე ერი?!“

კახეთში კი განაპირას,
გარეჯი დგას მანდ ეული,
საქართველოს სიწმინდეთა
მომტანი და დღეს სნეული.

გადათხარეს ვინ იზამდა?!
თუ არ მტ(ვ)ერი!
„ჩვენისთანა უდარდელი
არის განა სადმე ერი“?!
16.02.2020

შეუპოვარი

ცეკვას შეხედეთ! რა ალმურია,
ჰანგებს შერწყმული ერთი სულია,
ხანჯლებით, როკვაც საამურია,
ვაჟკაცის მაინც რკინის გულია!

"ალგეთს ლეკვები"-ს კარგად აღმზრდელო,
იმედით კურნავ დაღლილ იარებს,
შენ ვაჟკაცების მარად მჭედელო,
ღმერთო, მშვიდობით მუდამ იარე!

მთებში-არაგვი, დაბლობს-რიონი,
თბილისს კი მტკვარი მოედინება,
ჩვენ მასპინძლობა, რომ ვიცით
ვაჟას სხვა რამეც მოეგონება:
" სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება"

10.03.2022წ.

გვმართებს ერთობა!

უცხო ნაპირის ქველმოქმედება,
თავში ნაფიქრი "გველმოქმედება",
მშობლებს ვუყვარვართ ჩვენ უანგაროდ,
მხოლოდ ერთობა გვმართებს, უბრალოდ!

რად გინდა ეს ცა უკაშკაშო?!
ან წყალი მღვრიე, უკამკამო?!
უცხო, მიწაზე არ აპარპაშო!
ისტორიაა ხმალი უქარქაშო!

"სპარსი, ჩინელი, იანიჩარი",
ჩვენზე უჭირავთ იაფი თვალი,
ყველას თავისი აქვს მთა და ბარი,
მე მათ ვურჩევდი, იქ დადონ სარი!

ბევრი გამოდგა მლიქვნელი ქველი,
ჩასაფრებული ფარჩაკი მკვლელი,
ვინც გაებმება იმისი ბრალი,
ისტორიულად არა გვაქვს ვალი.

უცხო ნაპირის ფულდაბანდება,
თვისებით ნაღმი, ნელ-მოქმედება,
ჩვენ გავისარჯოთ ეგ მოგვიხდება!
ვფიქრობ ეყოფა ჭკუას გონება.

არ გვარგებს სხვისი ოქრო-ქონება
მომავალისთვის არის პრობლემა
და მერე ნახე შენ დამონება,
ჩილიმ-ბოლების, მცოცავთ-მჭამლების,
მამათმავლების "დაპატრონება"!

ღმერთმა არა ქნას, ღმერთმა არა ქნას!!!
ქართველს ეყოფა ჭკუა-გონება!!!
უცხო ნაპირი მხოლოდ ერთობა?!
ჩვენ გადაგვარჩენს მხოლოდ ერთობა!!!

27.07.20.

ქართველები ვართ

ჩვენ ადამიანები ვართ,
ადამის მოდგმა, შვილები,
ყველას მშობელი დედა გვყავს
და ვართ ჩვენ ქართველები.

ეს მიწა გვაერთიანებს,
მას საქართველო ჰქვია,
და მშვიდობისთვის დავიცვათ,
არასდროს არის გვიან.

მაშ გაუმარჯოს სამშობლოს,
იბერულს, ქართველთ წარმომშობს,
მიწაა მადლმოსილი და
ჩვენს იდენტობას მარად შობს.

28.05.2023.

მახვილ-კალმები

ერთხელ გაცნობილს გაბედულად

შენ მეორედ ვერ ესალმები?

თუ ფიქრობ „ჩემგან განსხვავებით

ესახება მას მომავალი“

სიმართლის მთქმელსა უნდა ჰქონდეს

ერთნაირი მახვილ-კალმები,

თუკი იცი, რომ შენ გაქვს მხოლოდ,

მშობლების და სამშობლოს ვალი.

მხრები

ტკბილი იყო მამის მხრებზე ჩაძინება,
ასე იყო თურმე ხშირად ჩემი ნება,
შაბათ-კვირას მამა ასე დადიოდა,
მის მხარს კედე ნამი ხშირად გასდიოდა.

გაღვიძებულს „აჩიკუდა“ მინდებოდა,
სქელ კისერზე ვეხვეოდი „მუხას მუმლი“,
ასე დიდხან დავდიოდით, ბინდდებოდა,
არ მინდოდა აკვანს, არტახ გადაკრული.

ბაბუს მხრებზე უნდებოდათ მშვიდი ძილი,
მამაჩემის მხრები იყო ტკბილად თლილი,

14.04.2023.

მამაჩემს, კი ჰყავდა დედა, თექვსმეტ წლამდე,
ძმის სიყვარულს უმწვავებდა მას ობლობა,
მათ სტანჯავდათ ერთი გრძნობა, იქ წასვლამდე,
ერთი დედის, წართმეული მზრუნველობა.
მამაჩემს, რომ დედა ჰყავდა თექვსმეტ წლამდე.....
03.03.23.

მამა, რომ მყავდა
ვეჯიბრებოდი პატარობიდან,
ქვეცნობიერად, ხან ცნობიერად,
მამა აღარ მყავს!
მეჯიბრებიან პატარობიდან,
მე ერთი ვიყავ, ესენი სამნი,
ახლაღა მივხვდი.....

მამის დალოცვა.

შენი დალოცვა აქ გვამხნევებდა,
იქიდანაც ვგრძნობ მას,
დღემდე მე შენით დავდივარ აქ,
შენი თვალებით ვუყურებ "დას",

სამნი არიან "ბაბუს ბოკვრები"
ისინიც გრძნობენ მას,
რადგან შენ უმზერ ჩემით ვალებით
და ვაძლიერებთ მათ,

დიდი ხნის მერე ერთად ვიქნებით
ჩვენს "წინაპრებთან მანდ",
გადავინაცვლებთ იმათში უკვე და
მათი თვალით შევხედავთ "სხვას".

08.05.2022

ბიძის დარიგება

რადიკალურად შეცვალა,
 ერთ წამმა ჩემი ყოფაო,
მამის საფლავზე ავედი,
ქარს მიწა აეყარაო,
შავმიწა მოვატანინე,
თან სევდა შემომაწვაო,
ბიძასთან გადავიარე,
ცრემლებმა მომიარაო.
"შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
ცუდია დაღრეჯილობა"!
მივხვდი, იმ წუთში იმათთან
ჩემს თავს ვტიროდი ჯაბანად.
თავი დავუკარ ვისმინე,
რომ გავიაზრე რაც იმ წამს
გადამხდა ჩემსა თავსაო,
თითქოს ზურგიდან მეცა და
მხნეობა მომაფრინდაო,
მერე ბედისა მორჩილსა,
ცოლ-შვილი გამახსენდაო.

მონატრება.

ღმერთო ისე გამატარე საწუთრო,
ამაცდინე ჯოჯოხეთს და ტკივილს,
სამოთხეში მე შევხვდები მამაჩემს,
არ დავიწყებ წუთისოფლის ჩივილს.

თუ სამოთხე ჩემთვის იქნა უბრად,
მომავლინე ცისფერ ნისლის სავალს,
ხან გავთოვდე, სეტყვა ვიყო თუნდაც,
ყვავილებად დავეფინო საფლავს.

დღენი დიდი ჰქონდეს მის დანარჩენს,
ამა ქვეყნის თაბუნსაც და ჰამქარს,
სამოთხეში მე შევხვდები მამაჩემს,
მოვუყვები საქართველოს ამბავს.

24.08.2020

ნუ შეაგინებთ საკუთარ, თუნდაც სხვის დედებს!!!

ბევრი უთქვიათ დითირამბები,
უძღვნიან ლექსებს დიდის ამბებით,
ბევრსაც იტყვიან წრფელი გულებით,
მეც ვიტყვი თქვენის ნების თანხლებით.

დედა მცნებაა მარადიული,
ღმერთის სულისა ჩვენში ჩამდები,
აღზრდით ნაკლისა მომცილებელი,
ჩვენთვის სიცოცხლის სასწორს დამდები.

კარგი ვიქნები, მახარებელი?
ცუდის ჩამდენი, შემგინებელი?
მაინც ღირსების მატარებელი,
მასში ღმერთია შემრიგებელი....

ეს კი ჩვენზეა რანი ვიქნებით,
თავსა დავტვირთავთ როგორ ფიქრებით,
ასეთი უნდა დიდი ამბები,
ლექსად არ თქმული დითირამბები....
აკეთე საქმე სავსე სიკეთით,
იყავ გულისა გამხარებელი,
დღე და ღამ შენზედ ფიქრში ნათევის,
მისი ჭაღარის დამფასებელი.

"რაც რამ მტრობას უნგრევია,
ლამაზს შეუჩერებია"

მწვანეს ყვითლით,
ლალისფერი ურევია,
ეს პალიტრის ბგერებია,
საოცარი ფერებია!!!
ხასხას მინდორს და
ყაყაჩოს ბაღი გაუშენებია,
ორივე კი ამ სამყაროს
ქალით დაუმშვენებია.

მეუღლე

დიდხანს ვეზიდე
უღელი ცალი,
მეგონა ვიყავ
კარგი მეურნე,
მე მოვიყვანე
თავიდან ცოლი,
ის კი დამიდგა
როგორც მეუღლე.

სქოლიო

აი უკვე დაიხუნძლე ჩემო სოფიო,
მე ხომ შენ გაჩუქე მთელი მსოფლიო,
შენ ხარ ძირითადი ბავშვების სული-ო,
და მე, როგორც თქვენი ყველას, სქოლიო!

03.03.2022წ.

წყარო

მწერალთა სახლს, წყაროს წყალი დასწყვეტია,
ამ ამბავზე გული ძალზედ დაგვწყვეტია,
წამოვიწყოთ ყველამ ერთად ჩვენ ეგ საქმე,
პოეტების დიდი სიტყვა უწყვეტია.

დაგიდგებით გვერდში მე რაც შემეძლება,
მაგ საქმისთვის თან ყოველთვის მომეცლება,
რომ ილიას აკაკის და ვაჟას წყარო,
მომავალმა თაობამაც შეიყვაროს.

12.03.23

შეგონებანი ჩემს თავზედ.

ბაბუას, რომ პატივს სცემდნენ,
ბედი ჭედა სულითა,
მამაშენი კი უყვარდათ,
თავის წრფელი გულითა.

შენ, შენი დაიმსახურე
სიკეთე არ მიითვისო,
ფიქრობდე და იმსახურე,
ესე არის ნება ღვთისო!

ყოველ ღამე შენთავს ჰკითხე
ჩემი საქმე სანთელივით,
სიკეთისთვის თუ იწვისო?!
და ცხოვრება ბასრ ცელივით,
ფეხს არ მოგკვეთს წინ ივლისო.

ყველაფერში მოგებაზე მოფიქრალი,
საბოლოოდ წააგებსო!
ზოგჯერ დათმე დასათმობი ,
ტვინს აზრი ნუ გაასწრებსო.

ზრუნვითა და შენი შრომით,
კარგის მთქმელსაც წაასწრებო.
დამიჯერე სხვისი ხარჯი,
კაცსა ხშირად წაახდენსო. **09.05.2020**

შვილებს

თავს ზემოთ, რომ ხედია
მხოლოდ იმას გასცქერით?!
თქვენ ყველაფრის ხართ ღირსი,
რასაც სწვდება თავს ხედი?!

ცოტა თავიც დახარეთ
და აღიქვით გვერდხედიც!
გვერდით მყოფნიც ახარეთ,
რომ არ გერქვათ "თავხედი".

05.02.20

ასოთწყობა.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ
აბგიარ-აბჯრით დევიზითა,
ი კ ლ მ ნ ო პ ჟ
იკას ლამბო, ნოეს პეჟ'ო,
იკლო მონემ პეიზაჟ'ში,
პროტეჟ'ეა პრესტიჟ'ული.
რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ
რესტრუქციის ფონად ქცევა,
ღრეობა და ყეენობა,
რაზომ სიტყვის უგულობა,
ფქვევა ღომის, ყველყელობა.
შ ჩ ც ძ ჭ ხ ჯ ჰ
შარი ჩემი, ცოლსაც, ძმასაც,
ჭირში ხილვა ჯავრსა ჰფენდათ,
შაშვი-ჩიტი ცასა ძრავდა,
ჭიუხებში ჯიხვი ჰქროდა.
შენი-ჩემი ცოდნა ძველებს,
ჭარმაგ ხელში ჯვარად ჰქონდათ.
(ჰაიგიდი?!)

25.08.20.

ბალანსი

ზრდილობა კარგია ყოველ ქმედებაში,
ყველა გვეუბნება შემოქმედებაში,
ნუ გაჩერდები კარგის კეთებაში,
არ დაგეძინოს, შემო ქმედებაში.

არ გინდა ცუდის კარგად დემარში,
არ გინდა დებოში სიკეთის დებაში,
ლამაზად მოიხმარე ეგ ორი გროში,
სხვაც დააპურე არა გაქვს „ხოში“?!

ბევრი დედაა შვილებით ქოხში,
ფეხშიშველია არა აქვს ქოში.
გაზრდის და მერე გაუშვებს ომში,
დაფასდებიან გმირები დროში.

მშვიდობით ასახავენ შემოქმედებაში.
მერე ოდესღაც ისიც მოვა ქმედებაში,
ეგ ბალანსია ოდითგან დებატებში.
ვინმე გამოჩნდება ამდენ „ბატებში“

ხოდა სანამ დროა შემო ქმედებაში,
რადგან მადლიერი გვყავდეს თაობები,
არა! ძალიან მაძღრები დებეტებში,
არა! ძალიან მშივრები კრედიტებში.
14.07.2020

ანდაზიური

ხელმა ხელი დაბანა
ორივემ კი პირიო,
ტყუილს მოკლე ფეხი აქვს
გაეზრდება ცხვირიო...

ცხვარი არის ცხვარიო,
თუ გახცხარდა ცხარიო...
შრომამ შეჰქმნა კაციო,
ბევრმა მოკლა ხარიო...

დააბი თან ატარე,
შეეცვლება ნირიო,
კედელს ცერცვი აყარე
სხვისი ჭირიც ჩხირიო...

ჭიქას უჩანს ძირიო,
დაგეცლება მტერიო,
სხვისი ბამბაც ჩხიალებს
ჩემი არაფერიო!

12.11.2021.

სუბლიმაცია

გულის ტკენა რასაც ნიშნავს
კარგად ვიცი ყვარყვარეო,
კარგი რაღა იქნები და
სხვა ვერაფრით მახარეო?!

"მოყვასს პირში უძრახე და
 მტერს ზურგს უკან" მოყვარეო,
თუ გცოდნია ისიც იცი,
არ ვარ შენი მოვალეო!

მოხარშულს თუ შემწვარს მიცნობ?
აზრი ჩემიც გაცვალეო,
სადაც შენი დაიკვეხნო,
იქაც ჩემი მაცა*ლეო.

თავს თუ იჩენ, მე სხვაც მიცნობს,
საკვირველი, დამალეო?!
ძაღლი, ძაღლის ტყავსა ინდობს,
შენ კი თავი დამარხეო.

ზედმეტ შარებს არ ვირ*თავო,
კეთილ ზნისა შერწყმითაო,
სადამდეც ხარ, ისიც ვიცი,
 შენი სახის მალვითაო,

მე კი დავას, გულს დავიცლი
ცივი წყლისა დაცლითაო,
" რაც მოგივა დავითაო,
ყველა შენი თავითაო" **25.01.2022წ.**

ხარ-ხარი

კაცმა კურო დაკოდა და
გამოვიდა ლაბა-ხარი,
ის შეაბა უღელში და
გაამრავლა დაბლა-კვალი,

"კურომ" "ვაცი" დაკოდა და
გამოვიდა ახლად "კაცი",
მერე "კაცი" გაყოყოჩდა
იწყო პროპაგანდა თავის.

კარგიაო, სარფიანი, სხვამაც
მოინდომა, გახდა "კვაზი",
მომავალი არ ვიცით და
არ გვანაღვლებს ვიყოთ რანნი.

"როგორ მიყვარს ლაბა-ხარი
მშრომელი და პირი უტყვი"
შენკი "კაცო" რა გაყვირებს
თავი რასაც გინდა ურტყი.

"ვინც კი ეგრე დაიბადა
ის კი არის თვითონ ჩუმი"
მავანნთ მათი შებმა უნდათ,
რომ აკეთონ "დიდი ფული".

მხოლოდ ღმერთის გეშინოდეთ!
ვინც არჩიეთ სწორეს მრუდი,
საბოლოოდ ვერ იმარჯვებს,
არამართლის ქება..ცუდი.

"თავისუფალს", უცილობლად
 უნდა დაჰყვეს გონი სრული,
არ მოდუნდეს, იყოს ფხიზლად,
არ მოუნდეს ფიქრსა რული,

რადგან თავი რწმენას მისცეს,
მოყვასს რჩევა მეგობრული,
კაცმა ქალისა სიყვარული,
ოჯახ-ტაძრად გარდასული,
მშობლებს ხსოვნა, შვილებს გული,
უფალს, გაწმენდილი სული.

31.07.2021

ზღურბლი

ზღურბლს იქით არაფერია,
ხე, რკინა, ავი ძაღლია,
ზღურბლს აქეთ შავი ფერია,
უკუნეთია ბნელია.

ზღურბლს იქით, ცა ფირუზია,
მწვანე ხე, მშვიდი ძაღლია,
ზღურბლს აქეთ ყველაფერია,
ფერების დედოფალია.

ვინ როგორ ხედავს სამყაროს,
გრძნობა ვის როგორ აკლია...
თუმცა თავისი ნებაა....
განა იმისი ბრალია...!

22.12.2020

განვეშორებით

ერთხელ მოვედით ამქვეყნად,
ერთხელაც განვეშორებით,
სანამ ვართ, ვიყოთ აქ ჩვენად,
არასდროს განვმეორდებით!

ამ ქვეყნად ერთხელ მოვედით
და თან ვეცხლს დავეშურებით.
რეალობას და ერთმანეთს,
ჩვენ შეუმჩნევლად ვშორდებით.
(და მაგას როცა შევიგრძნობთ(?!)
ამ სოფელს განვეშორებით.)

ამ ქვეყნად ერთხელ მოვედით,
ერთხელაც განვეშორებით,
უკვე ვართ, სხვა რას მოველით,
ნუთუ არ განვმეორდებით?

10.01.2021

ერბოქონი

ისე "გადიდდა" კაცთა "გონი"-ა
სცადა აეხსნა გალას მისტიკა,
უმზერს ზემოდან, ასე ჰგონია
რა პატარაა ეს გალაქტიკა.

-მართალს ტყუილი მოუგონია?!
-საერთოდ არც კი გამიგონია!
რადგან ხანდახან ერბოც ქონია,
ტყუილს მართალიც "მოუქონია".

მე, "რომ მგონია, ერბო, ქონია,
ერბო, ერბოა! ქონი, ქონია!"
უჭკუო კაცის ტვინი, ქონია,
ჭკვიანს კი თავში ტვინი ჰქონია.

28.11.20

სიტყვის ძალა

ამას წინ ერთი შევაქე
და მერე ძლიერ ვინანე,
შეიფერა და მიწყო რჩევა მე,
"რად არ გამისკდა მიწა მე",

მე დავისაჯე ფლიდსა სიტყვაზე
და კარგა ხანი ვიწამე,
"არასწორს როცა აკეთებ
ღმერთისა მაინც იწამე"!

მე კი სიტყვისა ძალა ვიწამე!

23.08.2021

ამპარტავანი

ვერ ამჩნევს ზოგი ამას მავანი,
ჰგონია მასთან სხვას აქვს თავანი,
ქვეყნიერების ტკბილი მძევალი,
შენ კიდე მუდამ მისი მხევალი.

მაინც ვერ აჩნევს ამას მავანი,
თუ გინდ გაეგე, როგორც ქევანი,
ყველა მისია, ავან -ჩავანი,
ზოგი მავანი, ამპარტავანი.

15.04.2023

ვიაროთ წინ

რა დროს ქიშპია, დროა დავლაგდეთ,

ყველგან, გარეთ და შინ!

გავერთიანდეთ, აწ საკმარია,

ჭკუას მოვუხმოთ ციმ,

გუნდრუკს სისწორე, ვაკეთოთ საქმე,

მარგები ქვეყნის წილ,

ძველი დიდებაც თვითონ მოგვძებნის,

და მტრის ჯინაზე ვიაროთ წინ!

მაჭარიც ხომ ღვინდება?!

ცალკე ყველა ბრძენნი ვართ!
ერთად ყოფნაც გვინდება,
"მირონს" ვიცხებთ ჭიქიდან,
ქეიფს ვიწყებთ დილიდან.

ბევრი ღვინო ისმევა,
სიტყვა მაამებლური(?!)
იბნევა და იბნევა....
ბახუსი, რომ ზარხოშს შედის
დიონისეც იბნევა,

განსხვავებულს ვეძალებით,
" მონასტერი"-ც ირევა.
ასე იყო, ასე არის,
მარად ასე იქნება....

ყველგან ლანძღვა,
ყველგან ზარი,
ისმის ჩხუბი-გინება,
ტელევიზორს გამორთავ
და "ფეისბუქი" გინდება.

ასე იყო?! ....ასე არის!
მარად ასე იქნება?!....

05.10.2021წ.

მსოფლიოს ვაზისუბანი

როგორც "ვეიკი" გაურბის
აღიარებას სხვა უბნის,
ისე ევროპამ დაგვარქვა
"მსოფლიოს-ვაზისუბანი".

"ამერიკელი"-ც მოხვდება
ამ ჩვენს "ჯორჯია"-ს უბანში,
ვიდრე "უაკელი" საერთოდ,
ტფილისი-ს "ვაისუბანში".

აკვანი საქართველოა,
ვაზია ღვინის მშობელი,
არა და ისე მოკლეა
ეს ჩვენი წუთისოფელი....

არ გვინდა სენტიმენტები;
"ვისკი-კლარნეტი-გენდერი".
გინდა?! იყავი "ცენტრელი",
სხვასთან ნუ "დაიცენტები".

ერთნი ვართ შვილნი მიწისა,
სინათლეს ვერ ცვლის სუ ბნელი...
ვიცი სახელი, რაც მჭირსა;
#მსოფსაქთბილვაზმიკროუბნელი.

ყაყაჩოს გაფრთხილება!

მიყურე შორიდან,
დატკბი სილამაზით,
ნუ მომწყვეტ მოლიდან,
რადგან მე ვარ ნაზი.
დიდხანს ვერ გავძლებ,
არ ვარ ლარნაკის,
თავს მომაბეზრებ,
არ მესმის არაკის.
ვერ შემეშვები,
გულს ნუ შემიჭამ,
პირდაპირ გეტყვი,
თავსაც შეიჭამ,
გახდები უტყვი,
შენსას არ იშლი?!
აკი გითხარი!
ნახე რას გავხარ?
 გაქვს სახეს ფითრი!
დედისგან არ იშვი?!
და გქონდეს ხათრი!
დაგქონდეს მხრებით,
ცხოვრების ტვირთი!
24.08.2020

მტერი და შინაური?!

თუ არ დაგიცავს სიკეთით
და შეშურდება შენი,
გაგყიდის კუბოს ფიცარზე
შინაურია?!..მტერი!

გიღიმის გულში რას ფიქრობს
ვერ წარმოიდგენ ღიად,
წუთი, რომ არის სოფელი,
მიხვდება, მხოლოდ გვიან!

მტერი ინატრე ვაჟკაცი,
ის არ დაგიწყებს თამაშს,
შინაური მტრის მე არ მწამს,
უფრთხილდი შარბათ-შამათს.

08.05. 2020

პასუხი: „ნაქებ სიკვდილსა"
რატომ მიყვარდეს სიკვდილი,
რახან მდიდარიც მიჰყავსა?!
კარგის ცდუნება ჭიდილით,
ცუდისკენ ხშირად მიჰგავსა.

გამოამჟღავნებს ოხერის
ყოფას, ეს წუთისოფელი,
ჩვენი ნებითა მოგვძებნის,
ფაუსტის მეფისტოფელი.

თუ განასხვავებ ამდენად,
ჰამქარია თუ მისანნი,
მდიდარსაცა აქვს ამქვეყნად,
ხშირად სიკეთის მიზანი.

მთავარია, რომ დაღვაროს
ტანმა, ოფლისა მშობელი,
თუ მოერია სულს ღვალო,
გასტანჯავს თავის მყოფელი.

არ მინდა ზურგსა ლახვარი,
ენას ძვალ-მოეკიდება,
ამ ქვეყნის ნაცოდვილარი,
იმ ქვეყნად მოეკითხება.

ყველაფერსა აქვს საშველი,
გარდა უძირო ვალების,
ჩვენ დავამარცხებთ სიკვდილსა,
ჩვენივე გარდაცვალებით. **05.10.2021.**

სეტყვა სიყვარულისა

როგორც ბალახს და არეს სეტყვა,
ისე გვიმზადებს სამარეს სიტყვა,
აღარ გვიპყრობდეს არასდროს სევდა,
დროს სიხარულიც ყოველთვის სდევდა,

ნუ გაჰყოფ სიტყვას, ცალკე სიყვა-
-რული არ იქნება ჩვენი სვე და
პირველად იყო სიცოცხლის სიტყვა,
მერე კი, სიყვარულისა სეტყვა.

07.11.2021

და კიდევ ბევრი თანამედროვე

შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი,
სულხან-საბა და ბესიკი,
დავით, ნიკოლოზ, გალაკტიონი,
ალექსანდრე და იაკობი.
ეკატერინე, იროდიონი,
კონსტანტინე და გრიგოლი,
პაოლო, მიხეილ და ტიციანი,
ელენე, ტერენტი, ვალერიანი.
ეგნატე, მორის, შალვა, არჩილი,
კოლაუ, ჭაბუა, გაბაონ, ირაკლი,
გოგლა, მურმანი, მუხრანი,
ანა, ნოდარი, ლევან, ოთარი,
თამაზ, ვახტანგი, ტარიელ,
ჯანსუღ, გურამი, დანიელ.
რევაზ, იოსებ, ვახუშტი,
მიხა, პეტრე, გოდერძი,ზურაბი,
ფრიდონ, ოტია, ზაალ, ჯემალი,
გაგა, აკა, ზვიად-მერაბი!..
და კიდევ ბევრი თანამედროვე....
ქართულ-ხალხური!
ბრძნულ სიტყვათა, არა მედროვე...
ლამაზად მთქმელნი!
კაცობრიობის ფერხულს ჩართულნი!
მკითხველ-მსმენელი, არ მოგვშლოდეს,
ვაზი ქართული!
და შემსმენელნი!!!
არა გართული!არა მავთულ- ხლართული!
და მითუმეტეს სხვისი მართული! **23.02.2022**

სიჩუმე

ყველაზე კარგი სიჩუმე ყოფილა,
სიჩუმე, ყველაფრის მთქმელი.
ყველაზე ლამაზი ოცნება ყოფილა,
ოცნება, სათქმელად ძნელი.

ყველაზე ძნელი ლოდინი ყოფილა,
შეხვედრაც, არაფრის მქმნელი,
გაცნობა უფრო ადვილი ყოფილა,
არ იცი წინ რა გელის.
ჩემში თუ ჩნდება ადამიანი,
მის წასვლას სულ არ ველი.

1996.

ღიმილის ბიჭი.

გამახსენდება ის ომის წლები,
სისინებს ქარი, მაწვება დარდი,
დავიწყებული სიცილის, ფონზე
ქირქილებს წამი დროება გარბის.

სიმღერა მინდა! ასე ვღიღინებ;
"შენმა დარმაც იდარა", ამინ!
სიცილი მინდა, მაგრამ ვიხსენებ,
"მე სულ არა მინდა რა", აწი.

ერთ დროს მეც მქონდა შორს ასარბენი,
ნეტავ სად გაჰყვა ქარს ასაფრენი?
სიმღერა მინდა ასე ვღიღინებ;
"ღი'მმილიი მიინდაა, სხვაა'არაა'ფეერიი".

1995

დარაბებს მიღმა

რაც არ მეკუთვნის იმას არ ვითხოვ,
ვიღაც დარჩება მშიერი! ვინძლო...
ასე მგონია დაუფასებელ შრომით,
დარაბებს მიღმა სამოთხეს ვიწყობ.

წინაპრებიდან ყველას აქებდნენ,
აბა ვინა სთქვა მათი საძრახი,
ჰქონდათ და სხვასაც უყოფდნენ,
ეს იყო მათი სულის სახადი.

რომ მოვითხოვო კი მომეცემა,
ჩემი სიმდიდრე, მადლი და ძალი!
რაც არ მეკუთვნის იმას არ ვითხოვ,
ჯანმრთელ-მიმყოფე "ბავშვი და ქალი".

01.02.2022წ

ქარავანი

ვიღას რად უნდა "ჭკუის სწავლება",
ბრძნულად ნათქვამით თავის წვალება,
სიტყვა "კარგ-ავი" ერთიანია დღეს,
მე ვიტყვი და ქარავანი თუნდა წავიდეს.

და კარგავს, ავი იქნებ დაშორდეს,
დასაკარგავიც რამედ მიაჩნდეს,
და შელახული ვერ სჯობს დაქარგულს,
აწ უკვე, კარგი....ხომ სჯობს დაკარგულს!

გაკარგებული-ავის გარეშე!
არც დუღდეს, არცა განელდეს,
ჩვენი სიკარგე ჩვენვე გვაჩენდეს,
მე ვიტყვი! ქარავანი?!.. იქნებ გაჩერდეს!

10.01.2022

ოქროს აქცია

როცა ქართველნი ბევრნი ვიყავით,
მსოფლიომ ხანა ოქროდ აქცია,
გვაპატარავა შურმა ვიღაცის
და დრომ სიკეთეს ზურგი აქცია!

09.03.2022

როცა, ცა,
მაშინ, შინ,
იქნება, ნება,
როცა,
იქნება,
მაშინ..
ცა,
ნება,
შინ,
ნათელი ცა,
შენი ნება,
მშვიდობა შინ.

13.04.2023

ფერშია წამის მარადისობა

ია, რომ იისფერია,
ვარდი, ხომ ვრდისფერია,
ყავა კი ყავისფერია,
ნაცარი, ნაცრისფერია,

მზეც მზისფერია, ჩვენთვის
რატოა ხშირად ოქროსფერი?!
ოქროს ურევენ ვერცხლს-სპილენძს,
და მას ეცვლება ფერი.

მზეც მზისფერია, უბრალოდ
დილა-საღამოს იცვლის იერს,
სულ სამი ტონის ცვალებით,
ჰგავს ამ სამყაროს იებს.

გამოსდის პრანჭიაობა,
დამალობანას თამაშში,
ჩვენ კი გვამყოფებს უთვალავ
ფერთა განცხრომის...მარადში...

15.02.2022წ.

ჭადრაკის დაფა

ყურადღებას, თუ გაფანტავ,
ფუკის ართმევას ხვალ ნახავ,
არასწორ ნაბიჯს გადადგამ,
საწიერს იქით გადახვალ.

ცხოვრება ჭადრაკის დაფად,
ჩვენ დაგვყვეს თეთრად-შავად,
არ ვიცით ვინ აწყობს შამათს,
მოგებულს ვერავის ვნახავთ.

ადრე თუ გვიან ყველანი გავალთ,
ერთმანეთისა მივხედოთ სავალს,
ვიაროთ ფხიზლად! სწორად!
მოვრჩეთ ტალახის სროლას!

აუცრელი თუ აცრილი?!
განსჯის უფლება ღმერთს აქვს.
მრავალჯერ მოვა აპრილი,
ცოდნის სურვილი თუ გვაქვს!

14.12.2021

შეგნება

ჩემში მოიქეცი შენამდე და
ყველაფერი გამოგივა კარგად.
გულში ჯდომა გერჩივნოს და
ტვინსაც ნუ წაიღებ ხარკად!

ჩემში თავიც მომწონს და
მაგ დროს ხშირად ვრჩები სახტად,
მერე ამერევა ერთმანეთში და
უფრო თავს დავუწყებ ლანძღვას,

რადგან ასე ალანძული
ისევ მე დავრჩები გაღმა,
შენში დააფასე ჩემამდე და
ყველაფერი დალაგდება წაღმა.

03.05.20

ქვიშის საათი

თეთრმა მანქანამ მოიტანა ქვიშა ყვითელი,
საჭესთან ასე ჩემხელა კაცი იჯდა ხალასი,
სიცოცხლით სავსემ მოაგელვა რკინა ვით მგელი,
გადმოხტა, თვითმცლელს წრე დაარტყა
ასკინკილათი.
როცა გავხედე და ფეხსაცმელი ვიხილე ერთი,
მაშინღა მივხვდი... მე რა მატირებს! ვახსენე ღმერთი.

18.01.2022

თანაზიარი

პიარი

ნეტავ როგორი იქნება
(სიზმრად ნანახი)
ჩემი ცხოვრების პიარი,
ვივლი ამაყად, თუ ცხადში
იქნება ნაძრახი,
(ან კიდევ სევდის თანაზიარი?!)
ვის როგორ აწყობს მგონია,
რადგან არ მკითხავს არავინ!
სხვებს უფრო უკეთ სცოდნიათ,
სიზმრად რაც მქონდა ნაზრახი,
რუსთაველიც ხომ მკვდარია
თავს ზევით ძალა არ არის!

07.03.2022წ.

სკეჩი

დაწყნარებული ვიქმნები სიტყვით,
რაც ღმერთმა იცის ჩემში,
დაარქმევს ვიღაც თავისი სიბრძნით,
თხრობას თუ ბოდვას ლექსში.

შიგნით რაც არის ჩაბუდებული,
არ იკარგება ვიცი,
თავიც არა მაქვს გადადებული,
არ იკაზმება კვიცი.

ნაწილობრივ, კი მე განვიკურნე,
დავდგი სიმართლის სკეჩი,
ზოგიც ალალად, ხან გავიხუმრე,
და ვგმობ სიმხდალეს ჩემში.

10.02.2022წ

პატიოსანი თვალი

რასაცა მე არ ვიკადრებ,
განა იკადრებ სხვა (?!)
ამასაც ჩუმად ვიდარდებ,
"კოვზით დაილია ზღვა".

მე არ ვარ ამის მგოსანი,
არცა ვიკარგებ თავს,
თვალი მაქვს პატიოსანი,
და ვეჭიდები ხავსს.

11.05.2021

აზრი

აზრს თუ დასჭირდა თარჯიმანი,
ვერ იქნება ყველას დარდიმადი,
სადღაც თუ მიხვდება თარიმანი,
ისევ გასაჭირი, "დარისპანი"-ს.

სიტყვა კაკალია გუთნის ხნულში,
ღვივა, ნააზრევი გონის წნულში,
აზრი თუ ვერ მივა ყველას გულში,
ისე ვერ დათბება ბევრის სულში.

თუ ხარ გადამწერი დიდი სიტყვის,
შენიც მიიტანე, ხალხი იტყვის;
ეს ის ტკივილია დარდი-მანკი,
ღმერთთან შენ ყოფილხარ, თარჯიმანი.

15.02.2022

ჰეგემონია

ახალს ვერაფერს იგონებს კაცი,
დაწერილიც, ხომ გაწერილია,
უფრო სხვადასხვა მგონია აზრი,
ბოლოს ერთნაირ-გაწელილია.

მკითხველმა იცის, თუ რა მოელის,
იცის, თუ კითხვით ასე ჰგონია?!
არა მკითხველი მიეთ-მოეთის,
მისდევს ცხოვრების ჰეგემონიას.

14.03.2021წ.

წმინდა გიორგი!

ნოემბერში ეწამა და
ის მაისში აღესრულა,
ქრისტიანი-გიორგი,
კაბადოკიელების და ჩვენი
დამცველ-გულშემატკივარი,

გაჭირვებულთ დახმარებით
და ძალით ამქვეყნიური,
აქ წმინდანად შეირაცხა,
იქ მადლით იმქვეყნიურით.

შეგვეწიოს მისი ძალა-
რწმენა ყოველდღიურის,
ლოცვით მუდამ ჩვენთან მყოფი...
წილხვედრის და ღვთიურის...
სრულიად საქრისტიანოს,
ყველას წმინდა გიორგი!

11.23.2021

სულის ბანგები

არ გინდა ბოღმა, არ გინდა შური,
რადგან ეგ არის ტვინის ბანგები,
ვერ მიგიყვანენ აზრები შორით
და სიცოცხლეში დაიტანჯები.

არ გინდა ეჭვით დახშული სული,
სჯობს გამოფხიზლდე, გაძინებს რული!
შენ როგორც გინდა ეგრე სად არის?!
საქმე აკეთე შენი სადარი!

აბუჩს არ აჰყვე, იყავი წრფელი,
ქვეყნად დარჩება მხოლოდ სახელი,
გრძნობა ნაწრთობი და სული გრძელი,
შენგან გავლილი ეს გზა ნათელი!

16.02.2020

ვიყავი მარტო

აღარ ვარ მარტო, მხოლოდ ლევანი,

მუზებს ვეგები, როგორც ქევანი,

ვარ მრავლობითში, სევდა ვერ მაქრობს,

რითმას ვწურავ და ღვინო კი მათრობს.

13.04.23

ლევანი

როცა ჩემს საქმეს ცუდად წაიყვანს,
ეს დაწურული, ყურძნის მტევანი,
ერთი-ორი დღე მაინც უნდა, რომ
ისევე გავხდე დედას ლევანი!

****

ეს ჩემი ასარჩევია,
ჭადი მექნება თუ ღომი,
არავის გასარჩევია,
მშვიდობა მქონდეს, თუ ომი.

ცხოვრებით ასარჩევია,
ბევრი მექნება, თუ გროში,
არავის გასარჩევია,
ვიკარგო, ვიკარგო დროში.

16.10.2022

არა ომს!!!

როგორც პაიკი დამკაში,
გაივლის რთულ გზას ჭადრაკში
და მერე უფლებიანსა,
იმასაც კლავენ მალვაში.
კაცი ვერ ხვდება მშვიდობის ძალას,
სანამ არსებობს ომის დამქაში.
ამის მოხარულნო!!!
შვილებს არ შეეხოთ!!!
აჰა ჩემი გული და რამდენიც
გინდათ იმდენჯერ...
ტყვია შუბლშიც დამკარით!!!

24.02.2022წ

უკრაინას, რომ მეხივით,
ციდან ბომბები დაეცა,
„მეხი დაეცა, მის მქნელსა,
არ გაუთენდეს დაე ცა“.
მტრისათვის საგინებელი,
გამომივიდა მე წყევლა,
ენაში საბრუნებელი,
გავრითმე „შემომეწყევლა“.
გაზაფხულ ცივი მეცა და
ღიმილიც აღარ მეწადა.

წელი-ახალი, იმედი-მყარი,
წელი-მაგარი, ჯანი-მთელი,
წილი-ალალი, არარი-შარი,
წული-მრავალი, ოჯახი-ძველი.

1 დეკემბერი

აი უკვე დაზამთრდა,
თოვლსაც უხმობს ბუნება,
შემოდგომა დამთავრდა,
ვაზაფხულოთ გუნება!

ბრძენი ანტივაქსერი

ქსელი გახდა ცხოვრება
და ყოფა სოციალური,
ეს სამყარო გაგვიხადეს
წარმოდგენა ციფრული.

ფუფუნება აღარ ჰყოფნით,
ჩანან ლოიალურნი,
ჩვენ კი უნდა ვიმყოფინოთ
ცეროდენა ფიცრული.

დედამიწა აღარ მოსწონთ
ავრცელებენ ვირუსებს,
ვაქცინებსაც იგონებენ,
და იწერენ პლიუსებს.

ერთ დიდ ყუთში ჩაგვაჯინეს
და გვიქმნიან "აქაუნტს",
ნემსთან ერთად გვიკეთებენ,
"რეფრეშ"-სა და "შათდაუნს".

12.05.2021

გული უნდა გულობდეს

ბრილიანტივით ახალგაზრდებო,
თქვენ გაგიმრავლდეთ მარგალიტები,
მკერდს ჩაიხუტეთ და ასაზრდოეთ,
მიეცით კარგი მაგალითები.

როდესაც თმაში შემოვა ვერცხლი,
ცხოვრება შენი, ოქრო გახდება,
განვლილი წარსულს ბარდება ვერ ცვლი,
გვიან მიხვდები, თურმე რა ხდება.

ერთი-მეორის ეგ სიყვარული,
ახალი ძალით შემოგეჭრება,
გული იგულებს და ქადის გულიც...
ორივე ხელით შემოგეჭმევათ.

01.11.20.

მაისი

რომელი ხარ? აკრილის
თუ ვარდისა ხარ?
გაზაფხულის გვირგვინი
ზეცად სურნელ ბარდნისა ხარ.
მაისი და თამარ მეფის შობისა ხარ?
ნინო? სოფო, გულიკო თუ ვარდისახარ?
რომელი ვარ?!
ვარდისაც ვარ,
ყველას გულის შორისაც ვარ,
სიწმინდის და სიძლიერის,
თამარ მეფის შობისა ვარ,
მაისი ვარ!
თქვენზე ზრუნვის,სიყვარულის,
თავისუფლებისა ვარ.

17.05.2021

ბელურა

ვინ სთქვა მოჰყავდეს, ვინმეს ან რამეს,
ასე ლამაზი ეს გაზაფხული,
სინამდვილეში ამ სილამაზეს,
შორიდან ჭიკჭიკ მოსდევს მერცხლები.

ერთგულ ბელურას, ყინვით დაზაფრულს,
ხშირად, ზაფხულშიც მოსდის ცრემლები,
რადგან იცის, რომ ერთხელაც სარკმელს,
ვერ გააღებენ თბილი ხელები.

28.02.2022

ლუარსაბ ბოცვაძეს

გურიაში დაიბადა
იგი სოფელ ნოღაში,
ხონში ჩადის იმერეთში,
რომ ესწავლა სკოლაში.

წყალტუბოც კი მოიარა,
მიჰყვა სკოლის შენებას,
„წინამძღვრიანთკარში“ დარჩა,
სტამბას თბილისს ეგება.

წერა-კითხვის გავრცელების
დაეკისრა მას მისია,
ქართულ საქმეს აკეთებდა
"განათლება"-ც, ხომ მისია,

პედაგოგი, მეცნიერი,
პუბლიცისტი, ქართველი,
იაკობის გვერდით მდგომი
და სიკეთის მხარჯველი.

გვერდით ჰყავდა მაშინდელი,
მგოსნები და მწერლები,
თვითონ ხშირად დიდი ვაჟაც
ლექსს უძღვნიდა ფერებით.

მედგრად იდგა მეუღლესთან,
ერთად ზრდიდნენ თაობებს,
და სკოლებსაც აშენებდნენ,
ქართულ საქმეს თაობდნენ.

ღვაწლი უდევთ უდიდესი,
მას და ნინო ბაქრაძეს,
სკოლის პედაგოგიკაში,
მეთოდიკა დაქარგეს.

ტაძარში, რომ დიდ ბიბლიას
წავიკითხავ, ლოცვაზე,
წინაპარი მახსენდება;
მე, ლუარსაბ ბოცვაძე!

02.18.2022

(კიდევ ბიჭია? ბიჭია, ბიჭი
და კიდევ ერთი ქართველთა ნიჭი)
იმ დროს გურიის სოფელ ნოღაში,
მედავითნეთა კეთილ ოჯახში,
მეოთხე შვილი, ძირძველ ოდაში,
იქ დაიბადა, მიწიან ოთახში.

მამა გაბრიელ, დედა ეფიზო,
ფათერაკებიც უხვად ელისო,
ხევისწყალს გაჰყვა მდინარეს,
ქვასთან მიაგნეს დაღლილს, მძინარეს.

წითელაც მძიმედ გადაიტანა,
კარალიოკის მოუტყდა ტოტიც,
პერანგით ჩამოეკიდა სარს და
მერე კი ატყდა ოჯახში შფოთი.

მოკლედ ბევრი რამ გადაიტანა,
არც დაგიდევდათ რაიმე მიზეზს,
ძმებთან, დედა და მამასთან ერთად,
ამუშავებდა ეზოში მიწებს.

გონიერი და დაკვირვებული,
ქართულს სწავლობდა ის მარტო სახლში,
თავის ტოლებში გამორჩეული,
სიტყვებს არჩევდა სოფლისა ხალხში.

იმერეთს ხდება მერე ხიზანი,
ქუთაისს მიდის გიმნაზიაში,
ჰქონდა განზრახვა დიდი მიზანი,

გონის ძალას გრძნობს ენერგიაში.
განათლება და სწავლა დაიწყო,
ლექსებსაც სწერდა კარგს, მაგრამ მცირედ,
რადგან მგოსანი აკაკი იყო,
ის ფსევდონიმით, "აკაკი მცირე".

რა გაიტაცა მეცნიერებამ,
და დიდი გახდა ქართულ-ხმოსანი,
უდიდეს ქართველთ მშვენიერება,
თავისი საქმის გვირგვინოსანი.

თბილისს ფუძნდება, მერე ოჯახს ქმნის,
მიდის ეცნობა თვალით მსოფლიოს,
ევროპის ცნობილ სასწავლებლებში,
სახეზე სცნობენ ჭკვიანს, გენიოსს.

უძლიერესი იყო ყოველთვის,
შეუპოვარი, სიტყვა მართული,
ენათმეცნიერი და ლინგვისტი,
გრამატიკისა მდგენი ქართულის.

უნივერსტიტეტს დამაარსებელ-
ქართულ სიტყვათა მდიდარ- საუნჯე,
დიალექტების კარგი საკინძე,
ას წელს მცხოვრები, ტომით გურული,
გახლავთ აკაკი, დიდი, შანიძე.

26.01.2022

ზეიკო

ბავშვობაში, ახალგაზრდებს,
ამშვენებდა "სეიკო",
რუსთაველის სცენას კიდე,
ნიჭიერი ზეიკო.

ბევრი როლი შეასრულა,
კინოშიც და თეატრში,
„მონანიებაში“ ნახა
აბულაძემ, სიზმარში.

მოკრძალებულ კვალს ტოვებდა,
ფუნდუ, ლელა, მაყვალა,
მიზანდარი ეკა, ფატი,
"გამარჯობა გოგონა"!

მაგდალენა, ოფელია,
ელო, ნელი, გულიკო,
აგრაფინა დანელია,
 დედის როლში სულ იყო.

ბოლო იყო ბარათელი,
არ ემახდნენ როლებზე....
მან კი თავად ჩააკითხა
დასი იყო „გასტროლზე“

ვერ გაუძლო ჯანმრთელობით,
სუსტი იყო ის სხვაზე,
უცხო მიწას აღესრულა...
ეჰ... ზეინაბ ბოცვაძე!

18.02.2022წ.

****

მე მხატვარი ვარ შეჩერებული,
მე პოეტი ვარ შეჩერებული,
მომღერალი ვარ შეჩერებული.
რაცა ვარ ესა ვარ!
მადლობა ღმერთს, რომ
სხვის ხელს არა ვარ შეჩერებული
და ცხოვრებისგან შეჩვენებული!

დრონი

კოსმოსური დრონი ფრინავს,
დედამიწა იღებს სელფს,
უსასრულოდ დრო მიფრინავს
და მზეს უვლის ყველა წრეს.

მთვარე მუდამ ემალება,
აკეთებსო უკან სვლებს,
მზის სისტემას „ირმის ნახტომს“,
ეს სამყარო აცოცხლებს.

24.02.23.

****

ადამიანს მე ვერ ვეტყვი,
რომ შენ ცუდად მექცევიო,
თუმცა ბევრჯერ მივანიშნე,
ნუ იქნები მერყევიო.

შედეგი არ გამოიღო,
არად აგდეს აზრი, არად,
ამიტომაც გადავწყვიტე,
მოვქცეოდი თავის დარად.

ეგ მალევე შეამჩნიეს,
პარალელი ვერ მართესო,
ხმამაღლა და უბრალოდ თქვეს,
„ადრე კარგი ბიჭი იყო,
რა ჯანდაბა დამართესო“

****

თავს იტყუებდი, ვითომ გიყვარდი,
და მეც მომწონდა ქცევები შენი,
თავს ვატყუებდი მე კი მიყვარდი,
და ახლაც მომწონს ქალში ეგ სენი.
21.02.23.

****

რადგან ვერ ვბედე დამეწერა თქვენი დასწრება,
ვერ გიწვიეთ, თუმც იქნებოდა ჩემთვის მისწრება,
მე მაპატიეთ პოეტებო! ეს დამორცხვება,
ჩემი თქვენდამი სიყვარული უკვე ცას სწვდება!

16.02.23.

„ამოსუნთქვამდე“-ს
(მ.ერისთავის წიგნის გამოტოვებულ პრეზენტაციას)

გული დამწყდა და ვინერვიულე,
არ მომიხერხდა, არ მაქვს სიმაღლე,
დამემოწმება თქვენი მეუღლე,
ჩვენი ძმობა და ფაქტის სიმართლე.

მინდოდა წიგნი დაბადებული,
თვალით მენახა, ვიდრე ჩემამდე,
ჩემი მგონია ყველა კრებული,
მეც ხომ ვპოეტობ „ამოსუნთქვამდე“

19.05.2023

რადგან გამრავლდა ღუა და მწერი,
ჩემშიც გამოჩნდა ლექსის დამწერი,
„დრონი მეფობენ არა მეფენი“
დრონნი კი ფრენენ არა სეფენი.
24.02.23.

შენ ეხლა უმზერ იმ ვარდის რტოებს,
წინ გიდევს ჩემი ლექსთა კრებული,
მიგონებ, როგორც იმ დარდის პოეტს,
შენთვის, რომ ვზიდე... ჩაფიქრებული....

1997

****

მე გულში ვეღარ მეტია,
ვგონებ ის ყველგან ერთია,
სადაც ეს გრძნობა მეტია,
იქ სიყვარული ღმერთია.

ვეღარ მეტია გულშია,
გიტყდები სიყვარულშია,
მშობელი დედა ერთია,
სამშობლო! მამა! ღმერთია!

20.12.22

არა არის ცეცხლში კვარი,
არცა შეშა-ნაკვერჩხალი,
მანამ იწვის..როგორც არის,
ცოდნა გონის ნაპერწკალი.

ლექსის წერა ვისაც უყვარს,
ის ატარებს თავისა ჯვარს,
და არ იტყვის, თუნდაც უარს,
რომ ადაროს თავი ამ კვარს.

01.12.22

****

სიტყვა შეურაცხმყოფელი არ
ეკადრება, მით რამის „მწერალს“,
არც მოყვარულს, არც მკითხველს,
თუნდ აყოლილი თავისა წერას.

ვარ მრავლობითში, სევდას ის აქრობს..
აზრებს ვწურავ და ვერ გამგებს ართობს,
რითმით ნაჟური გამგებს კი ათრობს,
ვარ აღტაცებით სხვა როცა ხარობს.

****

ტანი დაუსერეს, სითხე ამოუღეს,
ცეცხლი წაუკიდეს, კვამლით ააბოლეს,
მიწას ასწორებენ, ძირი გამოუღეს,
ჰაერს წამლავენ, სხვა წარსულს გააყოლეს.

პირვანდელი გაალღვეს და ჩამოასხეს,
მწვანე ტყეები უმოწყალოდ გაჩეხეს,
ცას ებჯინებისან ფეხი იქ მოირთხეს,
მათ პლანეტაზე ყველაფერი გაჩეჩეს.

მე უნდა ვიცხოვროო და უმწეოს კლავენ,
ეგება დაშოშმინდე „ადამიანო“ კვლავ შენ,
ყველაფერი ღმერთის შექმნილია საერთოდ,
რატო ექცევი სამყაროს ასე უღმერთოდ?!

05.01.23.

****

მაშ იყავი როგორც გაგეხარდეს,
შენს ცხოვრებას მე ნუ მევაჭრები,
თუ ოდესმე რამე გაგიჭირდეს,
შემომიღე ეს ძველი ფანჯრები.

02.01.23.

****

ამ დილით მტრედმა მომილოცა წითელ ფეხებამ,
მშვიდობა გქონდეთო ახალ წელს, მომაღუღუნა,
სამადლობელად მოვინდომე მისი ფერება,
მან კი, თავისუფლების ფრთები მომაგუგუნა...
01.01.23.

****

წლები მიდის და ჩვენ
არ გვკითხავს არასოდეს არავინ,
გარეთ რაც ხარ, დაიჯერე,
ისეთი ხარ ალბათ სახლშიც,

თუ არ შეცვალე რამე კარგისკენ,
შენ თუ არა მაშ ვინ?
რაც იყავი წინა წლებში,
ის იქნები მომავალშიც.
31.12.22.

თვალსა და ხელ შუა გვადნება,
ეს ჩვენი მიწა წყალია,
ნეტა სულ სხვისი ბრალია?
თუ გაგვივიდა ყავლია.

მტერი გვგლეჯს, გასაგებია,
სისხლიც ვაქციეთ ბევრია,
სიმდიდრე რა სარგებია?!,
თუ ჩვენი თავიც მტერია.

22.05.2023.

****

რადგან მუზას ვერ უბრძანებ რითმას,
ეს არ ნიშნავს ცივი გახდა გული,
სიტყვა როცა ამიწეწავს მე თმას,
წაიშლება მაშინ სიყვარული.

არასოდეს შეიტანო ეჭვი,
ერთგულება ჩემში დიდა ფასობს,
თუ მორევში მაინც გადაეშვი,
ჩათვალე, რომ „ეშმა“ ლახვარ გვასობს.

სიტყვებს მუდამ, რომ დაედოს რითმა,
გაგვინათოს და გაგვითბოს გული,
დაე მწყობრში ჩააყენოს რიტმმა,
აამღეროს კვლავაც სიყვარული.

არასოდეს შეიტანო ეჭვი,
ჩემს შენდამი სიყვარულში მანამ,
სანამ ნაზ შველს ამოუვა ეშვი
და უმღერებს ის ნუკრს იავნანას.

04.03.23.

8 მარტი

გილოცავთ მანდილოსნებო,
ქალებო, დებო, დედებო,
მსოფლიო მზისსხივოსნებო,
იებო, ყოჩივარდებო.

დღეობა სიყვარულისა,
დედისა უფრო მეტადრე,
8 მარტი ყველა ქალისა,
სამასსამოცდახუთი დღე.

08.03.2023

მე მოვიგონე სიზმარი

წუხელ მესიზმრნენ ქალები,
ზღვის ნაპირს, ამორძალები,
გულზე ეკიდათ ლალები,
შვენოდათ მათ დალალები.

წარმტაცნი, არ აქვთ საზღვარი,
ტუჩ-კბილი, სახე-ლამაზი,
თვალნი, წარბ-წამწამს სამზღვარი,
ლურჯი, ბრჭყვიალა ალმასი.

ტანი კი თეთრი ბროლისა,
მარგალიტები ხალებით,
ვარ თითქოს ველზე ბრძოლისა,
და მტრად აღვიქვი ქალები.

მეგონა, მაგრამ ვცდებოდი,
მიმზერდა ქალთა თაბუნი,
ფეხზე ვერარა ვდგებოდი,
მეხვეოდა თითქო თავბრუნი.

მაკვირდნენ, გაკვირვებულნი,
ემოციებით სულ ნელით,
გონ მოველ, იყვნენ დაძრულნი,
მოვიდნენ, ყვავილ-სურნელით.

შემომეხვივნენ მაწყნარეს,
ჩამოიშალეს დალალი,
მერე ნაზი ხმით მიმღერეს,
სიტყვები მიძღვნეს ალალი.

სათითაოდაც მაკოცეს,
ვიყავ მსუბუქი ვით ქარი,
ხელებით ცაში ამაგდეს,
მეძინა აკი გითხარით.

08.03.2023.

****

რუსთაველობას ვჩემობ ამრიგად,
გადმომისროლა ბედის განგებამ,
მე ამ ქალაქის ბედი მარგუნა,
მეტალურგიის ასაშენებლად.

თუმც შორს არა ვარ დედაქალაქთან,
მაინც რუსთავი მიყვარს არაკად,
აქ დავიბადე ფეხი ავიდგი,
და სიყვარულით შევცქერ ქალაქსაც.

აზა გოგიტაური

„სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ“
ის არის ჩვენი ქალაქი,
ოდესღაც მცხეთაც ყოფილა,
„აია“-ც დედაქალაქი,
მწერლობაცა და შენებაც,
კიდევ ბევრი რამ ჩვენში ზის,
რუსთაველი, ხომ სახეა,
ქართველის, ყველა პოეტის.

ლევან ბოცვაძე

ლევანს

სიყვარულით გადავსებულს,
ოჯახი გაქვს ქებული,
დედ-მამისგან ნაბოძები,
სახელია ლევანი,
მეგობრებთან ჩახუტებას,
არ მოგიშლის უფალი,
არ მოგაკლოს სიყვარულით,
დახუნძლული მტევანი.

13.10.2022. შ.ხარიტონაშვილი
ლევანს

ახალ საქართველოს „მამად“ მევლინე,
ისე აფერადე ეს შენი ლექსები,
თუნდ ორკესტრის იყავ მევიოლინე,
მელოდიური გზებით წერე ლექსები.

მაშინ საქართველოს ლექსად მოევლინე,
დიდი პოეტების სულის აღმაფრენად,
სამშობლოს გულითადად ხელი გაუწოდე,
მის დგასაბრწყინებლად და გადასარჩენად.

ექსპრომტად. პოეტესა აზა გოგიტაური
23.03.2023

პოეტს ქ-ტონ: ნაზი გოგიტაურ-ნაწიფაშვილს

მშვიდობა და ჯანმრთელობა
 არ მოგაკლოთ ღმერთმა,
სიყვარულით ლექის წერა,
მუდამ იყოს თქვენთან,

ასე სათნო მოსაუბრე
ქალბატონო აზა,
კოვიდ-ომის სამყაროში ,
არ მეგულვის არსად.

პოეზიით ეფერებით,
თქვენ სამშობლოს ნაზად,
იები და გვირილები,
გაგიმრავლდეთ ასად!

წინანდლისა სიყვარული,
მეუღლესგან ალბათ,
ვიცი ნოღის სიხარული,
თან დაგყვებათ ხატად!

10.03.2022წ

ლევანს
(პოეტ **დეზი ემანულიძის** მიძღვნა,
როგორც პოეტი, პოეტს)

კაცთა კაცობა ღვთის მადლით,
ებოძათ შუქით ნათლისა,
მეგობრობისა გრძნობასა,
გიბოძებ მე სინათლისა.

მრავალ სიხარულს მოველით,
ჯილდოდ უამრავ ვარსკვლავებს,
ბედნიერების სიამით,
ცრემლი უკრთოდეს წამწამებს.

სიცოცხლის მეფურ დიდებას,
გფენდეს კაცობა, დიდ გზაზე,
სიამაყითა ბრწყინავდეს,
შენი მზე სამშობლოს ცაზე.

დაგელოცოს გონი, მაჯა
თასსა შევსვამ მე ღვინისა,
იდიდგულე მრავალსა ჟამს,
გრძნობითა გულგაშლილისა.

წერდე ბრწკარებად რითმასა,
მოგვიხატე მთა და ბარი,
სამოსელი მხედრულ ჩინის,
იყოს შენი საფიცარი.

საქართველოს დიადემა,
გედგას იმერ-ამიერი,
დაგელოცოს კაცობა და
იყავ მრავალჟამიერი.

03.06.2023.

პოეტ დეზი ემანულიძეს

მეუღლე, დედა, მანდილოსანი, კარგი პოეტი,
თავად კი იცის კარგად ცხოვრების მიეთ-მოეთი,
მას სურს, რომ დამწყებს უჩინოს გზები, ნულიდან
გეზი,
დამორჩეულად მხარს მდგომი, ემანულიძე დეზი.

25.02.2023.

თუნდაც ციოდეს

გულთან არ გინდა ღილთა შეკინძვა,
გულღია იყავ როგორც დედი-ძმა,
სწორედ ეგ ეიყო უპირველესად,
პოეზიაში შენ, რო შეგიძღვა.

ახლა შენცა ხარ დიდი პოეტი,
იცი ქვეყნისა მიეთ-მოეთი,
ამ ქვეყანაში უნდა იარო,
ჩქარი ნაბიჯით, ოღონდ სწორეთი.

სულ კარგად იყავ შენი ოჯახით,
ჩემო დის შვილო ლევან ბოცვაძე,
არ დაგავიწყდეს შენი დედის ძმა,
ეკლესიებში ყველა ლოცვაზე.

დაიმახსოვრე კარგად იცოდე,
მტრულად განწყობილს თავს ნუ უყადრი,
შენ ის გიყვარდეს ვისაც უყვარხარ
და ოდითგანვე ვისაც უყვარდი.

17.05.2023. გენად ჭალიძე.

დედიძმას გენად ჭალიძეს

გილოცავ დაბადების დღეს,
ჩემო დედიძმა გენადი,
მოგელი ჩემთან მუდამდღეს,
ვიცი შენც მუდამ გენატრი.

არ ბოროტდები, ნატანჯი,
კარგ სიტყვას არა იშურვი,
ჩემსა საქციელს არ განსჯი,
და სიყვარულში იწურვი.

შენი შექება სულ ისმის,
სხვამ კი ვითომაც არ იცის,
მე, რომ რითმებთან „ვძმაკაცობ“
ბრალია ჩემი დედიძმის.

09.02.2023. ლევან ბოცვაძე.

მამაო სერაფიმე ფილიას
„შიშველფეხება მწერალი“
(პასუხი)

სულის სიღრმეში სინდისი,
თუ არ აქვს სუფთა ვინმეს,
შიშველფეხება მწერალი,
ვერაფერს იზამს იმ დღეს.

ვერას უშველის ხელებს,
ვერ გაასწორებს მთებს,
ვერ ააყვავებს ველებს,
და ვერ დავარცნის თმებს.

შიშველფეხება მწერალი,
ვერ გაიმრავლებს მრევლს,
თუ ვინმე არის მწყრალი,
უნდა მიმართოს მღვდელს.

ექსპრომტი. 21.05.2023.

****

ლექსსაც, რომ წესი ჰქონია,
მაგას ვხვდებოდი ოდითგან,
მოკლედ ვარჩიე სათქმელი,
არ გასულიყო მოდიდან.
არ ვიცი ალბათ ვიწვალე,
მაგაზე შენ არ გენაღვლა,
სიჩუმეს ვდევდი, ვინაბე,
მერე, რომ მეჯღაბნ-მებღავლა.
გემოვნებაზეც დაობენ,
კიდევ რამეზე ბევრზედა,
ჩემთვის ვარ სხვას არ ვაწუხებ,
არ ვეკიდები ყელზედა.
(დარჩენილი კი სხვამ რითმოს,
კალამს გადავცემ ხელზედა...
ცუდს არას ვიტყვი, უზნეოს,
ვინც რა იფიქროს ჩემზედა)
1.06.22

იქნებ ძველიდან,
იქნებ დღეისა დამვიწყებია,
ან იქნებ სულაც მომავლის დამიწერია,
რა დროს შაირია, რა დროს ლექსია,
ეს ცხოვრება ხომ გამოცანაში ამოცანაა,
ერთი იგრეკი, მეორე იქსი,
ერთი უნდა გამოიცნო,
მეორე დაისახო ან ამოიცნო,
გამოიცნობ? შარია, ამოიცნობ?
და უკვე ბოლოა, მერე ცელია....

27.07.2022

„დამმოძღვრავი“ არ გეგონოთ,
ცუდი ამბის კარგად მთქმელი,
მე ვადიდებ,არ უგონოდ,
სიტყვა სიმართლისა მქმნელი.

ბევრსაც კი აქვს ღვთისა ნება,
არ ვეწონო, არც პირფეროს,
ფიქრით უხმოს მან გონებას,
განსჯა ღმერთის შეიფეროს.

ენით გული არ მისეროს,
სიტყვა რომ არ ჩაიხერგოს,
გულში ვიჯექ? შემიფეროს,
თავში ღრმადაც ჩაიხედოს.

არვის ვებრძვი, არც ვასწავლი,
შვილებს მინდა შევახსენო,
ადამიას გასდის ყავლი,
თუ არ მადლი შეიმეცნო.

ლევან ბოცვაძე

სოფიოს

ყვავილს რატომ ჰქვია ია?
..პატარაა და ნაზია,
სხვას რატო იასამანი?
..გაუვლო იას სამანი,
ტიტას რატომ ჰქვია ტიტა?
იასამანს უთხრა ჭიტა,
ვარდს რატომ ჰქვია ვარდი?
..იმიტომ რომ შემიყვარდი!
მე რატო მქვია სოფიო?
..მე რომ გჩუქნიდე მსოფლიოს!

04.06.2023

სიცოცხლის იშტა

პირველად იყო ღმერთი და სიტყვა,
წყაროს წყალივით სუფთა და წმინდა,
ირგვლივ ჯანსაღი გარემო მინდა,
როცა ჩვენს გონში იესო იშვა.

უკუღმართობამ წაღმა ვერ ხვრიტა,
ვერც ამღვრეულმა წმინდა ვერ ხვრიპა.
სანამ მომდევდეს ცხოვრების დვრიტა,
არ მომეშალოს სიცოცხლის იშტა.
08.07.2023

ქართულო სულო შენ ვერ ჩაკლულო

ნაცრით ხატავდნენ, აქანდაკებდნენ,
ბუმბულით წერდნენ ტყავზე სისხლითა,
ცხენის ძუაზე ჰანგებს აწყობდნენ,
გულებს ქარგავდნენ ოქროს სირმითა.

წინაპრის როკვა მოვიდა ცეკვად,
სულის ტირილი წმინდა გალობად,
მიუვალ გზების ვერ და არ კეცვად,
მათი ლოცვა კი ჩვენდა წყალობად.

ვერ ძირკვავს მტერი ჩაქვითკირებულ,
არს უკვდავების წინაპირობა,
კაი ხანია ვართ მომავალი,
როდის გვეღირსოს ჩვენც წინაპრობა.

შოთა რუსთველი და ფიროსმანი,
კოსმოსში ფრინავს ჩვენი "ჩაკრულო",
თავგანწირული ვაჟთ გმირობანი,
ქართულო სულო, შენ ვერ ჩაკლულო.
30.06.2023.

ძმობის სადღეგრძელო

საგარეჯოს სათავეში სუფრას გავშლი,
მეგობრებთან ერთად, კაი პურსაც შევჭამ,
ერთგულებას ჩემში არაფერზე გავცვლი,
ძმობის სადღეგრძელოს, დიდი ყანწით შევსვამ.
06.07.2023.

სვეტიცხოველი

მე რა ვუმღერო,

ამ სასწაულს

ჯერ არ ნამღერი,

რითი შევამკო,

არის თქმული

სიტყვა ყოველი,

დგას მცხეთის გულში,

წმინდანების ძალთა ნამქერი,

და სულში გვიკრავს,

დიდებული სვეტიცხოველი.

13.07.2023

მომენატრა

ბუნებრივი სილამაზე მომენატრა,
ბუნებრივი სიალალე მომეძალა,
ბუნებრივი სითამამე მომეხათრა.

ხელოვნური სილამაზე მომეხალა,
ხელოვნური სიალალე მომეახლა,
ხელოვნური სითამამე მომელახა.

ბუნებრივი სილამაზე, სიალალე, სითამამე,
ხელოვნური არაფერი აღარ ვარგა,
ბუნებრივმა სიყვარულმა ბუნებაში
ლამაზ ქალის სიმორცხვეზე გაიარა.
14.07.2023

ტელეფისის ციხე

ტელეფისისა ციხესა
ნანგრევი შემორჩენია,
სიცივესა და სიცხესა,
გაუძლო! გვამცნობს-ჩვენია.

ბრძოლები გამოიარა,
ნათელს ჰფენს ჩვენს ისტორიას,
რამდენი მან შეიფარა,
და მოუშუშა იარა.

კედლები, ბევრის მნახველი,
დამარცხების და მარჯვების,
ხშირად ანგრევდა სპარსელი,
კვლავ აშენებდა ქართველი.

ტელეფისისა ციხესა,
ვერვინ შეუცვლის ხედებსა,
კვლავ მრავალ საუკუნესა,
წარსულში ჩაგვახედებსა.

10.07.2023

გამოიდაროს

გამოიდაროს, შეგთხოვთ ელია,
გამოდი მზეო! შენ სხივს ელიან,
დიდხანს მტირალი ცა ზე ნელია,
ამ დროს ღიმილიც დარდობს, ძნელია.

კალთა გვაფარე ღვთისამშობელო,
და გაიხარე ხალხო მშრომელო,
გამოდი მზეო! ლამაზო, მთელო!
და დაიფარე შენ საქართველო.
26.07.2023

ვაჟა-ფშაველა 162

საქართველოის მთა-ველი,
შენ გააცოცხლე ვაჟაო,
ფაუნა ტოვე მეტყველი,
ხემ ენა გაიკაჟაო.

ქცევით აცხოვნე "ურჯულო",
სტუმარ-მასპინძლის ზღვარიო,
სულიერი თუ უსულო,
სიკვდილ-სიცოცხლის მძღვარიო.

სამშობლოისა მთა-ველი,
შენ უკვდავყავი ფშაველო,
ქალ-ვაჟი, ყველა ქართველი-
გულში გყავს სულ საქართველო.
14.07.2023.

პოეტ ზ.მამულაშვილს

ძმადნაფიცი ხარ-ყარაჩოღელი,

პოეტო, დიდო მამულიშვილო,

ღმერთმა სულ მუდამ გიმართოს ხელი,

ქართველო, ზურაბ მამულაშვილო.

02.07.2023.

თუ შენი სიტყვა

თუ შენი სიტყვა მისთვის წამალია,

მაშ შენც უთხარი, რადგან ალალია,

კარგი ყოველთვის ტავმდაბალია,

რადგან, სულ, სულ, სულ, სულმარალია.

09.07.2023.

როცა აყვავდა ნუში

როცა აყვავდა იმ ხანად ნუში,
მაშინ გამძაფრდა ის სიყვარული,
მდგრადობა ვიგრძენ გულში და სულში,
გამილამაზდა ცხოვრება რთული.

აყვავილებულ იასამანში,
შენ სურნელაბას ჩავისუნთქავდი
და მერე ჩემი გრძნობის საბანში,
მთვრალ თაიგულებს ლერწმითა ვკრავდი.

ფრთებსაც ვაცლიდი თეთრ გვირილებს და
მინდა გამეგო შენი წადილი,
ველარ ვხვდებოდი რად ქირქილებდა,
მდელო მფრიალი, როგორც მანდილი.

როცა ყვავდება ყოველთვის ნუში,
მოაქვს და მოაქვს ქარს სიყვარული,
მაგრამ პირველის, ჩადებულ გულში,
გამხელა იყო ძალიან რთული.

მაშ სიყვარულო არ მოიწყინო,
ჩემში იქნები მარად მხატვრული,
აღარ იდარდო, ლექსად ვამხილე,
ჩემი ფიქრები, შენგან ნატრული.

30.06.2023.

კლდეისის კოხტაველი

"ქვევით წაროს" ჩაყოლებას,
ოღრო-ჩოღრო ბილიკებით,
დაბურული მიუყვება,
ასკილ-ვარდის თილისმებით.

მარცხნივ მხარე, ჩადის ჭალას,
მარჯვნივ, სოფლის ასასვლელზე,
პირდაპირ, კი გზას რომ გავალთ,
აღმოვჩნდებით, კოხტა ველზე.

ყვავილებით გადაპენტილს,
ნაირფერი დასტრიალებს,
თითქოს ფატა იქ პატარძლის,
მოურთიათ ლამაზ პეპლებს.

შეუგრძვნია ჩვენს წინაპრებს,
შეურჩიეს ეს სახელი,
მომავალსაც სულ ანცვიფრებს,
ეს ლამაზი, "კოხტაველი".

10.07.2023

პლიუს-მინუსი

კარგად, რომ იქნები,
სადღაც პლიუსები,
გროვდება უმჩნევი,
სხვისთვის მინუსები.
ცუდად ყოფნის დროს,
ღირსადაც ჩაგთვლიან
და წინ წამოწევენ,
მინუს დაგითვლიან.
მერე კი მიხვდები,
ვისთვის მეტნაკლები,
ქვეყნად არ არსებობს,
სხვისთვის დასაკლები.
ერთი შენ იცი და
ორმა შენი გული,
გიძგერს ერთი ციდა,
არა შენიღბული.
ვინ რას ანგარიშობს,
მაგას არ უყურო,
კეთილს კეთილი შობს,
ოღონდ არ უყრუო.
ეგ კი ღმერთმა იცის,
მაგას მე ვერ განვსჯი,
ყველას თავის გზა აქვს,
მე ვერაფრით დავსჯი.
11.07.2023

ვიწერდი პირჯვარს

იესო ტანჯვარს-გაკრული, ტანჯვით,
ჩვენს ცოდვებს ღმერთით ეზიდებოდა.

ამაღლდა ზეცად, მოვიდა ცოცხლად,
და ჩვენს გულებში დამკვიდრდა მარად.

მე ვიწერ პირჯვარს და შევთხოვ უფალს,
მომცეს ძალა, ვზიდო „ჩემი ჯვრის“,
სიმძიმე, რომელიც დროდადრო მიჭირს.

მეძლევა ძალა, ვარ მადლობელი,
ყოველი დღისთვის და ყველაფრისთვის,
ცხოვრება მიდის, დღისა და ბინდის.....
რო მსურს და მინდის,
ცისა და მიწის, მოვიდა-მიდის...
მოდის და მიდის, მიდის და მიდის....

20.07.2023.

როდესაც

როდესაც აზრში წანწალ-ნისლები,

სიკეთის ჭურჭლიდან კამკამ-იცლები,

თვალ-საქმიდანაც კი წამწამ-იშლები,

ატყობ, რო ღრენიდან წკავწკავ-იცვლები.

22.07.2023.

დაგაკვირდი

შემოგხედე და კვლავ დაგაკვირდი,

შევქმენი ირგვლის შური და მტრობა,

შენში იმდენად მე გაგიკვირდი,

რომ ვერ აღიქვი ჩემი მხატვრობა.

23.07.2023.

არ გაგშორდები

ჰეი შენ ჩემო, მენანები, არ გაგშორდები,

მილიარდებში ისეთი ხარ, არ მეორდები,

არა არის მარადიულში ეს ასი წელი,

ვისთვის ჩქარ-ჩქარი და ხანდახან კვლავ ასე ნელი.

სამარადჟამოდ მეც უსასრულოდ შინ დავბრუნდები,

შენი გულისთვის აღმართებზე კვლავ ავბრუნდები,

მაგრამ იცოდე ყოველ წამში შენთან ვბრუნდები,

რადგან ვიცი, რომ შენს ფიქრებში კვლავ არ ვხუნდები.

როცა ზურგით ხარ ჩემსკენ სახით სულ რომ ბრუნდები,

აფრინდებიან თვალებიდან თეთრი ხუნდები,

მტრედებად გაზრდას დიდი ხანი რომ მოუნდები,

შენგან კი უხვად რომ ფრინავენ მათი გუნდები.

აღარ მოჰკლავენ შევედრებულს, ვით ჩემი ბედი,

დაიღვენთება სანთელივით სარკმელს ნადები,

არც თავს მოიკლავს ის ამაღამ ვით თეთრი გედი,

რადგან ქალღმერთის მსგავსი იყო ქვისა ნატეხი.

დაბადებიდან, რომ ჩამაწვინეს მე ხის აკვანში,

არტახებ გაკრულს კარგა ხანი მარწევდა დედა..

არ დავიჯერებ, რომ მე მონობა მერგო თავანში,

რადგან წყურვილი თავისუფლების, მომდის მანდედან...

24.07.2023.

საწინასიტყვაო

1973 წლის 17 მაისი ღამის დაახლოებით 3 საათი, სასწრაფოში ვერ რეკავენ ტელეფონი არ არის (ერთეულებს აქვთ, უბანში, ღამეა სძინავთ, უხერხულია, მაშინ უხერხულობაც უხერხულობდა) არც საკუთარი მანქანა, არც ტაქსი დადის (ადგილია ეგეთი თბილისში). წინ მეზობელი საბედნიეროდ „ბებია ქალი“ გამოდგა, მაგრამ არ ვიცი მაგ დროს აცნობიერებენ თუ არა, რომ იტყვიან „ცალი ფეხი სამარეში აქვსო“ დედაჩემის აი ასეთი თავგანწირვისა და მამაჩემის ორმაგად ნერვიულობის შედეგად....გადავრჩით...დავიბადე (მირზაანის ქ.#72).
(არც სანადირო თოფი იყო სახლში, რომ ესროლათ. ბაბუა ისროდა, რომ გაიგებდა მოგვიანებით, ომის ვეტერანი იყო და სანადირო თოფიც ჰქონდა გაფორმებული)
უფროს ბავშვს გაუღვიძია მაგ დროს (სოფელში წაეყვანა დეიდას) და დედა მოუკითხავს, რომ აუხსნიათ დაწყნარებულა მაგრამ მთელი დილა უძახია ბა, ბა, ბა..სანამ მამა არ ჩავიდა და წამოიყვანა. (მაგ დღეს ბებიაჩემის ბიძის შაქრო ასპანიძის გასვენება ყოფილა, აცხოვნოს უფალმა)

მამაჩემის დროს სახელის დასარქმევად ნათლიებს მიმართავდნენ პატივისცემის ნიშნად. მამაჩემსაც ნათლიამ გამოუგზავნა რუსეთიდან საფოსტო ბარათით სახელი ვიტალი. დაარქვეს ვიტალი, ნათლიის ხათრით მაგრამ მთელი ბავშვობა გულადის ეძახდნენ (მაშინ ყველას რუსული ეგონა სახელი ვიტალი და მერე გაირკვა იტალიური ყოფილა და სიცოცხლის საწყისს ნიშნავს) მე რადგან ჯერ ნათლია არ მყავდა შერჩეული და მაგ დროს უკვე სიზმრის ნახვა იყო „მოდა“-ში, დედაჩემსაც მანამდე უნახავს სიზმარი; ბიჭი თუ შეგეძინა ლევანს დაარქმევო, ვიღაცას უთქვამს, თეთრ წვერიანს ან უფრო ხმა ჩაესმა (ბაბუას ვლადიმერი ერქვა პასპორტში, ისე ლადიკოს ეძახდნენ). ვლადიმერი ბიძაშვილს დაარქვეს და დღემდე ბაჩოს ეძახიან.

ბაგადან მოყოლებული, ბაღშიც მეურვეობა აიღო ჩემმა დამ, ნინომ. მივლიდა, მაჭმევდა, მაძინებდა, იმდენად მივეჩვიე კომფორტს ერთი წელი დატოვეს ბაღში ჩემი გულისთვის. მოკლედ საზრუნავი და სანერვიულო აკლდა და ეგეც გამოუჩნდა....(ისე ესეც მოდაში იყო, და-ძმის ბაღის დამთავრება ერთად და სკოლაში სიარული ერთად, ხარჯი და რაც მთავარია დროის დანაზოგი, ისედაც გახანგრძლივებულში გვიხდებოდა სიარული და დღე-ღამიანიც გამოვიარეთ მაგის გულისთვის).

მახსოვს პირველად, მე და ნინო სკოლაში, რომ მიგვიყვანეს ერთ მერხზე აღმოვჩნდით, (რადგან კლასელები ვიყავით, ყველას ტყუპები ვეგონეთ) და იმ დღიდან თემებიც ერთი გვქონდა, ლექსის გამოგონებაშიც ვეხმარებოდით ერთმანეთს. პირველი თემა მახსოვს დიდ სამამულო ომის დამთავრებას 9 მაისს ეძღვნებოდა და ასეთი გამოვიდა: (აღლუმებზე სულ დავყავდით და ყვავილებს გვაბნევინებდნენ ღია „ბორტიანი, ვენოკიანი“ მანქანებიდან)

---ოთხი ზაფხული, ოთხი ზამთარი,
„ჩვენი სამშობლო“, ცეცხლში იწვოდა...
წვიმაში ქარში, ტყვიის ზუზუნში,
„ჩვენი ჯარები“, მედგრად იბრძოდა.
მერე არ მახსოვს დანარჩენი და ფინალი ასეთი იყო:
გაგვითენდა ცხრა მაისი,
რა კარგია, რა კარგი,
მოგვიტანა გამარჯვება,
მშვიდობა და ხალისი!

1980წ. 9 მაისი. (გაგანია კომუნიზმი, ისე სულ შევდიოდით მასში.)

...მოკლედ მერე იყო მეორე, მესამე კლასებში სასიყვარულო ლექსების შედგენა ჩემს მიერ, რათა მეგობარ კლასელს გაადვილებოდა შეყვარებული კლასელისთვის „სიყვარულის ახსნა“, რომელიც ასე გამოიხატებოდა: უნდა გავკიდებოდით მე წინ დავუდგებოდი ვითომ რაღაც უნდა მეთქვა და ის უკნიდან ჩანთაში ქაღალდზე დაწერილ ლექსს ჩაუგდებდა, ხან გამოდიოდა ხან არა და მეორე დღეს ვაკვირდებოდით თუ შევატყობდით კმაყოფილებას (ვერ ვხვდებოდით ლექსი მოეწონა, გამოკიდების ორგანიზატორი თუ სირბილი) გავაგრძელებდით თუ მრისხანება წამოვიდოდა ვჩერდებოდით და ახალ მუზებს ველოდებოდი (ძნელია, მაგ დროს შენ უნდა გაითავისო იმის გრძნობები და იმაზე ინერვიულო ვაი თუ ხვდება ვისი დაწერილია, ყველანაირად გამოჭერილი ხარ „მაჭანკლობაში“-ც რადგან ნინოს დაქალი იყო ყველა მე არ მეკადრებოდა ამ საქმის ჩადენა, რაც არ უნდა ჩემი ძმაკაცი ყოფილიყო შეყვარებული მხარე და ლექსის აბდაუბდობაც უარესი) იყო ასეთი იმ დროისთვის „სერიოზული საქმეები“.

შემდგომ სკოლის არდადეგების დროს სოფლის შთაბეჭდილებები, სოფლის ლეგენდაზე და ნათესავ

გარდაცვლილ ბავშვზე, რომელიც უუნაგირო ცხენმა აითრია (მხოლოდ ჯაჭვით იყო ხელზე შემოხვეული და ის აიხლართა რა დროსაც ცხენი დაფრთხა) და ტრაგიკულად გარდაიცვალა (ის ლექსიც დაიკარგა).

არ მახსოვს რომელ კლასში გვასწავლეს რუსულის გაკვეთილზე კრილოვის „ყვავი და მელია“, ისე აგვიხსნა მასწავლებელმა გადათარგმნა მომინდა და ვეცდები გავიხსენო;

ერთხელაც წუწკმა მელიამ,
ყვავი შენიშნა ჩრდილშია
ყველის ნაჭერი ეჭირა
ვერ ეტეოდა პირშია,
ის მიუცუცქდა დაბლიდან,
დაუყვავა და უთხრა მას;
რა ლამაზი ხარ დაია,
როგორ გიხდება შავია,
სიმღერაც გეცოდინება
ხმატკბილი შესადარია,
ყვავსა ეამა შექება
სხვა დროსა არა რგებია,
პირი დააღო თუ არა
გადმოუვარდა ყველია.
რაც დაემართა ყვანჩალას
წარმოდგენაც კი ძნელია.
მელიამ სტაცა თათი და
დაიყენა დღენია,
ყვავი გაბრიყვდა იმ დღესა ასე დაკარგა ყველია,
გამარჯვებული გამოდგა მელია კუდაგრძელია.

დაახლოებით ასე აღვიდგინე. თავს ვიწონებდი მანამდე (ნახეთ როგორ ვთარგმნე რუსულიდან ქართულად და შემიფასეთ თქო) სანამ არ აღმოვაჩინე, რომ აკაკი წერეთელს დიდი ხნის წინ უთარგმნია გენიალურად და

შემრცხვა არ მქონდა წაკითხული(ლექსის თავისთავად). ასე დაკარგა საქართველომ ჩემი სახით დიდი მთარგმნელი და აღარც მიფიქრია ამის თაობაზე.

საერთოდ ლექსის ზეპირად თქმა დღემდე მიჭირს. სკოლაში მახსოვს ილიას ერთ-ერთი ლექსი „ჩონგური“ დავხატე რებუსივით და ასე მინიშნებებით ძლივს დავიმახსოვრე. ლექსის შინაარსი ვიცოდი ყოველთვის, ეს პრობლემა სიმღერის დროსაც გამომყვა დღემდე, ტექსტებს ვერ ვიზეპირებ და აუცილებლად ნინომ უნდა გამიწიოს „კომპანიონობა“ მაგ დროს.

მერე იყო თავად ჩემი შეყვარებულობის პერიოდი, რადგან მორცხვი ვიყავი და სერიოზულადაც არ მიმაჩნდა თემა მაინც და მაინც რატო უნდა მეთქვა გოგოსთვის „მე შენ მიყვარხარ“ თუ ისედაც მეტყობოდა თვალებში და საქციელზე, რომელიც მეგონა ის ყველა ვარიანტში ხვდებოდა და ჯიუტად ელოდა „მე შენ მიყვარხარს“, (არ უთქვამს და „ამირან გულში მღეროდა“-ც კარგად ჰქონდათ მომზადებული „ვზროსლი“ დეიდებისთვის რომლებიც სახალისოდ და ცრუ სერიოზულობით გვგულშემატკივრობდა შორიდან, რადგან იმათ ფინალი უკვე იცოდნენ და შედეგები კი სახალისო იყო და რა ენაღვლებოდათ გასართობად მშვენიერი იყო, ბევრი „სისულელე“ ჩამიდენია). ვაი თუ უარი ეთქვა? მერე ამ ოქროს სიტყვების „გაბიაბრუება“ როგორ მომენელებინა, არადა თავად ისედაც მინელებდა ცალმხრივი „სიყვარული“. როცა შემაწუხებდა ეს ჩემი ხასიათი მაშინ გადავიტანდი ფურცელზე გრძნობას და მომეშვებოდა (ხარისხი არ იყო საინტერესო). ვინც მიხვდა ამ სიტყვების გარეშე და თავიდანვე „სერიოზულად“ ამომიცნო და „შევეცოდე“ შემდგომი ინტრიგებისთვის ის უკვე ჩემი მეუღლეა სოფიო. დღემდე ძალიან სერიოზულები ვართ. (ეტყობა სხვებისთვის სხივი მაკლდა თვალებში).

ჩანახატებსაც ვაკეთებდი ფანქრით. პირველი „პორტრეტი“ სამი წლის ასაკში მახსოვს. საწერი კალამი მომეწონა (ხო, ნულ კლასში, მელნის პეროებით ვწერდით) და დავიწყე ხატვა, ისე გავერთე, დივანიდან გადმოვარდი. კაი ხნის მერე მიპოვეს პირქვედამხობილი, ფეხები დივანზე დამრჩა და თავი იატაკზე. განაბული ვხატავდი, სულზე მომისწრეს სისხლი, რომ არ ჩამექცა. მერე ცოტა დიდობაში იყო დამახასიათებელი სახეები, დიდი ცხვირებით, წვერ-ულვაშით. „სამარშრუტო ტაქსი“-ში ჩანახატი მახსოვს მოხუცი „ეზიდი ბაბო“ დამახასიათებელი დაჭმუჭნული სახით, დიდი ცხვირით და ყვრიმალზე მწვანე ტატუს წერტილით. მერე სახლის რემონტი გაგვიგრძელდა ძალიან დიდი ხნით და კედლის მხატვრობა შემოვიდა ჩემში. უყაირათოდ წასმული გაჯის ნარჩენების გამოყენებაც ვცადე და ექსპრომტად დიდი ილიას და ვაჟას ბიუსტები გამომივიდა დღემდე ვინახავ. მახსოვს გამოფენა უნდოდათ სკოლაში და დირექტორმა მთხოვა სკოლის მუზეუმის დასაარსებლად მინდა დამიტოვეო. დამენანა და იწყინა, მეც დღემდე ვერ გამიგია უნდა ვინანო თუ მიხაროდეს. ვნანობ ადამიანს, რომ ვაწყენინე და მიხარია ჩემმა შვილებმა რომ ნახეს და შემორჩა, რადგან მაშინ ფოტოს გადაღებაც ჭირდა და ისეთი დრო იდგა არაფერი იყო მდგრადი. დიდი ხნის მოღვაწეობაც არ ეწერა „მუზეუმს“ (არც გახსნილა, იმედია ჩემი მიზეზით არა).

გაფიცვები და მიტინგებზე სიარული, კომუნიზმის მიმართ პროტესტი და ეროვნული სიამაყე...

ოქტომბრელობა, პიონერობა და მერე კომკავშირში ძალად გაწევრიანება, რადგან კარგად სწავლობდით სკოლას სჭირდებოდა ბევრი წარჩინებულის წარდგენა რაიკომში. რაც შევძელით კომკავშირის ბილეთები მაინც დავწვით დემონსტრაციულად 9 აპრილის გამთენიისას (მიტინგიდან 12 საათზე წამოვედით, ჩვენც იქ უნდა ვყოფილიყავით...

სრული შოკი... მორგებში სიარული, რათა ახლობლები ამოგვეცნო). დიდება მათ სულებს! დიდება გმირებს!.. ნინომ სიმღერა შეჰქმნა, დიდს-პატარას თავზარი გვქონდა დაცემული, მეზობელი ეთერი გოგიჩაიშვილი ამოვიდა და მახსოვს, როგორ შეიქმნა გულიდან წამოსული ლექსი ყველას თვალწინ 9 აპრილის გმირებზე. სკოლიდან წაგვიყვანეს ფილარმონიის მცირე დარბაზში ნონომ იმღერა წლისთავზე, თავისი დაწერილი სიმღერა, თავადაც უკრავდა როიალზე.

----„ქუჩებში მრავალი ტანკი დამდგარა
თბილისი ძაძებში ჩამჯდარა,
ყველა ქართველის სახეზე ღიმილი გამქრალა,
ქართველი დედის თვალში ცრემლი დამშრალა.
თბილისის ქუჩებში შავი დროშები ფრიალებს,
დაღუპულთ სულები მთავრობის სახლთან ტრიალებს,
პასუხი მოეთხოვოს! ყველა უსამართლოს,
ვინც ჩვენ მოწა-წყალზე ცოდვას ატრიალებს!
ქართველთა გულში ჯავრის ჯარა ტრიალებს,
შავ დროშას ხელში იმედად აფრიალებს,
ჩვენთვის განწირულნო ნათელში იარეთ,
გვწამს, რომ მოგიშუშებთ მაგ დაჭრილ იარებს“.

დიდება მათ სულებს! დიდება გმირებს!

დამოუკიდებლობა გვერგო თავგანწირვის სანაცვლოდ (!?) თუმცა მავანნი დღემდე გაიძახიან მაინც უნდა დაშლილიყო „სსრკ“ და დღემდე გრძელდება ჩვენი „დამოუკიდებლობა“

მერე იყო ომი..... „არა საერთო“ ჩვენი „შიდა-საერო“ საერთო მტრის წაქეზებითა და ძალებით--------საუკეთესო გენოფონდი მოგვიკლეს ---დიდება გმირებს!!! (დღემდე ომში ვართ).

...რა დამავიწყებს პირველ კურსზე ვიყავი ჩარიცხული, ბიძაჩემს ვაცილებდი ომში და მატარებელში, რომ ავედი იქ

ჩემი კლასელი დამხვდა. (ჯარიდან პირდაპირ ომში გაუშვეს) დავითრგუნე ორმაგად და გადავწყვიტე მეც გავყოლოდი მათ. მატარებელი რომ დაიძრა და არ ჩავედი,ბიძაჩემიც უხერხულში ჩავაგდე, ძალიან შეწუხდა. ხმამაღლა არ უნდოდა ეთქვა, ყურში მკაცრად ჩამჩურჩულა: ჩემი შვილების და შენი გულისთვის მივდივარ და ჩემს ძმას რა პასუხი გავცე შენი წამოსვლითო. დაძრული მატარებლიდან დამეხმარა ჩასვლაში, ხელი მიბიძგა ასე ვთქვათ გადმომაგდო.(გაანათლოს მისი ვაჯკაცი სული, იქიდან უვნებლად ჩამოვიდა, სოხუმის დაბომბვის მეორე დღეს მოვიდა სახლში) ვერც ერთ ომში ვერ წავედი მოხალისედ (მიზეზები რა მოსატანია, დღემდე მაწევს რაღაც „გაურკვეველი“ ტვირთი თუ ქენჯნა), თუმცა „დეზერტირი“ არსდროს ვყოფილვარ, იმასაც ვაცნობიერებდი სხისთვის ხელი არ შემეშალა ჩემი გამოუცდელობით (იარაღთან დამოკიდებულებაში) და სხვანაირად შემეწყო ხელი მშვიდობის დამყარებას, მესწავლა...მესწავლა საკუთარი თავის ან იარაღის მართვა(ორივე ერთად იდეალური ვარიანტია მტრის საკადრისად მოგერიებისთვის და სერიოზული ზიანის მიყენებისთვის მათ ბევრ მილიონიან ჯარისთვის), მენუგეშებინა, მეშრომა, დავხმარებოდი ოჯახებს რითიც შემეძლო და წვლილი შემეტანა მომავალი თაობის გამრავლებაში. ბრძოლით სარგებლის მოტანა არ გამომივიდოდა, დანარჩენი ასე თუ ისე შევძელი. გასაჭირისთვის მზად ვარ პირველივე დაძახებაზე გვერდით დავუდგე ჩემს სამშობლოს. (ვლოცულობ მშვიდობისთვის, ღმერთმა არ ქნას, გვაკმაროს! გვაკმაროს! გვაკმაროს!) მინდა ვიყო იქამდე სანამ ჩემი სამი ვაჟკაცი ფეხზე არ დადგება სათითაოდ.

პური--ხაბაზმა(აცხოს), სახლი--ინჟინერმა(ააშენოს), ეკონომიკა--ეკონომისტმა(გააძლიეროს), მშვიდობა --პოლიტიკოსმა (შეინარჩუნოს...და არა გამოუცდელმა პირტიტველა ბიჭებმა თავიანთი მსხვერპლით... მე მაპატიეთ) აკეთოს, ყველამ თავისი საქმე.

პირველი „სერიოზულთანმიახლოვებული“ დამოკიდებულება ხელოვნებასთან „ინტერესის გაღვივებით“ გამიჩნდა, როდესაც ნინომ მოსაწვევი მომიტანა თავის სამსახურიდან სადაც მისი თანამშრომელი პოეტი ქალი (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო; ლელა მეტრეველი) შეხვედრას უწყობდა პოეტ ტარიელ ხარხელაურს. მივედი, იქ სასწაული გარემო დამხვდა პოეტები, ზოგს თავის ნახატები ჰქონდა მოტანილი, დიდი მწერლების ნაწარმოებების პერსონაჟები გაცოცხლებული ფანქარში, ზოგმა მინიატურული ქანდაკებები გამოფინა. იმდენად აჟიტირებული ვიყავი ბოლოს ექსპრომტი დაწერე ფურცელზე და ნინოს თანამშრომელს გადავეცი, რომელმაც თავისი ლექსების კრებული მაჩუქა ხელმოწერით (სახლში მოსვლისთანავე შემრცხვა). დაუვიწყარი იყო იმდენად რამდენადაც „ბნელი 90-იანები“-დან ასეთი შეხვედრები დიდ სითბოს და სიყვარულს ატარებდა და მით უმეტეს ცოცხლად ამხელა პოეტის ხარხელაურის ნახვა საათნახევრის განმავლობაში, რაღაც არარეალურ კუნძულზე მოხვედრას ნიშნავდა ჩემთვის. მერე იყო ნინოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამსახურის დაწყება და იქიდან ოპერის და კიდევ წიგნის პრეზენტაციის მოსაწვევები.

დიდი დრო გავიდა (მოწიფულ ასაკში, ნანატრი შვილები, სამი ვაჟკაცი როგორც დავპირდი სამშობლოს) მანამდე პოეზიის, პროზის, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომების და როგორც ქართველი კლასიკოსების ასვე მსოფლიო ლიტერატურის კითხვამ გამიტაცა (ბევრი

უძილო ღამეები მოჰყვა). პარალელურად ჩემი გვარის წარმოშობის ბავშვობისეული ლეგენდების გაცოცხლების სურვილი თავს არ მანებებდა. ამ თემას იმ დროს სერიოზულად იკვლევდა გურამ ბოცვაძე (ბიძა, მამაჩემის ბიძაშვილი), ბოლოს ერთიანი ძალებით და მონდომებით წიგნი გამოვეცით „ბოცვაძეთა გვარის ისტორიისთვის“ (სერიოზულად გავთამამდი).
კულმინაცია მაინც პანდემია გახდა (მამის გარდაცვალებით გამოწვეულ სტრესის გახსენებაც არ მინდა, ბიძაც მალე წავიდა)

მე ასე მგონია ერთ ადამიანსაც თუ მოეწონა ჩემი ნაფიქრი 8 მილიარდი მოსახლეობის მემილიარდედი წვლილი მექნება შეტანილი „პლანეტის ბრილიანტის“ საქართველოს სიყვარულიდან ამომავალი გრძნობით, დედამიწის გალამაზებაში. უფრო პოეტები ალამაზებენ ჩემი აზრით არესაც და მარესაც. ნამდვილ პოეტებს კიდევ თავიანთი სამყარო აქვთ, მისტიურიდან გადმოაქვთ ამ ცხოვრებაში ისე, რომ თუ მათ ენას ცოტა მაინც არ წვდები გონებით ან ინტუიციით მაინც ვერ გაიგებ ერთი მოსმენა-წაკითხვით. ზოგს მუსიკალობა ალამაზებს, ვერ ხვდები, მაგრამ მთლიანობაში კარგად რჩება, განწყობას გიქმნის. არიან ამ მისტიციზმის მიმბაძველები, მკითხველსაც აწვალებენ და თავადაც წვალობენ რაღაც სიტყვებს იგონებენ რითმისთვის და აზრს არ დაგიდევენ, მოკლებულია ყველანაირ რეალობასაც. თუმცა განსჯა რა ჩემი საქმეა, ცდილობს კაცი წერს ხომ არ აშავებს რამეს, ნუ წაიკითხავ არც გაძალებს ვინმე). ამიტომ მე შორს ვარ ამ კატეგორიებიდან (არც პოეტი ვარ და არც „მიმბაძველი“) და სათქმელი, ჩემი აზრი ასეთი ფორმით მინდა გავალამაზო. ვინმემ რომ მკითხოს ეს რა გიქნია ამ მოწიფულობაშიო, ასე ვიმართლებდი თავს: მე ვერსად წავიკითხავ ისტორიას გალექსილს ჩემს ორივე სოფელზე,

ამიტომ მე ვეცადე. დედაქალაქიც ჩემეულად დანახული მინდოდა აღმეწერა, კიდევ რაღაც თემები ავსახე შავით თეთრზე. მოვეფერე შვილებს, მშობლებს, მეუღლეს, დას. მადლობა ღმერთს, მომცა ძალა რათა ჩემთვის მაინც გამებედა და მენახა თუ როგორი იქნებოდა წიგნის გარე კანი ჩემივე გაფორმებით და ჩემი სახელი-გვარით. მადლობა ყველა თქვენგანს, ვინც წაიკითხავს და არ განმიკითხავს (კრიტიკა მისაღებია და აუცილებელიც).

ჩ ა ნ ა ხ ა ტ ე ბ ი

ქართლელი პაპა და გურული ბაბუები

სკოლიდან, რომ დაგვითხოვდნენ, მეორე დღესვე გავრბოდით სოფელში. რადგან დედის მხარე ახლოს იყო 90 კილომეტრში, მალე ჩავდიოდით თეთრიწყაროს რაიონში ს.კლდეისში და დიდი დავიდარაბა არ უნდოდა განსხვავებით სამტრედიისგან, სადაც ს.ნოღაში (ჩოხატაურის საზღვარი, ახლანდელი "იმერეთის გურია") ჩასვლას ნახევარ დღეს ვანდომებდით, რადგან არც გზები იყო და საბჭოთა მანქანა 06 ჟიგული ხან წყალს ადუღებდა ხან „გული ამტკივდებოდა“(გულის რევას, გულის ტკივილს ვეზახდი), ხან ბევრი ბარგის გამო საბურავი გვისკდებოდა, ისეთი დაღლილები ვიყავით მანქანის საბარგულიდან ჩატანილის ამოღება ჭირდა. თან კლდეისში პაპა და ბებია ახალგაზრდები იყვნენ, გვივლიდნენ როგორც შვილებს, ჩვენც ყოველდღიური საქმიანობა გათავისებული გვქონდა

თან ვისვენებდით, ისეთ მთის "ზაგარს" ვიღებდით ზღვაზე ნამყოფს შეშურდებოდა.

მოკლედ რაზე დავიწყე, კლდეისიდან არდადეგების ბოლო მიწურულში ჩავიდოდით ნოღაში და დიდ ბაბუასთან მივრბოდით გვერდით ოდაში, დაგვინახავდა თუ არა სიხარულით დაიწყებდა "მევიდენ ჩემი ჩაჩნები"-ო, თავიდან მეგონა მოფერებისთვის აუცილებელი, მერე მეუხერხულებოდა სათქმელად, ერთი პერიოდი ვიფიქრე რადგან ტოლერანტული დედაქალაქიდან ვიყავით, მაგრამ ბოლოს მივხვდი იქ გურიაში შორიდან ჩასულებს ეძახდნენ ჩაჩნებს, თან მართლა ძალიან დიდი სიყვარული იდო ამ ნათქვამში, (შორიდან, ინტერნაციონალური დედაქალაქიდან, თან "დაზაგრულები" მოკლედ ყველა პირობა იყო საჩაჩნედ), თუმცა რაღა შორს მივდივარ ნ.დუმბაძის მოთხრობაში მომთაბარე ბოშებს გურულები ჩაჩნებს ეძახდნენ. ჩვენც ნოღის მკვიდრ გიორგი ბაბუასთვის მომთაბარე ნოღელები ვიყავით, რადგან დიდად არ სიამოვნებდა მისი შვილიშვილების (მამაჩემის და ბიძაჩემის) ბავშვობიდან თბილისში დაფუძნება, უფრო ბებიაჩემის ჟენიას სურვილი იყო, რადგან იცოდა თავისი უკურნებელი სენის შესახებ და უნდოდა ბავშვები ქალაქს დამკვიდრებულიყვნენ, ესწავლათ და წარმატებული ოჯახები შეექმნათ. მერე დავერეოდით გიორგი ბაბუას "მუშტუკებს", ნაირ-ნაირებით ამარაგებდა ლადიკო ბაბუა და ასტრას შეაკეთებდა სიცილით მოგვაწვდიდა, მოულოდნელად ან დაბარებულივით ლადიკო ბაბუა გაჩნდებოდა და ყველას გვისაყვედურებდა; მეტი

გასართობი ვერ ნახეთ ბაბუ?! დაბერდა უკვე მამაჩემიო. გიორგი ბაბუა უკვე ვეღარ დადიოდა და ქვეშაგს აგვაწევინებდა და ჩვენთვის სპეციალურად შენახულ ლენინის თავიან, რკინის მანეთიანებს და ქაღალდის მწვანე სამ მანეთიანებს გვჩუქნიდა.

ჩემი სიშავის ამბები არც ჩოხატაურის საბიძაშვილოს უბანს, სადაც სულ ჩავდიოდი, არ გამოჰპარვია. „ბარო ტო“-ს რომელიც თბილისელებისთვის ჰქონდათ მისალმებად, ზედმეტსახელიც დაუმატეს (იმ პერიოდში პოპულარული იყო სომხეთის პატრიარქი ვაზგენი) ვაზგენა და ბარო ვაზგენ! ეგრე მესალმებოდნენ. მერე ჩემმა ბიძაშვილმა მახომ გურული ინტერპრეტაციით ვაზრძგენე შემარქვა.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ როგორც ვახსენე ბეგო პაპასთან ჩასვლისას, მინდოდა გურიის ამბები მომეყოლა, მეც დაწვრილებით ვუყვებოდი. ზოგს ვერ წარმოიდგენდა, რადგან ძროხა თივის გარდა თუ ჭამდა რამეს მაგ; სიმინდის სპეციალურად შეგროვებულ ფუჩეჩს, რომელსაც სანამ სახლში მიიტანდნენ ყანაში შეგროვებულს "ქურდული" ერქვა. ქართლში თივის გროვას "ბულული", რომელსაც ათეულობით მოგროვებულს ზვინად გადააქცევდნენ და მერე მიჰქონდათ სახლში ზამთრის პირას. კიდევ ბევრი რამე თუნდაც კერძები, განსხვავებული სიტყვები მაგ; ტილო-ჭინჭი, ან სულაც ქართლში საერთოდ არ იყო არც ჭური და არც ღვინის ამოსაღები კოპე, რომელსაც მწარე “ხაპისგან” ამზადებდნენ. რუსულ დასახელებებზე ხო... (მე კი მაშინ გურული

მეგონა); კარდალე, სტოლი, სტაქანი, საინი, ოტკა, მალაკო და კურუშკე.

კერძებზე გამახსენდა ასინო, დიდი ბებიაც მოხუცი იყო და "ხარჩო" ჰქონდა გაკეთებული, იფიქრა შვილს მივაწვდიო და "ღრმა საინით" წაიღო, ჩემი და მიჰყვებოდა ასე 2-3 წლის და რადგან ასინო ბებიას ხელები უკანკალებდა, სანამ "ხარჩო" მივიდა ადგილამდე, ნინოს ეზოს ძაღლები ასალოკად მისდევდნენ. მე უფრო ჩაწოლილი მახსოვს ასინო ბებია, დავადგებოდით მე და ნინო თავზე და ვითომ ექიმები ვიყავით ხან ენას გამოვაყოფინებდით და ხან სიცხეს ვუზომავდით გვინდოდა მოგვერჩინა, ფეხზე დაგვეყენებინა, რომ გვეკითხებოდა გიორგი ბაბუა, რამდენი აქვს სიცხეო, ჩვენ ვპასუხობდით 34-იო, გაციებულა მაი ბაბუაო და იცინოდნენ ორივე. მერე სუფრას გაგვიშლიდნენ, უფრო სწორედ გაგვაშლევინებდნენ, გამეიღეთ ბაბუა მაქანე „შკაფში“ ყორიფელიაო და ჩვენც გამოვალაგებდით კონსერვებს, მერე ცხელებს იამზე, მამაჩემის ბიცოლა შემოგვაშველებდა.

ნოღაში სამზადისი კარგი იცოდნენ, რასაც ლეოს მაღაზიის მანეთიანი უგემრიელესი "ბუხანკა" პურები ამშვენებდა. ბაბუა დიდად პურს არ ჭამდა, ჭადი და ღომი ყოველთვის იყო, მაგრამ მე საჭმლის წვენს ვერ ვაშრობდი ჭადით და ისეთი მაღალი და ფაფუკი იყო „ბუხანკა“-ს ერთი ნაჭერი სულ ისრუტავდა მთელ წვენს, მეც აღარ ვწვალობდი.

კლდეისში თავად აცხობდნენ უსაფუარო პურს. დიდ ვარცლში მოზელდნენ ფქვილს, ასე ათი დღის სამყოფს. მახსოვს ბებიაჩემი ეს პატარა ქალი, როგორ ეჭიდავებოდა კიდე, უკვე მოზელილ ცომს. გვერდებიდან ამოაცლიდა და შუა „მუცელზე“ დაატყეპებდა ცომის ამონაღებს, რომელიც თეთრად თანთალებდა, რითმში თავისებური ტკაცანის ხმებით ვარჩევდი შორიდან, ზელვის რომელი მომენტი იყო. გუნდას, რომ ამოიღებდა, გაწყვეტდა და ხელებს იქამდე ატრიალებდა სანამ სპეციალურ ხისგან გამოთლილ შესაწყობზე არ დადებდა, ისეთი სიზუსტით ათასში ერთხელ თუ იხმარდა ასტამს, ზედმეტი ცომის მოსაჭრელად უფრო ბოლოს, ნარჩენი ცომების, ვარცლიდან საფხეკად სჭირდებოდა ასტამი. ბავშვები "კოკრებს" ველოდებოდით, სანამ პურები გამოცხვებოდა ფურნის დასაშუშმინებლად მანამდე, ლავაშის ცომს დადებდნენ 2 წუთში მზად იყო, გუდის და ჩეჩილ ყველთან მისწრება იყო. (კოკორი, ნარჩენი ცომისგან პატარა პურები.)

ლადიკო ბაბუას ქართლის თიბვის პროცედურებს ვუხსნიდი. ჯერ გათიბვა, მერე იმ ზოლებს ჭელი რომ ერქვა და უკვე შემხმარს ერთ ადგილზე მიგროვებულს ღვარეული. მერე იქიდან ბულულებს აკეთებენ და აწ უკვე ნახსენები თივის ზვინად გადაქცევას მთელი ოსტატობა სჭირდებოდა, ტკეპნა სიარულით, თავის მოდგმა ზემოდან ფიჩხები და ჩამოსვლა ცალკე სპორტის სახეობა იყო ორთითებით და კეტებით. ამას ვუყვებოდი

და გასაკვირი ის იყო ისე ოსტატურად უკვირდათ თითქოს საქართველოს კუთხეების წესებს მე

ვიგონებდი და მეტი დამაჯერებლობისთვის დედასაც ვიფიცებდი. კუთხური სიტყვის მნიშვნელობაც ხშირ შემთხვევაში აზრს იცვლიდა, ერთ ზაფხულს პაპაჩემი ეზოში მეორე სახლს აშენებდა (ორი ბიჭი ყავს) ვეხმარებოდით და მამაჩემმა აგური მიაწოდა, ცალ მხარეს მწვანე საღებავი ესვა და "ამფერი" (ჩამონატეხიც იგულისხმა) წავაო?

---მოიტა კაცო მამაწოდე ფერს არ აქვს მნიშვნელობაო, მიაძახა ბეგო პაპამ.

არყის გამოხდაც განსხვავებული იყო თავისთავად, გურიაში ხილის "ოტკას" აქვს უპირატესობა, რადგან ჭაჭა ცოტაა, ყველანაირი დაყრილი ხილი გროვდებოდა ჭურებში და შემდგომ იხდებოდა.

კლდეისში რადგან ჭაჭა სულ არ არის და ხილიც ძირითადად ტყიდან მოჰქონდათ, ხორბალს დაალბობდა ბებიაჩემი, კარგად რომ გაღოჯებულიყო (ალაო ერქვა) და შემდეგ დაღერღავდა ქვის ხელის სატრიალებელით, მერე აცხობდა ფურნეში, დატეხავდა, დაამჟავებდა და გამოხდიდა "ჟიპიტაურს", გეგონებოდა წყალივით, მაგრამ მისგან შეთამამებული, ბევრი მენახა გონდაკარგული.

ხშირად არა, ან სულაც ჭირში უხდებოდათ ერთმანეთის ნახვა პაპა-ბაბუას. ჭირის წესებიც განსხვავებული იყო, დიდი ბაბუა გარდაიცვალა გიორგი 90 წლის ასაკში 1983 წელს და მახსოვს პაპაჩემი, რომ ჩამოვიდა ისე დაიბნა ორი წრე დაარტყა მიცვალებულს თავი და ბოლო ვერ გაიგო დახურული "ლედნიკი" (ასე ეძახდნენ ყინულების ჩასაწყობ სპეციალურ ხის მოწყობილობას) იყო და მერე ეგრევე სუფრასთან აღმოჩნდა, ჯერ არ გაუსვენებიათ და როგორ შევსვა ხსოვნაო. ქელეხის წესიც შეიძლება მანდედან მოდის რადგან ადრე შორი სოფლებიდან მოდიოდნენ ურმებით ან ფეხით და ნამგზავრებს დაანაყრებდნენ, თითო ჭიქას წააქცევინებდნენ და საღამოსკენ ჩრდილის დაწყებისას გამოასვენებდნენ თავის წესებით, შეცხადებებით. ლადიკო ბაბუას და, შურა (ალექსანდრა) ბებია სულ იქ იყო თავისთავად. ბოლო დღეს გვერდით სოფელში სადაც გათხოვილი იყო საჯავახოდან წამოუძღვა ქმრისიანებს და მეზობლებს. ჭიშკართან ისეთი ამბავი-კივილი ატეხა ეჭვი შემეპარა მეგონა ვიღაცამ ახლა ჩაიარა ჭიკართან და არ იცოდა რა ხდებოდა, მერე იქაც დიდი შეძახილებით უნდა დახვედროდნენ, რადგან შურა ბებიას ფეხები აწუხებდა, ორი ყავარჯნით სანამ ჭიშკრიდან მეორე სართულზე ავიდა, ჭირისუფლებს ერთმანეთზე თავები ჰქონდათ მიდებულები და კივილის თავიც აღარ ჰქონდათ. ახალგაზრდებისთვის ორკესტრს ქირაობდნენ და მუსიკებით სასახლის ცეკვით აცილებდნენ სასაფლაომდე. ქელეხში განსაკუთრებული გემრიელი გამოდიოდა ლობიო და

ტკბილი ფლავი. მე კი წინადღით „ნახევრად დამჟავებული „მალასოლნი კიტრი“ მიყვარდა.
ას წელს მიტანებულებზე კარგი ქეიფიც გამოსდიოდათ, ისე დათვრებოდნენ სასახლის ტარება უჭირდათ. ჩემმა გურულმა ახლობელმა მიამბო; ბაბუაჩემს, რომ არ გადახდენოდა არ დავიჯერებდიო. გურიაში ხშირია „ბეწვა ხიდები“ მდინარეზე გადასავლელი, თან რომ ქანაობს, მაგ ხიდზე გადასვლის დროს ბაბუაჩემი მდინარეში ჩაუვარდათო და ძლივს ამოიტანეს ცხონებულიო.
ქვემო ქართლში თავისებური დამტირებლები იყვნენ უფრო მოკითხვას და ამბებს აბარებდნენ წასულებთან და წაგრძელებული ტონით, გამეორებებით კომპოზიცია გამოსდიოდათ, წამღერებით. (თუ ვინმე დოლსა და გარმონს აიყვანდა დიდი ამბავი იყო დამწვრისა და ბაიათებისა, ხშირად მაგაზე მეტირებოდა, სპეციალური ტექსტები იყო. მხოლოდ სახელი იცვლებოდა მიცვალებულის) დანარჩენი დასაფლავების შემდეგ ქელეხის სუფრა ასე 3 საათზე გაწყობილი იყო ძველ თავლაში გადაკეთებულ ჭირის და ლხინის დარბაზად, საკლავი დაკლული იქვე ცხვრის და საქონლის ტყავი, შილა და ხაშლამა იხარშებოდა ქვაბში. ისეთ შილას აკეთებდნენ სულ მიკვირდა, ასეთი კარგი კერძი მარტო ქელეხში რატო მზადდებოდა. იქაც ერთი ან სამი კოვზი უნდა გადმოგეღო, მისავალი, ექვსი და ცხრა უხერხული იყო, მაგდენ ხანს „ალუმინის სინს“ ვერ მოაცდენდი ან ხელი დაეწვებოდა მომწოდებელს ან სულაც უხერხული იყო რას იფიქრებდნენ დანარჩენი შილას მოყვარულები.

პირველი ცოლის იმიტაცია თოჯინა

ქორწილი თითქმის ერთნაირი იყო. ქვემო ქართლში რაღაც აღმოსავლური იცოდნენ. სანამ პატარძალს გამოიყვანდნენ ფული უნდა გადაეხადა სიძის მეჯვარეს, თუ რაღაც ეგეთი იყო ალაგ-ალაგ. ისე მაყრიონი და მოლხენა ერთიდაიგივე იყო, განსხვავება სიმღერებში და დამთავრებაში იყო. გურიაში ვინც მეტს დალევდა ბოლოს ხონჩას ატანდნენ, ჯოხზე ასხმული გოჭის თავიდან დაწყებული ხაჭაპურით დამთავრებული რაც კი წამოეგებოდა ყველაფერს ატანდნენ. (რაც მე ჩოხატაურში „კეკელა და მარო“-ზე მიცეკვია) ქორწილზე გამახსენდა ჩემი მშობლების ქორწილი არ მახსოვს თორემ, ბიძაჩემის ქორწილში 4 წლის ვიყავი, მე და ნინომ ქართული ვიცეკვეთ. ეზოში დიდი „სეფა“ იყო გაშლილი დაახლოებით 500 კაციანი. მახსოვს ადრე მაწვენდნენ (თავად ქეიფის დილამდე გაგრძელება განიზრახეს უჩემოდ), ტირილი დავიწყე, ბიძაჩემს თვალს არ ვაცილებდი, მეგონა მტაცებდნენ და შიგადაშიგ პატარძალსაც ვაკვირდებოდი, თუ მომეწონებოდა მაგ შემთხვევაში ყაბულს ვიყავი, სხვა გზა მაინც არ იყო. ეტყობა ჩამთვლიმა და ყველა ვარიანტში დაწოლა არ ამცდებოდა. გამოსავალი მაინც მოვიფიქრე; მარტო, რომ მაწვენთ ბიძაჩემის „ვოლგას“, რომ ბაბთებიანი, პატარძლის კაბაში გამოპრანჭული „კუკლა“ თოჯინა ეკრა წითელი ლენტებით, ის მაინც ჩამიწვინეთ

ლოგინში და თქვენ თუ გინდათ დილამდე იქეიფეთთქო. მომიყვანეს, მეც ჩამეძინა. მეორე დღითაც მომეწონა ბიცოლაჩემი და მშვიდად გავნაგრძე ცხოვრება. ბიძამ გაგვზარდა ერთად ვცხოვრობდით და ცოლი, რომ მოიყვანა ყველაფერზე ვეჭვიანობდი. დედის მხრიდან კი ჩვენ და ბიძები ერთად ვიზრდებოდით.

ვინ როგორ დაოჯახდა ეგეც მაინტერესებდა და ვეკითხებოდი პაპა-ბებიას. ბაბუცა ბებიას მამა ომში დაეკარგა და მეექვსე შვილზე ფეხმძიმედ იყო დედამისი, თბილისში მოდიოდნენ, რადგან პატარა ბავშვებით იქ ვერ შეძლებდნენ მარტო თავის რჩენას. ბებიაჩემიც ოქროს მედალზე ამთავრებდა სკოლას და სამედიცინოზე უნდოდა ჩაებარებინა, 17 წლის იყო. პაპაჩემის მამას ივანეს გადაუჭრია გზა, სად მოგყამთ ეგ გოგო, ჩემი ბეგოსთვინ მინდაო და ასე დატოვეს უფროსი შვილი, ჩააბარეს კარგ მშრომელ ოჯახს და თავად თბილისში დაფუძნდნენ, დედაჩემიც თბილისში დაიბადა და იზრდებოდა ბებიასთან, დეიდებთან და ბიძებთან.

გურიაში გიორგი ბაბუას ჯვრისწერაზე გული წასვლია არ ვიცი ჩუმად იწერდნებნ ეტყობა ჯვარს და მაშინდელი კომუნისტების შიშის სინდრომი იყო, თუ როგორც ამბობდნენ, ლამაზი წარმოსადეგი კაცი იყოო და ქალებმა გათვალესო, მე ვეღარ დავადგენ.

მამაჩემმა სოლოლაკში დაამთავრა სკოლა და მერე „ნახალოვლაში“ ცხოვრობდა გადასავლელ ხიდთან თბილისურ ეზოში. დედაჩემიც იქვე კუთხეში განთქმულ „საჩუქრების მაღაზია“-ში მუშაობდა და ბევრი თავგადასავლებიც ჰქონია მაშინდელი, ხან ვინ

ურიგებდა თავის შვილს და ხან ვინ თავის ნათესავს, თვალში მოსახვედრი კოხტა შავგვრემანი გოგო იყო კარგი ხასიათებით და ყურადღებას იპყრობდა. ერთ-ერთი ასეთი მომწონებელი და გულშემატკივარი აღმოჩნდა ნადია ბებია, მამაჩემის დედინაცვალი და ეს სიტყვა სულ მაკვირვებდა ასეთ ამბებს, რომ ვიგებდი და თავადაც კარგი ქალი, რომ იყო, ვეუბნებოდი თურმე ნადია ბებია შენ რანაირი დედინაცვალი ხარ მამაჩემს არ სცემ და ტყეში არ აგდებთქო, ალბათ იცინოდნენ ჩემს უცნაურ პირდაპირობაზე, რადგან სხვებიც შეკლული მყავდა ხელში --შენ იცი დიდი ცხვირი გაქვს არწივივით? შენ ასე და შენ ისე...ალბათ ფიქრობდნენ ან ვერ ზრდიან სახლში ან ეგეთია და ხომ არ მოკლავენო. მოკლედ მისულა მამაჩემი ნადია ბებიას დაჟინებული, ბოლოს უკვე მოთხოვნით, ალბათ სანამ მართლა ტყეში გაგდების არ შეეშინდა, გაუცვნია ის გოგო. მერე მოკრძალებული შეხვედრები და მალევე დაგვირგვინდა ჯერ ხელის თხოვნით და შემდეგ ქორწილით. ჩემსას აღარ მოვყვები ანალოგიური იყო თითქმის თავისი მკაცრი მამებით და სხვანაირად რომ არ შეიძლებოდა, რა მოტაცება რის გაპარვა...

ვიბადებით კომპლექსის გარეშე

რაც შეეხება „უზრდელობას“ აღზრდას არ გვაკლებდნენ მითუმეტეს იმ დროიდან მაქვს გამოყოლილი რაც შეძენილი სიკარგეებია, ეს ასე არ შეიძლება, ეს ისე უნდა ქნა და იხვეწებოდა ჩემი საქმე. „ათასად კაცი დაფასდა ათიათასად ზრდილობა“-ო. მაგრამ შინაგანი თავისუფლება მაინც ბავშვში მომატებული მქონდა სანამ ჩამიხშობდნენ, ეგრე რომ გაგრძელებულიყო, ვინ იცის... მაგ; გოგი ბიძიას კინოში, რომ დავყავდი სტალინის სახელობის კინო იყო თუ ბაღი, ერ-ერთ ინდურ კინოზე ველარ მოვითმინე და მივუტრიალდი ბიძაჩემს როდესაც დიდ მკერდიანი, ჭიპ მოშიშვლებული ქალი გამოვარდა და ცეკვა დაიწყო; ჯუჯუები, ჯუჯუები გოგია ბიძია, ჯუჯუებითქო ისე მივაყარე რამის ჩვენება ჩაიშალა. ყველა ჩვენ გვიყურებდა და მთელი დარბაზი ხარხარებდა, ეტყობა ისინიც უხერხულობას განიცდიდნენ და ნავთზე ნაპერწკალმა ააბრიალა დარბაზი. მერე სულ მახსენებდა უკვე ცოლშვილიანსაც ბიძაჩემი. რა ვქნა მკერდი მომწონდა განსაკუთრებით სამ წლამდე ძუძუზე ვიყავი და მეზობლის ქალებიც სიცილით მკერდში მაყოფინებდნენ ხელს, ეტყობა იძახდნენ ამხელა კაცი ხარ რა დროს შენი რძეა უკვე დროა შეაფასე ვის როგორი მკერდი გვაქვსო, ხმას თუ არ ამოვიღებდი კარგი იყო, ერთი მოხუცის მკერდი (სადღა იყო), შემაპარეს და ავყვირდი ეს დამჭკნარია ქიშმიშივით არ მომეწონა თქო. ისეთი ხარხარი ისმოდა გვერდით ეზოებს შურდათ მგონი და ვერ იგებდნენ რაში იყო

საქმე. ეს ჩვენი ეზოს საიდულო იყო. მოკლედ იყო ჟრიამული და სიცილ ხარხარი მერე გამოიტანდნენ საღამოს ვისაც რა ჰქონდა კაცები ლუდზე ჩაირბენდნენ სანაპიროზე ბობლა თევზების გაკეთება მამაჩემსაც გამოსდიოდა. იყო დილამდე დროსტარება და ქეიფი, სიტკბოება და პატივისცემა.

ცაცა

ჩვენს ქუჩაზე ყველანაირი, ყველა პროფესიის და ყველა ჯურის ადამიანი ცხოვრობდა. პროფესორი მათემატიკოსი, მახსოვს თევზაძე იყო გვარად. კარის მეზობელთან უბნის ავტორიტეტი მოდიოდა, ის პერიოდი იყო ბინებს არიგებდნენ და ზოგი უკვე გადასული იყო ახალ უბანში. გლდანიდან მოდიოდა ჟორა მარქარიანი, ისე ტბილად ექცეოდნენ ჩასაცმელებს ატანდნენ, ხილს ჩამოუკრიფავდნენ ერთხელ ლაბადა „პლაში“ ჩააცვეს დიდი მოუვიდა და ქამარით ისე „გამოსკვანჩეს“ ვერ გაიხსნა და იმ სიცხეში ეგრე გამოწყობილი წავიდა, ახლა მაგაზე იცინა მთელმა ეზომ, მთელი დღე. ბავშვთა პედიატრიც მახსოვს ერთხელ მოვიდა მაღალი სიცხე მქონდა, მინასიანი იყო გვარად. ხანში შესული ქალი იყო, კარგი სპეციალისტი, მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული სამედიცინო და ულვაშებიც გადაეწკიპა, „ვიდი“-ც და აქცენტიც მის მისტიურობას ხელს უწყობდა, „ახლა მე ისეთი ცამალი დაწერე,

ცოტა ხანში ჩიტი იქნები“ მართლაც წყალი არ გაუვიდოდა. ერთ სიტყვას თუ ამოვიღებდი ეგ იყო ჩემი ჭიკჭიკი, დედაჩემს თუ დავუძახებდი გეყოფა ქალო ჭორაობა მოდი აკვანი დამირწიეთქო, კარგად იყო საქმე. (აკვანშიც იქამდე ვიწექი სანამ ჩემი თავის დარწევა არ დავიწყე) ნაგავი რეკავს ზარს და არ გამოგეპაროთ გაატანეთთქო, ხო საერთოდ, მაგაზე გამახსენდა ნინო მეზობლებსაც აფრთხილებდა და ერთხელ მამიდაჩემმა უთხრა არ მაქვს ნინიკო დღეს ნაგავი და რა გავატანოო, შენ მაგაზე ნუ ინერვიულებ დედაჩემი გასესხებს და ის გაატანეო..

ქუჩის დასაწყისში „გიჟი ცაცა“ ცხოვრობდა, დადიოდა შიშველი ერთი ხალათის ამარა და კოჭის ძაფებს აგროვებდა. დავესეოდით ეზოს ბავშვები და ხალათს ვუწევდით გვაინტერესებდა მართლა შიშველი იყო თუ გვატყუებდნენ, ერთხელ თვალი შევავლე შიშველ ნაწილს წვივის ზემოთ და ისე შემრცხვა მკერდის ნაწილი ჩემი ფანტაზია იყო თუ დავლანდე ვეღარ გავიგე, არც მიფიქრია ისე შემეცოდა. მართლა ისეთი კი არ ვიყავი უკვე მიχდებოდა აღზრდის მეთოდები. მერე გავიგე საწყალი ცაცა, მანქანას გაეტანა და თან ისტორიითაც დავინტერესდი (უკვე ჩვენც ბინა გვქონდა მიღებული). ჭკვიანი ჩვეულებრივი გოგო ყოფილა სიცოცხლის მოყვარული და გარდატეხის ასაკში შეყვარებულმა მიატოვა, ჭკუიდან შეცდა საცოდავი. ეგრე ეზო-ეზო დადიოდა, ხან რას გამოუტანდნენ, ხან ტყემალს ითხოვდა, ახალი ტყემალი უყვარდა ხელზე დაისხამდა და იქიდან ხვრეპავდა „ოო რა კაია, ოო რა კაია“ იძახდა. ქალებს აბანოში მიჰყავდათ ძალით, ძალიან რომ

გაემურებოდა კულულები, ბუნებრივად იყო ხუჭუჭი თუ... ზინთლით, კი უპრიალებდა. იქვე იყო ძველი ეკლესიის შენობაში აბანო კომუნისტების ნამოქმედარი, მაშინ რა ვიცოდი ერთხელ მეც წამიყვანეს და დღემდე ვნანობ, თუმცა მე ვინ მეტყოდა ან რა ვიცოდი ეკლესია კი არა სკოლაში ნათლობის ჯვარი ჩამომგლიჯეს და შერცხვენილი გამიშვეს სახლში გაფრთხილებით, მეორედ თუ დაგინახავთ სკოლიდან გაგრიცხავთო. ვერ ვხვდებოდი რა დავაშავე, ან თუ მომნათლეს სკოლა რატო იყო წინააღმდეგი და იმაზე ვნერვიულობდი თავად ნორმალური ოჯახები არ ჰყავთ ეტყობა, არც საფლავზე გადიან და არც წითელ კვერცხს აგორებენ და საერთოდ ლენინს მაინც მიბაძონ როგორ უყარდა ბავშვები. თუმცა რაც მართალია მასწავლებლებზე კი მეგონა ნამდვილად, არც საჭორო ოთაში დადიოდნენ და ყველანაირად სამაგალითოები იყვნენ. ისიც მაინტერესებდა სახლში როგორ უძლებდნენ საწყალი ქმრები ასეთ მკაცრებს, თუმცა გაერეოდნენ თითო ოროლა ან ცეკვის ან პიონერთხელმძღვანელი გათამამებულები და მოთავისუფალოები ზედმეტად რომ გაიცინებდნენ სპორტის ან შრომის მასწავლებელისთვის, რომელიც დირექტორის შიშით მოკრძალებულად თავს თუ დაუკრავდნენ.

მე კი ქართველობასთან მქონდა, გაიგივებული ყველაფერი, ... ისტორიის გაკვეთილზე ვიძირებოდი, იქვე მინდოდა მეორე გაკვეთილი მესწავლა და ჩამებარებინა მასწავლებლისთვის. შინაგანად ვიცოდი სადღაც აგვიხსნიდნენ, როგორ შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა, რატო იყო

ამდენი ეკლესია სადაც შესვლა კი შეიძლებოდა, მაგრამ არა ხმამაღლა, ისტორიას კი მივადექი მაგრამ კითხვები დარჩა სანამ 80-იანების ბოლო არ მოვიდა და უკვე ძალიან საშიში არ იყო აღარც „მგლის ბილიკი“-ზე დაგიჭერდნენ და აღარც „მონანიება“-ზე, რომ გელაპარაკა, თორემ ხელნაწერი რომ ენახათ ვიღაც კი გამოიდებდა თავს ალბათ მთავარ ინსპექტორად მაინც გადაიყვანდნენ და ჩინს მოუმატებდნენ. ვეღარ ვგებულობდი სად იწყებოდა და სად უნდა დამთავრებულიყო ეს გარე ფასადური თვალების ამღვრეული ქაჩვა, სანამ პენსიონერი მეცნიერი, მხატვარი, მწერალი და ცნობილი ჟურნალისტის ძმა არ დაგვინიშნეს ფიზკულტურის მასწავლებლად, მაგაზე ცოტა მოგვიანებით ან სულაც რა საჭიროა დღემდე გამოუცნობია რაც ჩვენთვის გარდამტეხი ბნელიდან უფრო ბნელი და ურჩხული გვეჩვენებოდა, თავად სინათლიდან წარმომიდგენია როგორ იტანჯებოდა სიბნელის გარღვევას ცდილობდა და თან უცხოპლანეტელებზეც ჰქონდა მოთხრობები. ამას მისი ახლობლიდან ვიგებდით, რათა დასკვნა ჩვენ გამოგვეტანა მის არაორდინალობაზე. ამ გაუგებრობას გარე უბნის ფაქტორის ემატებოდა და ჩემი „გამოუსვლელობაც“. თუმცა სხვები უფრო მომზადებულებიც და ბევრ რამეში გათვითცნობიერებულები იყვნენ ჩუმ-ჩუმად. რა ვიცი, რა ჩემი საქმეა, არ დამინახავს, არ გამიგია, მანამდე სანამ... მე მაინც მითი მეგონა „კედელი“-ს კლიპში, ხორცის სატარებელ მანქანაში როგორ ეშვებოდნენ ადამიანები. მაშინ ჩემზე უფროსები იმ ბნელეთში „ევროპულად“ ახერხებდნენ ცხოვრებას,

თუმცა ხანმოკლედ და ეპატაჟურად ამთავრებინებდნენ სიცოცხლეს. ულამაზესი გოგო ყოფილა ვერელი, ჩვენთან „ნახალოვკაში“ ლუდზე რო ქეიფობდნენ დილამდე, იქ აკრძალულ ლიტერატურას ეცნობოდნენ სხვანაირად იცვამდნენ (ერთეულები მაგრამ მაინც) მაშინდელ „ტუსოვკებზე“ შეკრებებზე დადიოდნენ ცნობილი პროფესორების შვილები და ხელოვანი ადამიანების წრეში ჩნდებოდნენ, ჯაზს უსმენდნენ, ხასიათიც უყალიბდებოდათ იმ დროის მებრძოლი და განსხვავებული, რაღაცებს გეგმავდნენ, ეგონათ თავად იყვნენ შემოქმედნი ამ ყველაფრის და ბოლოს გაურკვეველ ვითარებაში ნაადრევად ამთავრებდნენ სიცოცლეს განვმეორდები, რადგან ჩემთვის წარმოუდგენელი ტრაგედიაა თითოეული ახალგაზრდის დაკარგვა, ზოგიც გახმაურებული საქმის მონაწილეები ყველას ტკივილი და წუხილი ხდებოდა, მაგრამ რა ვიცი, რა ვიცი... რა ჩემი განსასჯელია, ვისაც როგორი ცხოვრება არგუნა ღმერთმა და ბედმა ის გაიარა, მაგრამ იცის კარგად ჩანს რამდენად „აკონტროლებდნენ“. ჟურნალისტი დამამახსოვრდა სიტყვის გულისთვის როგორ აწამეს, და გააგიჟეს ისიც შეუდრეკელი და სამაგალითო, მაგრამ რად გინდა თავად ახლაც ცოცხალი უნდა იყოს, მაგრამ თავი გასწირა უბრალოდ სხვანაირად ვეღარ იცხოვრებდა. მე რომ ვერ „გამომიყენეს“ რა ჩავიდინე ისეთი არ ვიცი მაგრამ ერთი ჩვეულებრივისთვის მეც მგონია რაღაც შევქმენი, ოჯახი, შვილები და ვნახოთ კოჭის ძაფებს რომ არ ვაგროვებ საწყალი ცაცასავით ეგეც გამართლებაა. რაღაც „კიბორგული“ თანაშეჩვევა და გამობრძმედა

კორონას ვინც გადავურჩით და ვინ იცის წინ რა გველოდება, იმასაც გავუძლებთ ოღონდ ღმერთის წყალობით. მაინც ჩამითრია მოკლედ დაბრუნება ჯობია, მოგონებებში, რადგან დამძიმებულები ეხლაც დავდივართ და იმდენი მასალაა თავადაც კარგად გეცოდინებათ მე რომ არ შეგახსენოთ. მე ხომ ჩემი მოგონებები მინდა გავანედლო როგორც ჩემი უფროსი მეგობარი, ფილოლოგიის პროფესორი, რეზო ძნელაძე იტყვის. თან მხიარული და ალბათ სასაცილო, მაგრამ ტრაგიკომედია უფრო გამოდის მიუხედავად იმისა მე თავად არც მილიციაში ცემა ტყეპა გამივლია და არც უბანში შევიწროვება, უფრო ჩემით ვარიდებდი თავს ეგეთ უხერხულობებს და არც მილიციონერებს ვიცნობდი და არც „ძველ ბიჭებს“ ისე შორიდან კი გამეგო რაღაცები და წიგნებშიც ეწერა, მახსოვს ისიც ჩუმად დაიბეჭდა „კანონიერი ქურდები“, ბევრი მონაყოლიდან ვიცოდი.

საკე

საკე ძია ჩემი ეზიდი მეზობელი იყო ახალ უბანში, იმას უყვარდა ჩემი მონაყოლის, ზოგი წიგნიდან და ზოგიც ისე ნახალოვკიდან გაგონილები. მეც მომწონდა მათი ვაჟკაცური ამბები. საქმიანობა არა, რადგან მოპარვაზე კიდევ ამბავი მქონდა ძველ ეზოში. მეზობლის უფროსი ძმები იყვნენ ზაზა-პაატა ტყუპები, მაგათი მამა ჟორა ძია დიდი მუცლიანი კაცი იყო და მეორე ენაკვიმატი და მოუსვენარი მეზობელი მეუბნებოდა ბავშვებს ყლაპავსო და მეც წესით უნდა გამცინებოდა მაგრამ ჩუმად გულში, მიდიიიი, ბავშვებს ყლაპასვს არა.....

მოკლედ იმათთან ვარ, კოლექცია ჰქონდათ პატარა მანქანების ასე 3-4 წლის ბავშვი ხელის გულში, რომ დამალავს და „მოიპარავს“ იმხელების, ასე გამახსნევინეს პატარა ხელი და სირცხვილ სირცხვილით დამაბრუნებინეს. რა მოხდა იმათ რამდენი აქვთ მე არცერთი და თხოვნა მომერიდა წამოვიღე...ისე თვითონ რატო არ შემომთავაზეს? ვფიქრობდი ჩემთვის და ალბათ ეგეც მიკვირდა. გამომიჭირეს და დავაბრუნე „ნაქურდალი“ იმის შემდეგ კლდეისში მკვახე კალოს ვაშლის და ს.ხიდეშლებში სიმინდის მეტი არაფერი მომიპარავს ისიც პატრონსაც ვაჭამეთ და გვლოცა გამთენიამდე. ხოდა ქურდული სამყაროს ამბების მოყოლაზე ეს ჩემი საკე ძია (წამოზრდილი ვარ კარგად),

---- შენი ჭირიმე ტო, ეს რამდენი გცოდნია სადმე რო გაიგონ იცი როგორ პატივს მოგცემენ?

---- ხო საკე ძია აბა, ერთი ის მომიყევი შენი უფროსი ძმის ამბები რა?
გაუხარდა ეგეც ვიცოდი, თან შედარდიანდა და დაიწყო მოყოლა.
---- ხო ჩემი უფროსი ძმა
----ნამდვილი? რადგან ეზიდები ყველას ძმას ეძახდნენ ეზიდებს და დავაკონკრეტებინე.
----ხო ნამდვილი, მაშ? ზნაიკა რა? საქმეზე იყვნენ და კლიჩკა აღარ მახსომს ერთად დაიჭირეს რაღაც საქმეზე,
--რომელი ჩავაცივდი მოიცა ვერ გავიგე
--აი ჩაიში რო უშრებიან ის ერქვა მგონი რა, დადეშქელიანი, რა მოგივიდა მთაწმინდელი, კინოდან არ იცი? კაცი მოკლეს თუ რაღაცას აბრალებდნენ, უსამართლობას არ ჩაიდენდნენ (თან ამართლებს თან კრიმინალის სიმაგრისათვის თუ სინამდვილისთვის) ჩემმა ძმამ თავის თავზე აიღო რა და ისინი გაუშვეს და ეს კი დახვრიტეს ტო, მაშ?
---ვააა საკე ძია რას ამბობ?!
---ხო ისეთი ვაჟკაცი, ლამაზი, ლამაზი რა სიმპატიური რამე ბიჭი იყო, მე მჯობდა მილიონჯერ!
ეს ისე მოაყოლა, გამაცნო თორე, მთავარი წინ იყო. მეც ცოტა ავარდნილი ბიჭი ვიყავი „მალალეტკებიდან“, ერთი მეორე.. ბავში ვიყავი რა? ვიპარამდით, გაჭირვება იყო, ვერელი ეზიდები ვიყავით. მამაჩემი გურული იყო, (ვერ გავიგე მამინაცვალი იყო თუ გურულებთან ქეიფი მოსწონდა მოკლედ გამოსულობის ამბავში დააყოლებდა და თან ლამაზად იტყოდა, მეც გურული რომ ვიყავი, პატივს ამიმაღლებდა). ერთხელაც პაემანზე მეძახიან გავედი

ვااა.. ზაიკა, დიდი ხანი არ გაჩერდა მითხრა, ჩემო პატარა ძმაო შენ აღარ იფიქრო არაფერზე, (მე რა ყველას უნდოდა და მეც მინდოდა „ზაკონი ვორობა“, მითხრა) მე გიკრძალავ, გამოხვალ ხელობას ისწავლი, ცოლს მოიყვან და იცხოვრებ დიდხანს და ტკბილადო, მე ეგრე მინდა შენს უფროს ძმას გასაგებია? და წავიდა, დამასტოპა...

--მერე რა უთხარი საკე ძია?

--- რა უნდა მეთქვა ტო, ქურდის სიტყვა კანონი იყო!

--ვა შენ გადამრევ საკე ძია.

--თან გადამრევ თან საკე ძია? ჩაიცინა

--ხო რა? იძახი ძმა იყოო და

--ვა ძმა რო იყო იმიტო „გამიჩალიჩა“ არ უნდოდა ცუდ გზაში ჩავარდნილიყავი, რა ვერ გაიგე იუზგარ? დიდი ბიჭი ხარ უკვე..

--ხო საკე ძია მაპატიე, ემოციები ვეღარ დავმალე.

ეგ არაფერი მივხვდი, მერე მალე დახვრიტეს, ალბათ გრძნობდა ცხონებული, (იძახდნენ ამ სიტყვას რადგან მზითაყვანისმცემლები ბევრი გაქრისტიანდა, თვითონ პივაზი იყო, როგორც მრიდი. შეხი უკვე მათი სარწმუნოების მთავარი იყო. უფროსი, შვილები ქრისტიანები ჰყავდა.) თვალები აუწყლიანდა საკე ძიას, მაშინ გაგება იყო რამე იყო, მაგრამ ეგეთი საქმის თავში აღება? ეგ იყო რა...

საკე ძია მართლაც ეგრე მოიქცა გზაც მეტი არ ჰქონდა, გამოვიდა „საპოჟნიკობა“ ისწავლა მოიყვანა „ცოლები“ ერთი მოუკვდა და 6 შვილის მამა ცხოვრობდა ტკბილად, უფროსი ბიჭიც ავტორიტეტი იყო მოსკოვში და იმას ხშირად არ ახსენებდა მაინც ეშინოდა რამე არ მოუვიდესო, იმასაც აერია დედის

სიკვდილის მერე და მაგ გზას დაადგა, დანარჩენები ნასწავლებიც იყვნენ გოგოები, პატიოსნები და მშრომელები. მერე ჭლექი შეეყარა უფროსს ბიჭს და ჩამოასვენეს დიდი პატივით, იმათ წრეს როგორც შეეფერებოდა. პირველად მაშინ მოტყდა ისო ძია. ბუნებით პატიოსანი იყო და ბევრის მნახველი, არ შეეშლებოდა მეზობლობა სალამი, ქალამი, ხაშის ჩადგმა და ზედ ლავაში ასი გრამით..ეს სიტყვაში ლამაზად ჯდება იუზგარ, ამა ას გრამზე ვინ გაჩერებულა მეც თბილისელი, გურული ვარ ტო!

ერნესტი

გასახსენებელის მეტი რა არის, პირველად ნულ კლასში იქვე მეოთხე სკოლაში მიგვიყვანეს. ბაღშიც იქვე დავდიოდით და ბევრი ბაღელი მერე ჩვენი კლასელი აღმოჩნდა. მელნის პეროები გვქონდა და რვეულს საშრობიც მოჰყვებოდა, წარამარა გვეთხაპნებოდა და თავადაც გალურჯებულები გვქონდა ხელები. მე და ნინო კლასელები ვიყავით ვახსენე მგონი, ბაღში დამელოდა, და-ძმა ერთად არ დაგვსვეს მიეხმარებაო და სხვა გოგოსთან ტირილი დავიწყე, მერე ბიჭი მომისვეს ერნესტი გეჯიაშვილი ან გეჯაძე ზუსტად არ მახსოვს დაბოლოვება გვარის, გეჯა კი ჩამრჩა გონებაში, რადგან მნიშვნელობა უკვე ვიცოდი სოფლიდან საქონელს გეჯაში თივას უყრიდნენ. თავისებური ბავშვი იყო მოუსვენარიც არ ეთქმოდა მაგრამ არ გამოსდიოდა არც წერა, ვერც

იმეორებდა სწორედ რამეს და ის უარესად დაუდევარი იყო მელანი დგადამავლო, ისეთ რაღაცებს აკეთებდა თან მეცოდებოდა და თან ვერთობოდი მოკლედ დავძმაკაცდით და სულ ერნესტის გავიძახოდი სახლშიც, ერნესტიმ ასე ქნა და ერნესტიმ ასე. მოკლედ თან ვნერვიულობდი რატოა ეგეთი რო გაიზრდება რა უნდა გამოვიდეს ხო გაუჭირდება ცხოვრება და კარგი დიდი ადამიანივით ვგულშემატკივრობდი, ვინ იცის ახლა რომელიღაც დიდ თანამდებობაზეა ან დიდ ბიზნესში და უძვირფასესი მანქანით დადის, სულ არ ახსოვს მის გვერდით ნულ კლასში ვინ იჯდა მიახლოებითი გვარით მაინც. მოკლედ დავიბადე დიდი და პირიქით ვპატარავდები. რუსულის სწავლა რომ დავიწყეთ სკოლაში, ტირილი დავიწყე, ეს როგორ უნდა ვისწავლოთქო. მეხმარებოდნენ და სიტყვებს მამეორებინებდნენ ძალიან ადვილია აი მაგ: კარტოფილი-კარტოშკა, მანდარინი-მანდარინ, პომიდორი-პამიდორ და მივედით ყურძენზე ახსნა აღარ დავაცადე და ჩემით გავიმეორე; ყურძენი-ყურძეენ, თავის თავად ჩართული იყო მთელი სამეზობლო და იქუხა სიცილმა. კარგა ხანი დადიოდნენ და იმეორებდნენ, ყურძეენნ, ყურძეეენნ...

გენდერი

ჩემს ბავშვობაში ძალიან იშვიათი იყო ქალი საჭესთან, სიგარეტი ქუჩაში ხო გამორიცხული იყო, ისე ჩუმად ომგამოვლილი ბებიები და „სვეტი“ ახალგაზრდობა აქა-იქ აბოლებდნენ. ნინო ძალიან აქტიური ბავშვი იყო და სულ დათრგუნული ვიყავი რაც ერთ მემენტში გამოიხატა და მეც ვიფეთქე; მოკლედ ნინო დედას დასდევდა და ხან სარეცხზე ეხმარებოდა ხან ცოცხს და აქანდაზს გამოართმევდა, მეც ბატკანივით უკან დავდევდი, მაგრამ ყველგან მიშორებდა სარეცხი რა ბიჭის საქმეა, ეს გოგოსია. რა უნდა მექნა აშენებით არაფერი შენდებოდა აგურისთვის ხელი რომ მომეკიდა. ერთ დღესაც სტუმრად მივდივართ და იქვე გაჩერებასთან ჩემს ბედად ქალი უჯდა საჭეს, თან სიგარეტს აბოლებდა, ჩაგვიარა. ნინომ არ გაუშვა ხელიდან მომენტი და დედა, დაედა ხომ მიყიდი მანქანას რომ გავიზრდებიო? აქ უკვე ძალიან შემელახა თავმოყვარეობა და ზემოაღნიშნული ვიფეთქე; გოგო სარეცხიც შენ და მანქანაც შენ? მანქანა კაცებისაა და მე უნდა მიყიდოსთქო. წეღან ქალიც იჯდაო, მაინც მომიგო. ხმა არ ამომიღია სიგარეტზე არ თქვას რამე იქნებ მომელანდა და აღარ მინდოდა პოლემიკაში შესვლა. ასე მაბრაზებდა სულ და თან კარების უკან მემალებოდა გამოხტებოდა შემაშინებდა, თან მკოცნიდა. მე ყოველთვის თავს ვწევდი იქით და ასე მაწვალებდა. ერთხელ სტუმრები გვყავდა ნინოს ნათლია თავის ცოლშვილით, გოგოები იყვნენ, თვითონ თამაშობდნენ მე ვუყურებდი და პირდაპირი

მნიშვნელობით დაიმხეს ყველაფერი თავზე, გასაშლელი მაგიდის ქვეშ მოყვა ნინო და გული წაუვიდა, გამოიძახეს სასწრაფო, რო მოასულიერეს ნემსი უნდა გაეკეთებინათ და მანდ უკვე ძალიან ცუდად, პრინციპში არ კი იცნობდნენ ნინოს, არაფრის დიდებით არ გავიკეთებო და თუ არ გაიკეთებ გული რომ წაგივიდა მერე ვეღარ მოგასულიერებთო. რო გავიგე, მივვარდი ექიმს და მაგის მაგივრად მე გავიკეთებ ოღონდ ნინოს არაფერი მოუვიდესთქო. ეგრვე გავწირე თავი თურმე ჩუმად მეც მყვარებია დაიკო.

ძერჟინსკის კლუბი

ცეკვაზე მიგვიყვანეს მე და ნინო მთავრობის სახლთან ქუჩა ადიოდა რევოვუციონერი და იმდროინდელი შსს-ს მინისტრის ძერჯინსკის სახელობის. სხვადასხვა წრეები იყო და ერთ-ერთი ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი ქალი იყო, ოღონდ ისეთი მკაცრი, მგონი „ძერჯინსკის კლუბს“, რომ ახსენებდნენ სულ მიკვირდა ასეთი კეთილშობილი კაცის სახელს რატო არცხვენდნენ ეს მკაცრი მასწავლებლები.

კარგად დავიწყე განსაკუთრებით მე რადგან, როგორც აღვნიშნე თავმოყვარეობის უმაღლესი შეგრძნებით გამოვირჩეოდი და შენიშვნა რომ არ დამემსახურებინა, თან სხვისთვის ნასროლი სკამი შემთხვევით ჩემსკენ არ წამოსულიყო, ზედმიწევნით ვასრულებდი ყველანაირ ილეთს, მაგრამ შიშმა ვერ შეჰქმნა ჩემში ცეკვის სიყვარული, პირიქით ერთი სული მქონდა როდის დამთავრდებოდა და (ამასთან ერთად საღამოს გვეწყებოდა რეპეტიციები, ვამთავრებდით გვიან) მეც დიდი ფიქრი აღარ დამჭირვებია მიმემართა ხრიკისთვის. ტაქსით გვიწევდა წამოსვლა, თავს ვიმძინარებდი გადმოსვლის დროს და ამ ჯანჯღარში მგომი მანეთიანს კიდევ წერდა „ტაქსი“ (თუ კილომეტრაჟით იყო ყვითელი ვოლგები კარგად არ მახსოვს). მოკლედ პრობლემებს ვქმნიდი და გამოგვიყვანეს. იმის შემდეგ ვერაფრით ვერ ავითვისე ვერანაირი ცეკვა ვერც ქართული და ვერც ევროპული. ქორეოგრაფი დღემდე

მახსოვს „ძერჟინსკის კლუბიდან“ გაპრანჭული ლამაზი სახით მომციანარს თვალებიდან ნაპერწკლებთან ერთად ხის სკამის ფეხები რომ სცვიოდა ხელებიდან. მერე კი ვინანე ნეტა გამეძლო რადგან ყველა მასე იქცეოდა ეტყობა დიდ ნინო რამიშვილს ბაძავდნენ, დიდ მაესტროს უხდებოდა და უმაღლესი ლიგისთვის საქართველო რომ გაეტანათ საზღვრებს გარეთ ერთობ უნაკლოდ, ეგეთ მსხვერპლს მოითხოვდა მაგრამ, დაწყებით კლასებში ზედმეტი იყო ჩემი აზრით. ჩემმა ტოლებმა თუ გაუძლეს და სახელოვანი მოცეკვავეები თუ ვერ გამოვიდნენ, ცეკვა ხომ მაინც იციან შინაურ ქორწილებისთვის. მოკლედ მე რეალურად ამიხდებოდა ყველაფერი, რასაც ვიტყოდი, რადგან ხვეწნის არც შესაძლებლობა იყო, არც დრო და არც მოტივაცია, რომ მოცეკვავე ან მომღერალი ან სპორცმენი გამოვსულიყავი. მე და ნინო ერთხელ ახალ უბანში, გავიპარეთ სხვა მიკრო რაიონში ანსამბლში ჩასაწერად, (ნერგები, ყლორტები თუ პიონერები) ჩავეწერეთ, რადგან ბავშვობიდან ვმღეროდით და ანსამბლ „75“-ის და „ივერიის“ ყველა სიმღერა ზეპირად ვიცოდით ჩვენეული ინტერპრეტაციით, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა აღნიშნა, თეთრი რელსებით მთიდან რომ დაეშვებიი ჰიიი, ییییი აღარ უნდაო და ერთი სული მქონდა როდის დაგვიწუნებდა,(არადა იმ მომღერალს ვბაძავდი) რადგან ცეკვის მასწავლებელი გამახსენდა და სკამს გავხედე, მერე დედა გამახსენდა, რომელიც მეტყოდა ხო გითხარით „დედის წინ მოხტუნავე კვიცს ან მგელი ჭამს ან მგლის დედაო“, კი დაგვიბარა მეორე დღით ანსამბლის ხელმძღვანელმა

ііі-ების გამოსწორების იმედით და მგონი დღესაც გველოდება გაკვირვებული, სად აორთქლდნენ ეს დაძმანიო. მერე დეიდაჩემი ნანა, რომელსაც დიდი ნაცნობობა და საძმაკაცო ჰყავდა ზოგადად, ანსამბლშიც მიუწვდებოდა ხელი და მისი მეგობარი ქალი რომელიც სპეციალურად მოწვეული იყო ჩემს მოსასმენად, ნახევარი დღე მეხვეწა ერთი სიმღერა იმღერე თუნდაც ტირიფები და თუ კალანდაძესათან არ მიგიყვანო რაც გინდა ის მითხარიო, ნანამ კოპლებიანი ტყავის ბურთი შემპირდა ფიფას წარმოების, მაგრამ მე უკვე ჩოკინაზე ვიყავი წამოსკუპებული და წითელი სახის უფრო მცხვენოდა ვიდრე სიმღერის დაწყების. ნანა დეიდამ ბურთიც მიყიდა, გიტარაც და თავის ნაცნობ მარჯანიშვილის მსახიობთან თენგიზ პაპიძესთანაც მიმიყვანა გიტარის წრეზე. მე უკვე სახლში მქონდა შესწავლილი მარინა მამიდას რვეულიდან აკორდები და სანამ დამეწეოდა ჯგუფი, ადვილად გავდიოდი მეცადინეობას. მერე ბატონი თენგიზი კინოში გადაიღეს და დაიხურა ჩვენი ჯგუფი, იქიდან დავინტერესდი პირის ჰარმონიკით ძალიან კარგად რომ უხამებდა მასწავლებელი სანამ დაგვეწყებოდა გაკვეთილი და ისიც ჩამოვატანინე ჩეხოსლოვაკიიდან დედაჩემს.

„ტრიო“

როგორც ვახსენე ასე პირატულად და ჩემით ვახერხებდი თითო სიმღერის აჟღერებას ყველა ინსტრუნენტზე, ერთს პიანინოზე, ნინო დადიოდა შვიდწლედში, ერთი-ორი გიტარაზე თავის ჰარმონიკით, იქ ფანდურზე „შინმოუსვლელო და ვკეცე ვეკეცე ვერ დავკეცე“, მერე დუდუკის ინტერესი ბიძაჩემისგან ქეიფის მოყვარული იყო იმ პერიოდებში დუდუკი თან დაჰქონდა, იცნობდა მის ხელოსნებსაც და დამკვრელებსაც თავის ქსოვრელებიანად. მაგას როგორ გავუშვებდი ხელიდან და ვთხოვე გენადი ბიძიას. მომცა ტარი, რომელსაც ოსტატის „მ“ ეწერა მგონი მიშა ერქვა, ყამიში მე შევიძინე. ძმაკაცი მყავდა ტარიელი კარის მეზობელი ისიც თავისი ნიჭით აკარდიონზე ახერხებდა დაკვრას, დოლიც სხვა კორპუსელი ჩვენი უფროსი ახლობლის შვილმა მოიტანა და რამდენიმე სიმღერა ისე შევასრულეთ ჩვენ თავად გვიკვირდა სულ სიცილ-სიცილით და კარგი ქეიფებით ერთმანეთში, შორს არ გაგვიტანია რეპერტუარი. ჩემს ბავშვობაში მაგრად ფასობდა ოდნავ თუ რამე შეგეძლო სუფრაზე პირველი იყავი. მე ასე მპატიჟებდნენ: მოკლედ, გელოდებით გიტარა არ დაგავიწყდეს, თუ ვიტყოდი მწყობრში არ არის ან სიმი აქვს გაწყვეტილითქო, ჰო როგორც მოახერხო, შეიძლება ჩვენც გადავიფიქროთ ქეიფიო. სუფრა მიმყავდა ავად თუ კარგად ახლა რა მოსატანია ბევრი პროფესიონალი და ძალიან ნიჭიერი თაობაა მე მათ ფონზე აღარც ვახსენებ თუ რამ ჩემით გამილამაზებია ახლობლებში წვეულება ან საღამო.

არტოს ბაღი

კლასელები დადიოდნენ „არტოს ბაღში“ ბავშვთა თეატრალურ წრეზე. მეც მოვინდომე და დათოს ვუთხარი გამიგე მიღება როდის გაქვთ და მოვალთქო. გამიგო მითხრა და ერთ მშვენიერ დღეს გამოცხადდი. შევედი ეზოში, ფეხაკრეფით შევიპარე დარბაზში, უკვე რაღაცას ხსნიდა რეჟისორი გოგი თოდაძე. ეგრევე დამაფიქსირა და რომ ჩაამთავრა საუბარი, ვიგრძენი ჯერ ბატონი გოგის მზერა და მერე დანარჩენების რა უნდა მექნა, მეც ჩვეულად გავწითლდი. თავი დამიქნია და მივხვდი სცენაზე მეძახდა. მივესალმე, როგორც ყველას, მითხრა თუ რა შემეძლო. ვიცოდი გალაკტიონი, აკაკი ან ვაჟა უნდა მეთქვა გამოთქმით მხატვრულად და რადგან არცერთი ლექსი არ ვიცოდი ზეპირად ჩემს დაწერილს ლექსს გეტყვით ერთ სტროფს და გიტარაზეც გიმღერებთ ჩემს დაწერილს, დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტიათქო, ეს უკვე გულში გავიფიქრე. (ჩემად გავასაღე ნინოს სიმღერა მეგობრებთან ერთად შეთხზული). თავიდანვე ღიმილი დავიმსახურე და მიხვდა რაღაც არაორდინალურთან ჰქონდა საქმე ბატონ გოგის. წარმოვთქვი ლექსი და გიტარაც მომაწოდეს, ვიმღერე, კეთილგანწყობა მოვიპოვე ღიმილიანი და სადღაც უნდა გაჟონილიყო. მომიტრიალდა ბატონი გოგი და მეკითხება საიდან მოდიხარო, მეც აღარ დავაყოვნე და ეგრევე მივუგე

სახლიდანთქო, რადგან ინტუიტიურად გვრძნობდი „სადაც წვრილია...“, ხოდა აქ
გაჟონა და „დაინგრა“ დარბაზი. თურმე მეკითხება რომელი კლუბიდან გადმოხვედი ვისთან დადიოდიო, რომ მოსულიერდნენ, მიღებული ვიყავი. მეორე გამომსვლელი გამოვიდა, ისე წაიკითხა პოემა და დაამთავრა სიტყვებით „ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია“ მერე მივხვდი მგონი დამცინეს და ვერ მივხვდითქო. შინაგანად კი ვგრძნობდი გამოწვრთნა დროთა განმავლობაში, კომპლექსების დაძლევაში დამეხმარებოდა, რადგან არტისტული ბუნება დღემდე მომყვება. ბევრი მაგალითიც ვიცოდი დაწუნებულებიდან სახალხო არტისტობამდე. მერე ვიჯექი კულისებში და ვაკვირდებოდი როგორ თავისუფლად თამაშობდა შემდგომში მსახიობი და იუმორინას არტისტი, ჩემი კლასელი დავით როსტომაშვილი. იმ ჯგუფიდან ბევრმა ჩააბარა თეატრალურზე, ცნობილებიც გახდნენ, რადგან ბატონი გოგი შეუდარებელი რეჟისორი და პედაგოგი იყო. მე მალე წამოვედი, რადგან მოსკოვში მივდიოდით და არც თანხები მქონდა, არც როლი. მამზადებდნენ, სადღაც ეპიზოდში მაინც ჩამსვამდნენ.
სანამ უხერხულობას შევქმნიდი შინ და გარეთ....

აგატი

ჩემს ბავშვობაში გასართობი ნაკლებად, იყო კედელზე გასაშვები მუტფილმების აპარატი, რაღაც წვრილმანები, ძირითადად მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობა იყო რაკეტკებით, კალათბურთის ბურთი, ბამბიქტონის ჩოგნები და ისეთი აღარ მახსენდება, ამიტომ პატარაობიდან ფოტოაპარატმა დამაინტერესა თავის გამოსამჟღავნებელი მოწყობილობით. დავდიოდით უნივერმაღ „თბილისში“ წამლებს ვყიდულობდით გამოსამჟღავნებელს და ფოტოებს ვბეჭდავდით, ხარისხიანს. დღემდე მომყვება ის ფოტოები. ჯერ ზენიტი იყო, ყველაზე მაგარი, ფერადსაც იღებდა იმ ლენტას უკვე ატელიეში ბეჭდავდნენ, მერე ფოტონი თუ არ ვცდები და ბოლოს პატარა შავი პლასმასის, ჯიბეში ჩასადები „აგატი“ შევიძინე. სადაც წავიდოდი თან დამქონდა და ვაჩხაკუნებდი. დიდი გაბუა გიორგი ბოლოს ავად რომ გახდა სიბერისგან იქ ვიყავი ზაფხულის მიწურული იყო და ლოგინში მწოლიარეს გადავუღე ფოტო, რამდენიმე დღეში დამრჩა სამახსოვროდ ფოტოები. მამაჩემის ბიძია ჭოლას ოპერაცია გაუკეთეს, ავადმყოფობდა ვერ გაუგეს ვერაფერი, ბოლოს სიყვითლე რომ დაეტყო მიხვდნენ, ღვიძლზე თუ ნაღველზე გაუკეთეს ოპერაცია. ვნახულობდით ვართობდით და იმ დღეს 23 თებერვალს მაშინ მაინც კაცების დღეს, ცხონებულ ჭოლა ბაბუას დაბადების დღე ჰქონდა და მეც გამოვცხადდი ჩემი აპარატით. ყველასთან ერთად გადავიღე ფოტოები, ვიცინეთ, ვილხინეთ, მერე

შეაწუხა ჭრილობამ და მალე დაწვა. ჩვენ წამოვედით. გამთენიისას დარეკეს ჭოლა ბაბუა აღარ არისო. ფოტოები სამახსოვროდ დარჩა დღემდე. მეზობლის ქალი იყო მარიამი, ბაბოს ვეძახდით. მოხუცი ქალბატონი ხან რას გვიყვებოდა ძველ თბილისზე ხან რას, იეთიმ გურჯი მისი მეუღლის ძმაკაცი იყო და მათ ამბებს გვიყვებოდა, ავლაბარში როგორი ურთიერთობები იყო.მათ ოჯახში დღემდე შემორჩენილია იეთიმ გურჯის ყანწი და დღემდე ვსვამთ მოგონებას. მოკლედ ეგ ფოტოებიც დამრჩა სახსოვრად. მამას ბიძაშვილი ახალგაზრდა კაცი ბიძაშვილის შვილის ქორწილში იყო ჩამოსული ფოტოგრაფი არ ყავდათ დაქირავებული, მე ჩემი აგატით გამოვიდე თავი, რევაზი ბიძიას ფოტოებიც დამრჩა სამახსოვროდ. იქით ბაბუა, მისი ბიძაშვილები, რომლებიც ნოღაში მხვდებოდნენ ჭიჭიკო ბაბუა, მისი მეუღლე მარო ვაშაკიძე, ბევრი კიდე აღარ მახსოვს, მოკლედ მიეწყო რაღაცნაირად, რა ჩემი ბრალი იყო სიბერეს და ავადმყოფობას მე ვერ შევაჩერებდი და ფოტო მაინც დამრჩენოდა. ეს ამბავი ხელზე დაიხვია მამაჩემის ბიძაშვილმა მსახიობმა და ხალხს აცინებდა სანამ ფოტოს გადაგვიღებდნენ ერთიც კიდე შევავსოთ სამისიო და იყო მხიარულება. მერე ვითომ ჩუმად მეტყოდა ყველას გასაგონად იქნებ ჩემ ცოლს გადაუღო ერთი ფოტოო და მაგაზეც ატყდებოდა სიცილი. ძალიან რომ გაიზარდა მასეთი სამახსოვრო ფოტოების რაოდენობა მერე შევეშვი ნელ-ნელა. ტელეფონის სელფებიც ბევრი მაქვს გადაღებული, აღარ ჭრის. უფრო ერთი უცნაური ფაქტი რომელსაც აცილება მივეცი ყველანაირად

მაშინ და ვერც წარმოვიდგინე სერიოზულად, იყო ტურისტულ ფირმაში მუშაობის დროს. ერთი „ტაქსისტი“ იყო „მალიშას“ ეძახდნენ, დიდი იყო ტანად, რომელიც შავბნელ ოთხმოცდაათიანებში გადაცემაც იყო „გინდ დაიჯერეთ გინდ არა“, პირველად ვინც მოიფიქრა ჩემი ახლობელი იყო თეა შანიძე და მოვიწვიე გადაღებებზე. მალიშა „გრელკა“-ს ბერავს და ხეთქავსთქო, ორ მეტრამდე კი იყო და ფილტვებიც კარგად უმუშავებდა ჩვეულებრივი ბლეფი გამოდგა, რადგან მეც ვცადე და ერთი მხრიდან რომ გამოიბერა „გრელკა“ ცოტაც და არ გახეთხოსო და მალიშამ გამომტაცა ხელიდან, არასწორედ აკეთებო. მოკლედ გაკეთდა სიუჟეტი და ჩავენი მალიშა იმ დროის ტელევარსკვლავი გახდა. ამით გათამამებული ერთხელ მეუბნება; კიდევ მაქვს რაღაც და უთხარი შენს ახლობელს თუ დააინტერესდება მოვიდეს გადამიღოს და მოვუყვებიო, მითხარი რა უნარიათქო და მიყვება; (მაშინ არც ისე ახალი არ იყო ვიდეოგადაღებები) ვიდეოს ვუღებ ვინც დიდი ხნის ავადმყოფია, ველაპარაკები და მშვიდად მიდიან იმ ქვეყნადო. ეს ჩვენი მალიშა ეზიდი იყო და მე მათ ცეცხლთაყვანისმცემლობას თუ მზისთაყვანისმცემლობას მივაწერე, ვუთხარი ეგ არ გამოდგება სიუჟეტად და ისე შემეშინდა ხუმრობაც აღარ მსიამოვნებდა ჩემს სამახსოვრო ფოტოებზე. ვინ იცის ჩემიც, ხუმრობის მერე როგორ ეშინოდათ ჩუმად, ისე მსახიობი ბიძა, ჭოლა ბაბუას შვილია და დღემდე არ აქვს ფოტო გადაღებული ჩემს მიერ. ასე დასრულდა ჩემი ფოტოაპარატის ამბავი, მაგრამ მაინც

ყველაფერი დამთხვევაა რადგან მიყვარს ახლობელი, მისი ფოტოც და მოგონებაც. ჩემი თუ არა სხვისი ფოტო მაინც დარჩებოდა სამახსოვროდ, არც მასეთი ძალები გამაჩნია, ღმერთმა დამიფარა და არც ცრუმორწმუნე-კერპთაყვანისმცემელი ვარ.

ოთარ რამიშვილი

ასე 8-9 კლასელი ვიყავი ზაფხულში, ჩემი ბიძაშვილი ბაბუის მოსახელე ვლადიმერი, მოფერებით ბაჩოც სოფელში იყო. წყაროზე ვართ, ეხლაღა გავიგე თურმე „ქვარნალა“ რქმევია იმ ადგილს, მოკლედ ქვარნალასთან ანკესები გვაქვს ჩატანილი, ღორჯოს და წვერას ვიჭერთ, იქვე თან ვხედავთ ანკესის რკინის კაუჭს, როგორ მიუცურდება თევზი და ამოვაგდებთ, იქვე პატარა სათლში ვაგროვებთ. მდინარეს ხევისწყალი ჰქვია და იქაურები ჩვენი ინტერფრეტაციით „ხეინტყალე“-ს დაუძახებენ ალბათ. მოკლედ ხევისწყალის დინების საწინააღმდეგოდ მოუყვება კაცი, რომელიც შორიდან კარგად არ ჩანს და ყურადღებასაც არ ვაქცევთ. რომ მოგვიახლოვდა გამოიკვეთა წელამდე რეზინის ერთიან ჩასაცმელში, ჩაის საკრეფ მზისგან დამცავ ცილინდრში, სახეაწითლებული ჭარმაგი კაცი „აკუმლიატორი“ ზურგზე ჰკიდია და რაღაც მოწყობილი ბადიანი საჭერით თევზაობს. მოგვიახლოვდა მე წამოზრდილი ვარ ასე 14-15 წლის

ბაჩო 9-10 წლის. მაგ დროს უკვე ულვაში გაპარსული მქონდა და დიდის შეხედულებით მე მომიახლოვდა რადგან მე ვაქტიურობდი ისედაც და ალბათ ვქილიკობდი ჩაცმულობაზე და იქაური კილოთი ბაჩოს ვეუბნები „აი ვინაა ძამა შეხედე?“ და რაღაც ეგეთები. ხელს მაწვდის „ია ოთარ რამიშვილი იზ ტბილისი“ , მეორეთაც რომ გამიმეორა მაინც ვერ მივხვდი სანამ მეც არ ვუთხარი „ია ლევან ბოცვაძე, ტოჟე იზ ტბილისი“ თქო და დამთავრებული არ მქონდა სიტყვა, ვააა ოთარ რამიშვილი, ჩემი კუმირი, მასთან გიტარაზე მისვლაზე, რომ ვოცნებობდი, მის სიმღერებს ვმღეროდი მიბაძვით და აგერ „ქვარნალასთან“ თავად გამეცნო. როგორ ხართ ბატონო ოთარ? --იცი რას გეტყვი იუზგარ? ბატონობას თავი დაანებე და მეც დავიღალე ჩამოცჯდეთ ვილაპარაკოთ თან წყალს დავლევო. წყალი რა მოსატანია ახლა აქ კარგი სუფრა რომ იყოს ხომ დაგვამახსოვრდება მთელი ცოვრება. მაგაზე სიმართლე გითხრათ ძალიან არ მიფიქრია გენმა იყივლა ქართველობის, ბაბუის და მამის ხასიათმა, ჩემიც მივაყოლე და ბაჩო გავაგზავნე იამზე ბებიასთან შეეტყობინებინა სტუმარი გვყავს და დანარჩენს თავად მიხვდებოდა იამზე ბებია, ისეთი ქალი იყო არაფერი არ შეეშლებოდა (მამაჩემის ბიცოლა) ის მომენტი მან უკვდავყო, რადგან ზუსტად 15-20 წუთში კარგი ადესა და კეცის ხაჭაპურები, ჭადები, კარგი წიწილა და ჭყინტი ყველი თავის სალათებით მზად იყო. თავად ოთარ რამიშვილიც გაოგნებული დარჩა, ამ ხნის და ასეთი პოპულარული კაცი ვარ და ჯერ არ მახსოვს ასე უცბად გამასპინძლება ასეთ

მოულოდნელ ადგილასო. ბევრი ვილაპარაკეთ, თავისტავად ვუთხარი დიდი ბებია მაკრინე რამიშვილის ქალი რომ იყო, სოფელ სურებიდან და შეიძლებოდა ნათესავებიც ვყოფილიყავით და ა.შ. თურმე ჩოხატაურში ვიღაც განაბს ფეხი მოუტეხავს და მის საპატივცემულოდ სათევზაოდ წამოსულა, თევზს მივართმევო საძმოშიო. მერე მომიყვა თავის ისტორიები პირველი „სროკი“ მალალეტკებიდან ბოლომდე, როგორ იყო რაზე და ნელ-ნელა ქეიფი გახურდა, რომ შეზარხოშდა ახლა გიტარა მომიტანეო. გიტარა გვერდით სოფელში ვაზისუბანში მქონდა დატოვებული ლენა მამიდასთან, ყაჭეიშვილებში და იმას კარგი დრო სჭირდებოდა თან მაშინ ტრანსპორტიც ხშირი არ იყო. იამზე ბებიას თავის და მოჰყვა იზოლდა დეიდა და ოთარს ისე მოეკიდა ღვინო გიტარის გარეშე დაიწყო სიმღერა თავის ლექსები უწმაწური სიტყვებით და გავაჩერე, ქალები არიან და ჩვეულებრივად იმღერეთქო, კი გაეცინა ჩემს „დიდობაზე“ და მერე მითხრა შენ მართალი ხარ, ჩვეულებრივად ვიმღეროთო. შვილებზე მოყვა, მეუღლეზე რომელიც თითქმის ოცი წლით უმცროსი იყო და სიდედრი თითქმის თავის ტოლი, როგორც მახსოვს 5-8 წლით უფროსიო. კარგად მოვილხინეთ, მეც შევზარხოშდი. ბოლოს დაგვემშვიდობა მელოდებიან ღამემდე უნდა ავიტანო თევზიო და ისე გაუყვა მდინარეს უკვე ნასვამი გამიკვირდა, კი ვეპატჟე მოგასვენებ ოჯახში, მაგრამ ჯიუტად გაუდგა მდინარეს.

იმ წლიდან ჩემი მოგონებები შეივსო მსუყე ამბით და ყველას მაგას ვუყვებოდი. გავიდა დიდი ხანი. ჩემი ნათლიის (გამბანავის) ნინა ჩიქოვანის დასაფლავებაზე ჩემს წინ ქალები ნერვიულობდნენ იგვიანებსო და მოვიდაო რომ თქვეს მივიხედე, ოთარი. ეტყობოდა ქეიფიდან მოდიოდა, შეაგვიანდა. მერე სტუდენტი გავხდი სამსახურიც დავიწყე ტურისტულ ფირმაში და ითქვა; ანსამბლი მიდის ბათუმამდე ადგილები შეუნახეთო, ინგა ფერაძე და ბევრი სხვა... მათ შორის ოთარი რამიშვილი. მივესალმე გადამკოცნა და თავი რომ შევახსენე, ეწყინა ძალიან, რას ქვია ვერ გიცანი ეს რას მკადრებო, ძლივს შემოვირიგე. მერე ორ ქალს ჩაუდგა შუაში დამიძახა ჯერ ერთს აკოცეო, ვაკოცე, მერე მეორეს აკოცეო, ვაკოცე. მერე მეუბნება იცნობო? არა მეთქი, თუ არ იცნობ რას კოცნი ჩემს ქალებსო და ორივემ ვიცინეთ, კარგი ოთარ როგორ იცი შერცხვენათქო და იქაც საუცბათო პურმარილი გავშალე.

ასეთი იყო, ყოველშემთხვევაში ჩემს მოგონებებში ასე დარჩა, ყველასათვის საყვარელი, კარგი გვარიშვილი, თბილისელი „კვაჭიჭო“. კომპოზიტორი, პოეტი, გიტარის უბადლო მცოდნე და თავის სტილის დამაარსებელი, საქართველოზე და ქართველ ხალხზე უზომოდ შეყვარებული ოთარ რამიშვილი.

მამალი

სოფელში ვარ არდადეგებზე, აგვისტოა, ძალიან ცხელა. ეზოს ყველა კუთხე მოვიარე, ხან რა გავჩორკნე, ხან რა შევათვალიერე, ლადიკო ბაბუასაც მივაკითხე ღობეს ამაგრებდა ეკლის ხის სარებს ცვლიდა თუ რაღაცას ისეთს აკეთებდა უნდა დაემთავრებინა საღამომდე და ხელი რომ არ შემეშალა წაი ბაბუა და მე მუალ მალეო. მივედი სახლში ჭრიჭინების მომაბეზრებელ ჭრიჭინს ჩემი გაბეზრებული უსაქმურობა ემატებოდა და მარანში ხელსაწყოების გადმოლაგება დავიწყე, წალდის, ბირდაბირი ხერხის, საქმეში შევდივარ და ერთიც ყურში ყრუ ხმამ გამიარა, ყურადღებას რომ არ მიაქცევ და ორჯერ რომ გაისმება, მესამედ სანამ გახვალ და სანამ იმას გააგონებ: მაინძელო..მასპინძელო...მასპ... მობრძანდით ბატონო....ჭიშკართან მზის, მწვანე სათვალეებიანი, ჭაღარა, შუახანს გადაცილებული ქალაქური ყაიდის კაცი იდგა.

-გამარჯობა, ბაბუ სახლშია ?

-გამარჯობა! კი, სახლშია, დავუძახებ ახლავე.

(სკოლაში სალამს მიჩვეულები ბავშვებს გამარჯობა თითქოს გვეუცხოვებოდა, სანამ დურმიშხან მასწავლებელი არ მოვიდა ფიზიკოსი. ოღონდ სალამი არ მითხრათ და თუ გინდა ხმა არ გამცეთო, ისე

გამარჯობითვე მიპასუხეთო, რადგან ისედაც დურმიშხანი დამარქვეს და „ სალამი დურმიშხან მას“ უკვე ზედმეტიაო. ასე მივეჩვიეთ როგორღაც გამარჯობის თქმას.) მივქანდი ლადიკო ბაბუასთან და ვეუბნები, სტუმარი გვყავს ვიღაც კაცია აქაური არ უნდა იყოსთქო. ლადიკო განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით და ხშირად ხან ვინ მივიდოდა ხან ვინ, მეზობლები, ნათესავები მაგრამ ასე შუადღით ცოტა ეუცნაურა, ვერც მიხვდა ვინ უნდა ყოფილიყო იქაურები ყველა საქმეში იყო გართული და როგორც სტუმართმოყვარეობა იცოდნენ ლადიკოსი, ასევე შრომისმოყვარეობაც იცოდნენ შრომის და ფისკულტურის ლადიკო მასწავლებლის. მიატოვა დასამთავრებელი საქმე და ერთად მივედით სტუმართან.

-ოო, საიდან, რა ქარმა გადმოგაგდო და „სკოლკა ლეტ და ზიმ“ არ იყო მაგრამ აშკარა სიხარული იყო ბიძაშვილური, დედის მხრიდან ასინო ჩხიკვაძის ძმის შვილი ვინმე გრიშა ჩხიკვაძე. მართლაც ქალაქში მაცხოვრებელი, მოქეიფე მომღერალი და დიდ რამაზ ჩხიკვაძესთან გვარის მხრივ თუ სანათესაოდან დაახლოვებული პირი. მოკლედ როგორც ყოველთვის, გაიმართა სამზადისი, სანამ შეიწვებოდა ზოგი და ზოგიც მოიხარშებოდა, მანამ ათი ხელი ნარდის თამაშიც მოასწრეს და ბევრი ამბების მოყოლაც.

მიდიოდა ჭუკჭუკი, მხოლოდ ერთი ხმაჩახლეჩილი თეთრი მამალი ცოტა მყუდროებას არღვევდა, თან ხმა არ ჰქონდა და თან არც ჩერდებოდა დღისით, მზე კი გადადიოდა უკვე. ის-ის იყო სუფრას უნდა მიმსხდარიყვნენ ორნაირი ღვინო, რომ დაინახა სტუმარმა „ადესა“ და „ცოლიკოური“, უკეთეს ხასიათზე მოვიდა და მე მომიტრიალდა; ბიძია იმ მამალს ეს "ადესა" თუ უშველის მეტი არაფერიო, როგორც მე დამაწყებინებს გიტარაზე დაკვრას ცოტა ხანშიო. იმ წუთში არ მიმიქცევია ყურადღება მამლის თაობაზე და უკვე ვფიქრობდი გიტარა სად "მეშოვნა", მაინტერესებდა თუ მართლა იცოდა დაკვრა. გიტარაც მოვიძიეთ, კარგი ქეიფიც წარიმართა და შუა ქეიფში გამახსენდა მამალი, უკვე ბნელდება, ვიფიქრე საქათმეში იქნება და მეც შევიპარე მელასავით, ქათმებს წავეჩურჩულე და ფუკასავით ავაცალე მამალი. წამოვიყვანე და იმდენი „ადესა“ იზაბელა დავალევინე, ფეხზე ვერ დადგა, კისერი გადააგდო გვერდით, მეც იქვე აივანთან მივსვი-მივაწვინე. სიმართლე გითხრათ მეგონა მოვკალი და გული დამწყდა ეგ მაინც დაეკლათ ოჯახი ვაზარალე ჩემი ექსპერიმენტით, ნახევარი ტანი სისხლის ფერი ჰქონდა "ადესის" ნაწუწავები და იმის იმედი მქონდა იქნებ თრითინასთვის დაებრალებინათ მამლის მკვლელობა. ქეიფი გაგრძელდა გვიანობამდე კარგი სიმღერებით, მოგონებებით და თითქმის გამთენიას

დაიშალნენ უფროსები, მე ადრე დავწექი როგორც ბავშვი და გამთენიას მამლის ყივილმა გაგვაღვიძა მეც და სტუმარიც. მე სიხარულისგან რამის მეორე სართულიდან გადმოვხტი, რადგან ცოცხალი იყო და სტუმარი კი შეწუხებული; ძლივს ჩამეძინა და უკვე მამალმა გამაღვიძაო, მაგრამ გუშინ ხმა არ ჰქონდა და კი მარა ლადიკო რამდენი მამალი გყავს მითხარი თუ ძმა ხარო. მამალი ერთია მგონი ხმა დაუბრუნდაო, ასე საუბრობდნენ სანამ კარგად არ გათენდა. კიდევ დიდხანს იმსჯელებდნენ სანამ მე არ გავამხილე, რომ მამალს ღვინო დავალევინე და მაგიტომ მოუვიდა ხმათქო. სტუმარი ისეთი ნაქეიფარი იყო, არც ახსოვდა წინა დღის თავის დარიგება და მე მეუბნება; ვინ გასწავლა ბიძია მითხარი მაგ დალოცვილმაო და სიცილი მიაყოლა, საქმოსანმა კაცებმა რომ იციან ყველაფერზე სიცილის ფონად დადება, რა გაცინებთ თქვენ არ მითხარით? გუშინ მეც განვახორციელე არც თუ ისე უშედეგოდ და ამისთვის დიდი მადლობათქო. არც დამიჯერებდა სანამ ნახევრად ვარდისფერ მამალს არ შეხედა. ეგ იყო და ისე წავიდა სტუმარი ეჭვის თვალით მიყურა ჭიშკრამდე ეს რა „გამიჩალჩა“ ნუთუ ჩემი ვერსია იყო მამლის ხმის მოყვანაო...მე კიდე მეგონა ვეტერინარიაშიც ერკვევა და მამალი შეეცოდათქო. მის მერე არ მინახავს 35 წელი გავიდა. ხსოვნა იყოს ლადიკო ბოცვაძის და მისი ბიძაშვილის გრიშა ჩხიკვაძის.

იადონი

90-იანების შუა პერიოდი...
ტაქსით მივედი მთაწმინდაზე მითითებულ მისამართზე, მოვილაპარაკეთ დამლოდებოდა მძღოლი. მოხუცი ბებო უნდა მიმეცილებინა ბორჯომის სადგურზე. შევედი თბილისურ ეზოში და ვიკითხე, ხის კიბეებზე მიმითითეს მე-2-ე სართულზე. სახლში შესასვლელი ხის კარი შევაღე, მიმოვიხედე და შევამჩნიე შავებში ჩაცმული თხელი, თეთრი პირი-სახის ოდნავ კეხიანი ცხვირით, სასიამოვნო გარეგნობის ბებო მიწოლილიყო რკინის საწოლზე. ეტყობა მელოდა არ გაჰკვირვებია, სანამ მე რამეს ვეტყოდი, წამოფრინდა მომესალმა და ელვისებურად ორივე ხელში უკვე ბარგი ეჭირა. კიბეებზე მოვკარი თვალი, მე რომ ჩავედი უკვე მანქანაში იჯდა და მლოცავდა ისე, რომ ბარგისთვის ხელი არ გაუშვია.
იგივე განმეორდა სადგურის კიბეებზე სანამ ავედი ის უკვე ვაგონში იჯდა და ხელს მიქნევდა, მე კიდე გაკვირვებული დავრჩი რისთვის მივედი აღარ მახსოვდა და გრძნობა დამრჩა მე მაცილებდა.
მაშინ იადონი 103 წლის იყო.
ამბავი გავიგეთ ბებო იადონი ცუდად არისო და სანახავად წავედით. ეზოში შევედით და ქალაქელი შვილიშვილები დაგვხვდნენ ბებოს გულშემატკივრობდნენ, უვლიდნენ, ხან გონზე მოდისო, ხან სძინავსო, ახლა ჩათვლიმაო. ოთახში რატომღაც მე მარტო შევედი და მივხვდი აღარ იყო.

დასარწმუნებლად სარკე მოვითხოვე... არ დაიორთქლა....
გული დამწყდა ვერ გამოველაპარაკე...
დავაგვიანე...ასე მეგონია რაღაც სათქმელი ჰქონდა, რა ძალამაც შემიყვანა ოთახში და სარკე მომათხოვინა (სულაც არ ვიყავი წლოვანი და ეგეთ რაღაცეებში გამოსდილი სულ რაღაც 22 წლის ვიქნებოდი) იმან, (თუნდაც სარკემ) უხმოდ გადმომცა სიმძიმისგან გაფილტრული, რაღაც, რასაც გონებით ავწევდი, არ დამამძიმებდა, მარტო წარუშლელი შთაბეჭდილებით ამბად ვაქცევდი განსჯის გარეშე.
მაშინ 105-ე წელში იყო ბებო იადონი. ხსოვნა იყოს!
ბოლო გზაზე ვაცილებდით, ქელეხში მეუღლის ხსოვნის სადღეგრძელოზე, ჩემს გვერდით მჯდომმა ოჯახის ახლობელმა გაიხენა...
ტრადიციულ ოჯახში იზრდებოდა; ლამაზი, ცქრიალა, მორიდებული და თან ამაყი, მეოჯახე.
ადრეც არ გათხოვილა ჩვეულებრივად, ერთ წარმატებულ, ახოვან, განათლებულ და თანამდებობის პირ ბიჭს გაჰყვა ცოლად, სიყვარულით. იდილია სუფევდა ლამაზ ბუდეში და ოთხი სიყვარულის ნაყოფი აცოცხლებდა მათ დიდ ოჯახს. მეუღლე ცივ ნიავს არ აკარებდა და "ჩიტის რძე"-ც ჩრდილოეთიდან ჩამოჰქონდა მათთვის. წუთისოფლის სიამტკბილობას ჩასაფრებული ჰყავს ავბედითი მხარეც, რისიც ეშინოდა სწორედ ის მოხდა. როგორც მოგახსენეთ; ახოვანს, წარმატებულს და დიდი გაქანების კაცს სხვებიც ეკურკურებოდნენ. ერთი შეცდომა ხანდახან ძვირ საფასურს მოითხოვს. ოსებსაც (სიმართლეა და ეროვნებას არ ვეხები)

ლამაზი ქალები ჰყავდათ და სუსტ მხარეს ჩაებღაუჭა საცოდავი, რა იცოდა რა ელოდა "ჩიტის რძის" მოზიარეს. არაფერი არ იმალება რაიონში და ეს თხელი, მორიდებული, მეოჯახე, სიმართლის გასარკვევად, გაფრთხილების რეჟიმში ქალის მხარეს მივიდა და დაუბარა ოჯახის დანგრევას არავის არ შევარჩენ, ჩემი და ჩემი ოთხი შვილის სახელს არავის შევარცხვენინებო, არც გასაყოფი მაქვს რამეო.
მისი ძმები აქეთ დაემუქრნენ კარგ დღეს არ დაგაყრითო.
ახალი გახსნილი იყო იმ დროს რუსეთისკენ მიმავალი მატარებელის „რეისი“, კაცმა იფიქრა გავასეინებ ჩემს ტურფას და ოჯახსაც რამეს ჩამოვუტანო.
მატარებელი ბაქანზე (მაშინ „პლათფორმა"-ს ეძახდნენ) იდგა. ხალხი ბევრი ირეოდა, ზოგი შვილს აცილებდა სასწავლებლად, ზოგს ტვირთი ჰქონდა და საექსკურსიო ჯგუფებიც მრავლად იყო. მილიციელები გადი -გამოდიოდნენ წესრიგს იცავდნენ ვინმე ჯიბგირს საფულე არ ამოეცალა მავანისთვის. რას მოიფიქრებდნენ სიფრიფანა ქალი გაარღვევდა ხალხის გუნდს და ტურფას შიგ გულში დასცემდა მეუღლის კუთვნილ ომისდროინდელ "სტეჩკინს".
თავად გამოცხადდა საბჭოში და რაც მოუხდა ის თქვა დანანებით (მთელი ცხოვრება მონანიებაში ყოფილა).
გაითვალისწინეს ოთხი შვილი, არ დააკავეს, (ეჭვიანობის ნიადაგზე აფექტის მდგომარეობა) მაგრამ რაიონში აღარ დაედგომებოდათ და თბილისში გამოუყვეს ფართი მთაწმინდაზე კ.მესხის ქუჩაზე, თბილისურ ეზოში, მეორე სართულზე, სადაც

საუკუნეს გადაშორებული "ტაქსი"-ს ელოდებოდა იქ წასასვლელად საიდანაც დიდი ხნის უკან გამოემგზავრა სინანულით, ცხოვრების ბოლომდე დასარჩენად. ნამდვილი იადონისგან განსხვავებით, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ ციმბირშია გავრცელებული, ის მხოლოდ გადაფრენისას გვხვდება საქართველოში. ვინ იცის რამდენჯერ შემოუფრენია თბილისში დამჯდარა ჩემი ფანჯრის რაფაზე და მოუჟღურტულებია (მხოლოდ მამალი გალობს) მე იადონი ვარ ყველაფრისგან თავისუფალი, მალე მივფრინავ, რაღაც მაქვს სათქმელი...

ან რამეს ხომ არ დამაბარებ?...

სამწუხაროა ადამიანებმა ჩიტის ენაც არ ვიცით....

ს ი ს უ ლ ე ლ ე

მამიკო ზღაპარს მომიყვები?

რა ზღაპარი მა, ხომ იცი ზღაპრების არ მჯერა.

-რა სისულელე თქვი ეხლა მამიკო, მე ხომ პატარა ვარ და შენ კი დიდი, არც მე არ მჯერა მაგრამ, გავერთობი და იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს რას მომიყვები და როგორ მომიყვები. თან შენი მონაყოლი ყველაფერი მიყვარს ხომ იცი. ტიკტიკებდა 5 წლის ასინო და მამას სთხოვდა "ზღაპრის" მოყოლას.

"სისულელე"-ზე ცოტა შეცბა ალექსანდრე, მაგრამ არ შეიმჩნია და რა მოეყოლა იმაზე ფიქრობდა, რით გააკვირვებდა ამდროში,ინტერნეტის და სოც-ქსელების ეპოქაში დაბადებიდან გათვითცნობიერებულ პატარა ასინოს, ისე საყვარლად რომ წარმოსთქვა სიტყვა "სისულელე".

-კარგი დავიწყოთ მოგიყვები ერთ ზღაპარს...ასინო მოკალათდა და გულისყურით მიაპყრო ლამაზი თვალები მამიკოს.

-ერთ სამეფოში ცხოვრობდა ბიჭი, სახელად სისუ, მშრომელი ადამიანი იყო და პატიოსნად ემსახურებოდა ოჯახსაც და სამეფოსაც. ყველა პატივს ცემდა და აფასებდა რადგან არავის არაფერს უშავებდა, მხოლოდ სულ ელოდა რაღაცას ისეთს რაც არც კი იცოდა ეს რაღაცა კარგისკენ წაიყვანდა თუ

პირიქით. ელოდა სისუ ელოდა და ხალხმაც იცოდა, მისი მოლოდინის თაობაზე და ეხუმრებოდნენ
-რას ელი სისუ?
-ელოდები სისუ და რას?
-სულ ელი სისუ.
-სულელი, სულელი....
სისუ ამ ხუმრობას თავიდან არად აგდებდა, მაგრამ ბოლოს ისე შემოეჩვია ეს სიტყვა "სულელი" აღარ უნდოდა ამ თემაზე საქვეყნოდ ხუმრობა და არც სულელის იარლიყის მიწებება. ერთმა გამვლელმა ნაცნობმაც ურჩია დროა სისუ დაოჯახდე იპოვნო შენი სწორი და ტოლი, ასაკიც ხელს გიწყობს და სულ მოლოდინშიც არ იქნები, სულ ვინც ელის კი იცი რასაც ეძახიან ... კარგი ბიჭი ხარ რეალობად აქციე შენი სურვილიც და ხალხიც უკეთ დაგაფასებს შენ იმსახურებ ამას. სისუმ დახარა მორცხვად თავი, დაუკვირდა მოხუცის საუბარს და იმ დღიდან გადაწყვიტა ბედი ეძია.
გვერდით "დროებით სამეფოში" ცხოვრობდა ერთი გოგო სახელად ლელე, ძალზედ მხიარული და ლამაზი, რომლის კისკისიც ახალისებდა ირგვლივ ყველას და ყველაფერს, დაცქრიალებდა ლელე და ყველას უყვარდა ობოლი.
ამ გამოგონებით ალექსანდრეც გაერთო და შეამჩნია ასინო როგორ ინტერესით უსმენდა და ახამხამებდა ლამაზ დიდ თვალებს.

-გავაგრძელო?
- კი მამა, ლელეს მშობლები ადრე დაეღუპა? და-ძმა?....
. დაინტერესდა ასინო, მამამ ხელი გადაუსვა თავზე და გააგრძელა;
ერთხელ ლელე გარეთ გამოვიდა და უჩვეულო ჩაცმულობის ყმაწვილი შენიშნა. მიხვდა გვერდით სამეფოდან იქნებოდა და სურვილი გაუჩნდა რატომღაც გაეცნო, მაგრამ სისუს უკვე შემჩნეული ჰყავდა ლელეც და მისი კისკისი ყურთან უტრიალებდა. უცნაურად გრძნობდა თავს და ვერ იჯერებდა, რომ ეს-ესაა ბედის საძებნელად გამოსული, უცბად ღმოჩნდა სიმორცხვის ტყვეობაში, რომელიც ლელეს გამოეწვია.
-არა აუცილებლად უნდა გავიცნო, ახლა თუ არა აბა როდის!? გაიფიქრა სისუმ, მივალ სახელს მაინც ვკითხავ და თუ ბედია, სად წავა, მერე შევხვდები ისედაც.... სისუ რასელი? სულელი? ამ მომაბეზრებელი ფიქრებიდან გამოარკვია სისუ სიტყვებმა, რომელიც მარტო კი არ ჩაესმოდა არამედ წარმომთქმელის სუნთქვასაც გრძნობდა.
-აქ რას აკეთებ? გატყობ აქაური არ უნდა იყო, ბედის საძიებლად გამოსულს გავხარ. გახუმრება სცადა ლელემ, რაც ჩვეული იყო და კისკისიც არ დააყოვნა. სისუ ისედაც

დაბნეული მთლად გაიფანტა და ძლივს მოუყარა თავი სიტყვას;
-გამარჯობა. თუმცა ცოტა არიყოს ეუცნაურა ლელეს სითამამე.
-მე ლელე მქვია. ხელი გაუწოდა გოგონამ.
-ლელე?! ძლივს ამოილუღლუღა სისუმ და ვერც გააცნობიერა ისე გაეღიმა თავისდა უნებურად და გაწითლდა ხომ არ მომესმაო.
-შენ რა გქვია არ მეტყვი ბედის მაძიებელო?
-სისუ.
-სისუ?! ეხლა ლელე დაიბნა თან ცოტა ბრაზიც მოერია გაშაყირებაც გამიბედა "დონკიხოტე"-მო.
-მამა "დონკიხოტი" ის არის ხო ქარის წისქვილებს, რომ დასდევს და დულსენეა, რომ უყვარს? ალექსანდრე კვლავ შეცბა და აღარ გაჰკვირვებია ასინოს ეპოქა გაახსენდა, სადღაც ამოიკითხავდა ინტერნეტში, კითხვა ხომ 4 წლიდან დაიწყო, მაგრამ მამას ის უფრო გაუკვირდა ნაწარმოების პერსონაჟები, რომ აინტერესებდა თორე "პოლიტიკოსები" კარგად რომ სცოდნოდა ის არა (ეს ისე ხუმრობით).
-მერე მა?
მერე ლელემ სისუს სახე, რომ დაინახა უარესად გაკვირვებული და შემცბარი, მიხვდა დამთხვევა იყო. სხვა გზა არ ჰქონდა გაცნობა ბოლომდე უნდა მიეყვანა რადგან თავად წამოიწყო და თან თავიანთ "სამეფოში"

სტუმართმოყვარეობას "სხვები" დიდად არად აგდებდნენ რაზეც ლელეს ძალზედ სტკიოდა გული.
- მე დედამ დამარქვა ლელე.
- მეც დედამ დამარქვა სისუ.
რა დამთხვევაა გაიფიქრა ორივემ, რამდენიმე წამში სიცილმა სულ გადაფარა უხერხულობაც და ეს მხიარულება ყველას გადაედო რომ არა უცნაური "მცველების" ჩარევისა
-მალე დაიკეტება საზღვარი იჩქარე ყმაწვილო, ლელეც სახლშია წასასვლელი ღამდება. ლელეს არ მოსწონდა თავისი, “დროებით სამეფოს" არასტუმართმოყვარეობა და ზედმეტი დაცვა უცნაური ხალხის მიერ მისი კონტროლი რაც სხვა სამეფოს ჩამოყალიბებას და ხალხში სიძულვილის გრძნობას იწვევდა. წავიდა სისუ, მაგრამ გული იქ დარჩა და ფიქრი თუ რაოდენ გამართლებულია ის აზრი "სადაც არის ბედი შენი იქ მიგიყვანს ფეხი შენი"- ო. მნიშვნელობაც არ ჰქონდა ქალზე იყო თუკაცზე. მიდიოდა და უნებურად გაიძახოდა გულში "სისულელე" და ეს ყველაფერი სისულელეა?! მეორე წამს ლელეს კისკისი აფხიზლებდა და უკვე ხვდებოდა შეყვარებული იყო ლელეზე და აზრი არ ჰქონდა სხვა "სისულელეებზე" ფიქრს.
რაც დრო გადიოდა ლელეც უცნაურად სულ სისუზე ფიქრობდა. მოეწონა მორცხვი, გულწრფელი და კუნთმაგარი რაც მის შრომისმოყვარეობაზე

მიანიშნებდა, თან მისი უცნაური სახელი არ ავიწყდებოდა მითუმეტეს ჯერ მას თუ წარმოიდგენდა და მერე თავის სახელს უცბათ სიცილი აუტყდებოდა და ისედაც მხიარულს უარესად უხერხულობაში აყენებდა ეს მდგომარეობა და აკვიატებულად იმეორებდა სისუ-ლელე ე,ი სისუ და ლელე, ისე მე გავიცანი პირველი და ლელე და სისუ უნდა ვიყოთო, თავისთავად სიყვარულზე ფიქრი გამოსდიოდა ლელეს და თან ღელავდა, სისუ აღარ გამოჩენილა მერამდენე დღეა და იმასაც ფიქრობდა ლელე იქნებ სისუც მასე ფიქრობდა და სისუს მხრიდან პირიქით ყოფილიყო სისუ და ლელე, სისულელე. ლელე ქვეცნობიერად გრძნობდა თავიანთი ბედის გადახლართვა თავის-თავად სახელების დამსახურება იყო თუ უცნაური დამთხვევა გული კი უფრთხიალებდა სასიამოვნოდ და გზისკენ იყურებოდა იქნებ გამოჩენილიყო თან გულში მღეროდა

"ოოო ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება
და გზა დამილოცე ჩემი დღეც დადგება,
ოო როგორ მენარები, ოო ველი ხვალინდელ დღეს"

- მერე რატო არ მიდიოდა სისუ ლელესთან მამიკო? ქალური თანადგომა გამოხატა ასინომ და ერთისული ჰქონდა როგორ განვითარდებოდა მამიკოს გამოგონილი ზღაპრის სიუჟეტი.

- სისუ პირიქით ვერ ითმენდა ლელეს კისკისის გარეშე მამიკო, ისიც იმავე სიმღერას მღეროდა;
"შენ რომ არ იყო ამ ქვეყანაზე ჩემი სიცოცხლეც არაფერია,
და რომ იცოდე როგორ მიყვარხარ ჩემო ლამაზო ტკბილო ფერია,
ოო როგორ მენატრები, ოო ველი ხვალინდელ დღეს"
- მაგრამ აქ სხვა რამეში იყო საქმე. ასინოს ვეღარც წარმოედგინა სისუს და ლელეს ისტორიის გარეშე და
 თვალებში მუდარა იგრძნო ალექსანდრემ, რათა დროზე გაეგრძელებინა ამბავი. მამის ნამღერიც მოსწონდა და იცოდა როგორ მღეროდა ამ სიმღერას გიტარაზე, ისიც კი იცოდა ვისი დაწერილი იყო,მაგრამ ნაამბობში კარგად ჩაჯდა და კმაყოფილი იყო პატარა.
-ეს ამბავი სამეფოში ორივე მხარეს გავრცელდა და პირველ პირებამდე მიაღწია, სისუს და ლელეს შორით ტრფობამ. მხარეებს შორის ისევ დაიძაბა ურთიერთობა , რადგან ლელეს საზღვარი იკეტებოდა და ისედაც დიდად არ "აპიტნავებდნენ" ერთმანეთს. ომამდეც კი მივიდა საქმე თუმცა ამ ამბავმა კულუარებში სამხიარულო მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ორივე მხარეს აკვიატებული ჰქონდათ სისუს და ლელეს სახელები. ჩუმად საღამოობით სიცილ-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე თან სახელებს იმეორებდნენ;- სისუ, ლელე,

სისულელე...ქვეცნობიერად მხარეებს შორისაც ომი ყოველთვის დიდი სისულელე იყო და მშვიდობა, წყნარი ცხოვრება, სიყვარული-კეთილდღეობა ყველას უნდოდა, მითუმეტეს ერთად პიტნის ჭამაც კარგად გამოსდიოდათ ოდესღაც.

"შენი ლამაზი ნაზი თვალები ჩემი ოცნების ვარსკვლავებიაა,

მხოლოდ სიზმარში მხოლოდ სიზმარში

მე შენი სახე დამბედებია" გაისმა მელოდია და ლელე ყურს არ უჯერებდა თავისივე სიმღერის მელოდიები შემოესმა. იფიქრა ვერ ვარ კარგად რა ყოფილა სიყვარულიო

-ლელე მე ვარ.

-რომელი ხარ?

-სისუ ვარ ლელე, გამოიხედე!

გამოვიდა ლელე და ორივემ ერთად მისამღერი წაიმღერეს თავისდაუნებურად, "ოო როგორ მენატრები" ვერც კი შეამჩნიეს ერთი მუსიკა შეექმნა ორივეს სხვადასხვა სიტყვებით გულიდან ამოსული, რომლის მისამღერიც ერთი იყო.

-სისუ, მადლობა ღმერთს, დიდება შენს გამოჩენას.

-წამოდი ლელე სანამ დროა, (სიყვარულის ახსნას აზრი არ ჰქონდა, რაც გამოვიდოდა ბევრჯერ ვახსენეთ) გადმოვიპარე. წავიდეთ შუაში დავდგეთ და ორ დაპირისპირებულ მხარეს ჩვენი სიყვარული ვაჩვენოთ. შევკრათ ოჯახი, ომის დამქაშები ჩვენს

დანახვაზე დაფიქრდებიან და სისულელედ მოეჩვენებათ ეს ყველაფერი.
- ასინო მიხვდა მამის ჩანაფიქრს და მორცხვად დახარა თავი და ჩაილაპარაკა "სისულელე", მერე ეშმაკურად მაინც ჰკითხა ალექსანდრეს;
-მერე, მერე მამიკო? მიხვდნენ ომი რომ სისულელე იყო?
-კი მიხვდნენ მამიკო, განსაკუთრებით ლელეს მხარეს უცხოტომელი "დამცველები" და წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში; ესენი უკეთ მიხედავენ თავიანთ თავებს. სისულელის ჩადენაც აღარ მოგვიწევს მითუმეტეს სისუ და ლელეს მართლა ჰყვარებიათ ერთმანეთი და ჩვენ ზედმეტები ვართო. ამ სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ, რადგან მათივე ძველ ზღაპრებში "სულელი" თავიანთ ტომელებთან ასოცირდებოდა, ცოტა არ იყოს ეუხერხულათ ალბათ.
ამის მოყოლაში ლექსომ ამოიოხრა და გაიფიქრა ნეტავ ეგრე ხდებოდეს ცხოვრებაშიცო და გააგრძელა;
- დაოჯახდნენ სისუ და ლელე, ცხოვრობდნენ ბედნიერად. ლელე ყოველთვის ლელედ და სისუდ მოიხსენიებდა თავიანთ ოჯახს . საჭიროების შემთხვევაში სისუ და ლელე იყვნენ, სისუმ კი იცოდა , რომ ყველაფერი სისულელე იყო სიყვარულის, სიცოცხლის გარდა, რაც გაქმნევინებს მუსიკას და უკეთეს მომავალს. იცოდა არასდროს არ უნდა შეეგინებინა ამ ცხოვრებისთვის, მიუხედავად

სიძნელეებისა რომელიც ასე მშვენიერი იყო და აღარაფერზე ნერვიულობდა.

- ბავშვებს რა დაარქვეს მამიკო?

სერიოზულად უნდოდა ეკითხა ასინოს, თან თვალებში ეშმაკუნები უციმციმებდნენ, მერე ორივე მამა-შვილმა გულიანად იცინეს და სანამ ჭირი იქა ლხინი აქაზე გადავიდოდა მამა, ისედაც ემოციებისგან დაღლილი პატარა ტკბილად წაიღო ძილმა. ფიქრში მაინც უტრიალებდა ეჭვი და ქვეცნობიერად გრძნობდა ყველაფერი თავისი ნათქვამი "სისულელედან", რომ დაიწყო.

ალექსანდრემ ფრთხილად გამოაძვრინა ნატყვიარი ხელი ასინოს ლოყიდან, ბალიშზე ფაფუკად მოაკალათა, ნაზად აკოცა და მშვიდობიანი მომავალი უჩურჩულა.

მოკლედ აღწერილი ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების ციკლი, კვირის დღეების მიხედვით, (საქართველოში) მორწმუნეობის, პოლიტიკისა, ფილოსოფიისა, გრამატიკული ლიტერატურისა და კოვიდის გარეშე.

(სამუშაო კვირა, ფერებით)

ორშაბათი- (ღია ყვითელი)-----გიჭირს, ეჩვევი.

სამშაბათი-(მოლურჯო ფირუზი)---მუშაობ, ენერგიულად.

ოთხშაბათი-(ზურმუხტისფერი)---ჩაბმულიხარ, ფერხულში.

ხუთშაბათი-(ლალისფერი)-------ვერგრძნობდაღლას, გართულიხარ.

პარასკევი- (ლურჯი,იისფერი)----უძლებ იმის იმედით, რომ ხვალდა ზეგ ისვენებ, იღლები, ცდილობ დაისვენო, იმ საღამოსვე განტვირთვა გააკეთო.

შაბათი-(ბორდო-ბარხატი)--------ოჯახური დასვენება(წინა დღის განტვირთისგან გამოსვლა).

კვირა-(თეთრი)------დასვენება სრულად, მზადება ორშაბათისთვის.

(ერთი კვირა წლების მიხედვით)

ორშაბათი--ჯერ კიდევ ბნელი-რიჟრაჟი--გამთენია, იბადება, უჭირს სიარული, იჩიტება სახლში, ჯერ ბაგა-ბაღში მერე ბაღში და შემდეგ სკოლაში მიდის. ცოტა იწელება სწავლა-აღზრდა, ჩიჩინი თუ რაოდენ მისთვის სასარგებლოა ეს ყველაფერი. შუადღემდე ამთავრებს სკოლას. საღამოსთვის სტუდენტია წარმატებული, ლაღია და მთებს გადადგამს იმდენი ენერგია აქვს. ცოლის მოყვანაზე ფიქრობს, მაგრამ არ უნდა, არჩევანი დიდია. ხასიათი ჯერ დაუმდგარი მაჭარი. საღამოს დადგება ღვინისკენ. იმდენი იცის უფროსებსაც დაარიგებს ჭკუას, თითქმის არა, ყველაფერი იცის. **(1-25)**

სამშაბათი---ცოლი მოჰყავს (ან თხოვდება, გადაკეთება თქვენთვის მომინდია, თუმცა ბევრი დამატება ან გამოკლება იქნება საჭირო), სიყვარული ეწვია, ვინც გაუგო და არ მიატოვა ეგ არის მეტი რა უნდა ამ ცხოვრებიდან მაგ საკითხში. ეჭიდება ცხოვრების სიძნელეებს, შვილების სიყვარული უადვილებს ყველაფერს. პატარები არიან, ბევრი ფული უნდათ და ბევრი ზრუნვაც. შრომაა საჭირო თავდაუზოგავი. საღამოს შვილები წამოიზარდნენ დაჭაღარაც გაჩნდა, ეჭვიც იმის შესახებ, რომ ყველაფერი იცის. **(25-35)**

ოთხშაბათი---ცხოვრების ორომტრიალი გრძელდება, ქეიფი, მივლინებები, შეცნობა, სამეგობრო, ზოგი

მიდის ზოგი მოდის. ნერვიულობა, ღამის თენებები, იმედგაცრუება, დაწინაურება მერე ისევ შრომა, დაუფასებლობა. შემოქმედებითი ბრწყინვალება, უკრავს,მღერის, ქმნის. "სვამს, ჭამს კაცი არ არის მადლიერი"(იუმორი).

შვილების დაოჯახებაზე ნერვიულობს თან უხარია. საღამოს ჯანმრთელობას მიაქცევს ყურადღებას.

ის იცის რაც გამოუცდია და სავარაუდო რაღაცები რაც უფროსებმა უკვე დაანახეს. **(35-50)**

ხუთშაბათი---ორმოცდაათს გადასცდება, შვილები დაოჯახებულია ყველა, შვილიშვილებით გამოწვეული დიდი განახლებული სიხარული. დახმარება უნდათ, ორმაგდება ძალისხმევა, თაო და თაოც და ოჯახებოც. ჭაღარა იმატებს, ღვიძლიც იზრდება. ექიმთან ვიზიტიც იმატებს შედარებით. იცის თავისზე უფროსებს ვერას ასწავლის და ეცინება უმცროსების ჭკუის დარიგებაზე. **(50-65)**

პარასკევი--პენსია ახლოვდება, შვილიშვილებიც დასაქმდნენ (აწირაღა გაუჭირდება) საღამოს პენსიაზეც გავადა პატარა საქმესაც წამოიწყებს თავისას თუ გადაწყვიტა სახელმწიფო სამსახურიდან წამოსვლა, ადრე თუ გვიან მოუწევს. ერთობა როგორც წლოვანებს შეშვენის, მაგრამ ძირათადად მიჩვეულია შრომას, ეკლესიაშიც ხშირად დადის ყოველ კვირას. ჭირშიც არაკლდება არავის, გული ეწვის ეცლებიან ხან რა მიზეზით ხან როგორ. მშობლების ამბავი ძალზედ

განიცადა თითქოს დამთავრდა ცხოვრება, მაგრამ... საფლავებს უვლის და მომავალს მაგალითს აძლევს.

ის გაიგო, რომ არაფერი სცოდნია.**(65-75)**

შაბათი---სამოცდაათს გადაცილებულია, იუბილეებს შვილიშვილები უხდიან, ანებივრებენ, უხარია. ბუნებაშიც გადის, ერთობა, მიწასთან შრომით. სასმელს სვამს ისე ვეღარ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს. ამაყობს ბევრი დაულევია ახალგაზრდობაში და რას დააკლებს გამობრძმედილია, მაგრამ ხანდახან ერიდება, წამლები აქვს გამოწერილი "დასტა". პატივს სცემენ სამეზობლოშიც და სამეგობროშიც სიტყვა უჭრის, მოსაგონარიც ბევრი აქვს. ბიბლიის შინაარსი უკეთ ესმის ვიდრე უწინ. ამ ბოლოს გაუხშირდა პანაშვიდებზე სიარული და თითქოს შეეჩვია ყველას სიტყას აწევს "დროებით". ახსენდება ნათქვამი "იქაც კარგები უნდათ" თავად ცუდი არ გაუკეთებია და ისე "ვისაც რა უწერია" ეგეც არის მოკლედ.....

მოვლენებს თვალს ადევნებს ტელევიზიით და ნერვიულობს სადღა შეუძლია მაგდენი. ბოლოს ისევ სერიალებით ერთობა?! არა-- ქრონიკები და დოკუმენტური მასალა ურჩევნია, ცხოველთა სამყარო. საღამოს ოთხმოცს გადასცდება, არის ჭარმაგი, სახეზე შეწითლებული.

ისიც გაიგო, რო არაფერი არ იცის გარდა იმისა რაც მასწავლებელმა (ცხოვრებამ) ასწავლა და რაც დრო

გადის უფრო ბუნდოვანი ხდება რად მოვიდა ადამიანად და რატო წვიმად არმოვიდა. **(75-85)**

კვირა---ოთხოცდაათს მიუკაკუნა და შუადღემდე გადასცდა კიდეც, ცოტას დადის უკრძალავენ რამე არ მოიტეხოს და მერე ძნელია შეხორცება ამ ასაკში. ხელისგულზე ატარებენ, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ართობენ, ეკითხებიან პატარობის ამბებს აყოლებენ ამბებს ზოგი ავიწყდება, მაგრამ ძირითადად ახსოვს ყველაფერი. თავადაც უკვირს ეხლანდელი რაღაცეები ძირითადად ტექნიკა. დაფასდა შრომა და ჯაფა. ყველაზე დიდი ინვესტიცია შვილებში ჩადებული ამაგია. ათასში ერთხელ თუ გაიგებს ნაცნობის "არყოფნას" მისთვის ყველაცოცხალია და ელოდებიან. ფერი მკრთალი გაუხდა, საღამოს ასი წელი უსრულდება უნდა გადაუხადონ იუბილე. კარგა ხანია აღარ სვამს რაღა დროს ეგ არის ეხლა ერთი შთამომავლის ჩახუტება ურჩევნია მთელ დავიდარაბას, რადგან მერე ამ მონაგარში გააგრძელებს ცხოვრებას. თვითონაც ხშირად უგრძვნია წინაპრების ძალა კრიტიკულ მომენტებში, თითქოს იქიდან ლოცულობენ მისთვის და ხშირად სიზმრებიდან აძლევენ რჩევა-დარიგებას. მეტიც მშობლები ცხადშიაც შეუგრძვნია მაგალითად; რაღაცას, რომ უყურებს ხვაგან არის და ინსტიქტურად გაუკეთებია რამე ეგ უკვე თავის მშობლები არიან, რადგან ისინი გააკეთებდნენ, ის იმათი ხელწერაა და ბევრი სხვა მომენტი. ასე, რომ ხან ნიკა იქნება, ხან

დათო, ხან გიორგი, ხანაც ნინო და ა.შ. ყველაფერს თავისი დრო აქვს და მაინც ელოდებიან ოღონდ უკვე სხვა სამყაროში და მიიძინებს ღმერთთან წარსადგომად.

ის გაიგო, რომ ასი წლისაა და რა ცოტაა, თითქოს ერთი დღეც არ უცხოვრია. თუმცა სახლი ააშენა, ხე დარგო და შვილები გაამრავლა, სიკეთე სთესა რაც შეეძლო და არ გაბოროტებულა გაჭირვებების მიუხედავად, არ მოუპარავს, კაცი არ მოუკლავს, ცოდვა არ დაუდია და სხვის გაჭირვებაზე თავისი კეთილდღეობა არა უგია. ერთი ადამიანისთვის საკმარისია რათა ამ ცხოვრებაში მარადიული მოსაგონარი დაეტოვებინა კონკრეტული მისთვის განკუთვნილი სახელით, მამის სახელით და გვარით, დაბადებისა და გარდაცვალები სთარიღით. **(85-100)**

ეპილოგი

.-ერთი ბებია სამშაბათს დაიღუპა 38 წლის, მანამდე პატარა ბიჭი გარდაეცვალა ორშაბათს გამთენიისას. ბაბუას ძმა , ბაბუა, მამა, ბიძა პარასკევს შუადღეს 62-68-68-67 წლისები მანამდე დიდი ბებია დაბაბუა 87-89 წლისები შაბათს ნაშუადღევს ასევე პაპაჩემი 83 წლის შაბათს შუადღემდე წავიდნენ.

ბებიას კვირა გაუთენდა და შუადღეს 95-ის გახდება, ღმერთმა მშვიდობიანი საღამო მისცეს და ორშაბათის გათენებას ვუსურვებ.

მინდა ჩემი ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა მშვიდობიანი იყოს, კორონავირუსის გარეშე.

ერთი კი დაგვანახა ადამიანებს სიკვდილის შიშმა, რომ დედამიწასაც სდომებია ყურადღება და დიდხანს სიცოცხლე, რაც დაბადებიდან ვიცოდით და ისე უნდამოვქცეულიყავით შეხსენება საჭირო არ ყოფილიყო.

რადგან ჩვენი ცხოვრება კვირის დღეებით წამია მისთვის, თუ გავუფრთხილდით, რომელიც გვინდა დავაგვირგვინოთ უშფოთველი შაბათ-კვირით, ის თვეები, წლები, საუკუნეები, უსასრულო იქნება ჩვენთვის და დაგვიფარავს შემოქმედი ღმერთი ერთი.

09.05.20.

ცხადი სიზმარი!

რა გქვია?
ლევანი!
სადაურია და რას ნიშნავს?
მე ქართველი ვარ!
სახელი?! სახელი უფრო ჩვენში ბერძნული და ებრაულ-ასურულია გავრცელებული. (ბიბლიურ-მითოლოგიური,ქრისტიანული, მართლმადიდებლური) ასევე დამპყობლებისაც ავითვისეთ ბევრი წლების განმავლობაში. ქართული; მგელიკა, ვაჟა, ბერო, ბოცო, ზვიადი და ქალის ; მთვარისა, მზისა, მზევინარი, ნათელა, იამზე. კიდევ არის...
ჩემი სახელი ბევრ ენაზეა წარმოებული ბერძნულიდან მაგ; რუს: ლევ, ინგ: ლიონ, ლეო. ესპ; ლეონსიო, იტალ; ლეონარდო, სომხ:ლიოვა, ლევონ. თურქ:ლევენთ. ალბათ ლომს ნიშნავს ცხოველთა მეფეა, ძლიერია.
-მოგწონს ძლიერის სახელი?
-კი.
-შენც ძლიერი ხარ?
-კი ძლიერი ვარ ვამართლებ სახელს (ღიმილი) ოღონდ ცოტა გავცივდი, აცივდა გათოვდა და ვერ გადავურჩი.
-ნუ გეშინია!
-არ მეშინია..მე როგორც ძლიერი და ცხოველთა გვირგვინოსანი სახელის მატარებელი, სამეფო ვირუსსაც გავუძლებ, უბრალოდ არ მინდა ვიყო მატარებელი ისეთისს ხვას შევუქმნა პრობლემა. დედა მყავს, მადარდებს!

გამეღვიძა ავდექი შეშინებული ეს „ძლიერი კაცი“ (ღიმილი), ვეცი ნიორს და დავრწმუნდი ჩემს სიძლიერეში. მისი სიმწარე და გემო ვერ გავიგე, ვძლიე თუ.....
...მერე მართლა ავდექი ცხადში და ჩემი ტვინის ნაჟურის მომერიდა. ნიორი ისეთი მწარე იყო გავუძელი და ისეთი არომატული, გონების ვამპირი, რომელსაც უნდა წამართვას ყნოსვა სათოფეზე არ გამეკარება კაი ხანს.
მადლობა ღმერთს! სურდო შემყრია სხვა არაფერი.....

"სთესდე სიკეთეს"

ეს ყველამ უნდა იცოდეს,
კაცურად უნდა ცხოვრობდე,
წინაპარს სანთელს უნთებდე,
მათ სულებს ეფერებოდე,
შვილებით ამაყობდე და
მონაგარს ეფერებოდე,
მტერს მტრულად უნდა ხვდებოდე,
მეგობარს ეხმარებოდე.
ბოძებას არ იშურებდე,
შურს და სიავეს ებრძოდე,
სიმართლეს სანამ იტყოდე,
ცხნის შეკაზმვა იცოდე.
სთესდე მოყვრისთვის სიკეთეს და
სიყვარულით იღწვოდე.

გურამ ბოცვაძე

ერთ პერიოდში დაიბადნენ გვერდი-გვერდ ქუჩებზე ცხოვრობდნენ. ერთს არაფერი არ ჰქონდა, ადამიანებთან სიბრძნე და სიკეთე დაჰქონდა. მეორეს სიმდიდრე ჰქონდა თავისთვის და თავი მოჰქონდა.
ერთს ხისგან გამოთლილი ჯვარი დაჰქონდა და თავი გაჰქონდა... მეორეს, წინაპრებისგან დანატოვარი "ტვირთი" ამძიმებდა და საკუთარი თავი ვეღარ დაჰქონდა.
დადგა ჟამი...პირველს ტირილით აცილებდა ქოხიდან მთელი ქუჩა და ხალხი სასახლეს ერთმანეთს ართმევდნენ.
მეორეს, ვისაც სიმდიდრით თავი მოჰქონდა, კუბო ოთხ დაქირავებულს გაჰქონდა სასახლიდან და სიმდიდრეს უცხო ჩინოვნიკები თავის სახელს არქმევდნენ.

ორივემ დატოვა წუთისოფელი... თუმცა ერთი გარდაიცვალა და დიდხანს ახსოვდათ, იკრიბებოდნენ ქოხში და იგონებდნენ. მეორე მოკვდა და საბოლოოდ უცხო პირებმაც ვერ გაინაწილეს სასახლე, რადგან იქაც იკრიბებოდნენ, ოღონდ მოჩვენებები.
ორივე ღმერთის შვილები იყვნენ! მხოლოდ დედამიწაზე აისახა მათი ცხოვრება სხვადასხვანაირად და შეფასდა "სიკვდილ-გარდაცვალებად", რადგან ცხოვრების სტილიც სხვადასხვა ჰქონდათ.
გვერდიგვედ დაასაფლავეს... მხოლოდ ვიზუალურად განსხვავდებოდა საფლავები. დანარჩენი ერთნაირად; ორივეს სააღდგომო კვერცხები ამშვენებდა და მისავალი მისდიოდა იმქვეყნად...
P.S. მხოლოდ ცხოვრებაში "პატრონიანებს" არ ახსოვთ ხალხი, ხოლო ხალხი, მისავალს უგზვნის და შენდობას უთვლის "უპატრონო" საფლავებს.. იქ ყველა ერთია....მაინც განსხვავებით; ერთი თავიდანვე პირნათელი იყო აქაც და იქაც, მეორეს აქ ანგარიშს უწევდენ და იქ კი ანგარიშს აბარებს....ვინ იცის...(?!)
ორივე ღმერთის შვილები იყვნენ!
უფალო ყველა შეიწყალე და შეგვიწყალენ ჩუენ! ამინ!

14.02.2020წ.

ნიკოლოზ ბოცვაძეს

პირველი ხარ სიხარული
და შენ გამხადე მამა,
ნიკოლოზობას დაბადებული,
ნათელფერების გამა.

შემოიტანე სახლში სიცოცხლე,
 მზე და მთვარეც ხარ თანა,
ნიკოლოზ დიდხანს იცოცხლე,
ვერ მოგერიოს ხარმა!

ნიჭიერიხარ, ყველგან პირველი,
 არ გევლოს განდაგანა,
ტანად დათვისა ხარ ბელი,
 შეგერგოს კარგი ჭამა.

დედის და მამის იმედო,
არ მოგკლებოდეს ძალა,
გფარავდეს ღმერთი, იესო,
მეტი რა გვინდა განა?!

გზა გევლოს წარმატებული,
წინსვლით, სწორად და წაღმა,
კაცურ ამბებით განათებული,
შენ გენაცვალოს მამა!
30.05.20.

დავით ბოცვაძეს.

ქრისტეშობას მოვლენილი,
მეორე ხარ სიხარული,
ბავშვი ენა მოსწრებული,
დავითი ხარ, დიდებული.

ნაკვთები გაქვს ბაბუასი,
ფერი-ხორცით დედულეთი,
ხასიათი მამიდასი,
არტისტობა ნათლიასი.

ხარვაჟკაცი გულიანი,
მამის დედის გულის ვარდი.
ბებიასთვის სულიანი,
(რადგან ერთად იძინებთ და)
აღარა გვაქვს შენი დარდი.

გაიხარე ჩემო ბიჭო,
გაიღრმავეა ნი-ბანი,
ძმათა შორის იმედ-ხიდო,
ბედნიერი გქონდეს გზანი.

01.06.20.

გიორგი ბოცვაძეს

გიორგობას დაიბადე ,
ხარ მესამე ჩვენი თვალი,
შენ სხვა ეშხით დაიფერე,
ხარ ბებიკოს ალი-კვალი.

გაგვახარე, ამით მარგი,
მშობლებისა არ გაქვს ვალი,
წარსულით და აწმყო კარგით,
დაგელოცოს მომავალი.

პატრიარქის ხარ ნათლული,
დიდი მადლით დანათლული,
მეორე კი, კობოსნიძე გური,
მეგობრობის სული-გული.

გიორგი, ხარ სულში გავლა,
სიარული გიყვარს ლაღად,
საყვარელი, თავანკარა,
ძმებში კი ხარ ნაბოლარა.

იამაყოს წინაპარმა,
შენით გევლოს, კარგი დღენი,
იდღეგრძელე შავთვალწარბა,
დაგელოცოს ეგ მარჯვენი.

დაგელიოს თუ გყავს მტერი,
გაგიმრავლოს ფუძე-ჭერი,
შენი ცოდნით, შენი გენით,
ააყვავე მთელი ერი.

გაიზარდე ჩემო ბიჭო,
ჯანმრთელი და ბედნიერი,
იყავ მუდამ სანაქებო
და იცოცხლე ასი წელი!
01.06.20.

კ ლ დ ე ი ს ი

ლეგენდა 10 წლისა საკში გაგონილი, სოფლის დასახელებაზე, ჩემს მეხსიერებაში ეკუთვნის, სოფელ კლდეისის მკვიდრ; ტუხო ძიას (ზაალ ასპანიძე). ჩვენ ჭიშკრთან სკამზე ჩამომჯდარნი; ბეგო პაპასთან (ბეგლარ ივანეს-ძე ჭალიძე), ვანო ძიასთან, ალავერდა (ციცა) ძიასთან, "პავლოვიჩთან" არჩილ-ა ძიასთან (ახლო-მახლო ტრიალებდნენ აკოფა (იაკობი) ძია, ლექსო ძია, ტატო და გიო ძია, ალექსა (ჩეჩია) ძია, რომანა ძია, შალიკო ძია (ყველას ჩამოთვლა მინდა, არავინ გამომრჩება, მაგრამ აქ გავჩერდები) რატომღაც ყველას ძიას ვეძახდი, პაპაჩემის ტოლები და ზოგიც დიდები იყვნენ) და რამოდენიმე დამსვენებელ ბავშვთან, რომლებიც ზოგი დარბოდნენ, მე კი გასუსული ვუსმენდი, ყვებოდა ჩემთვის ახალს და

საინტერესოს. იდუმალებას ამძაფრებდა მოპირდაპირე მხარეს მთაზე გაჩენილი ტყის ხანძრის ტკაცა-ტკუცი და შებინდებულზე მოწითალო უზარმაზარი ნაკვერჩხლის ელვარება თავისი სითბოთი (თემაც მაგიტომ გაიშალა სავარაუდოა). ჩემთვის პირველად იყო ხანძარი, მათთვის "პაპა-ძიებისთვის" მეორე თუ მესამე იყო. კვალიც ეტყობოდა, რადგან იმ ნახანძრალებში ბაბუცა ბებია (ბაბუცა მიხას-ასული ასპანიძე) სხვა ქალებთან ერთად, ნაძვის ხის ადგილზე გამრავლებულ მაყვალს და ჟოლოს კრეფდა აგვისტოს ბოლოსკენ. არდადეგებიდან დაბრუნებული იმ ლეგენდაზე ვფიქრობდი და ბავშვურად ლექსი დავწერე. წლების შემდეგ დავამატე და განვავრცე.

ისტორიული ადგილების თემები ამოღებულია და ეყრდნობა ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციას, ასევე გვარების წარმოშობაც მოძიებულია ქართული გვარების ისტორიულ მასალებიდან. მასთან დაკავშირებული ამბები და გარკვეული მომენტები სხვათა მონაყოლიდან არის ამოკრებილი. რადგან ყველაგვარი ჩემთვის ახლობელი და ნათესავია მინდა მოვეფერო ჩემებურად და გამრავლება ვუსურვო.

დასაწყისში გამოყენებულია მიხეილ მიხას-ძე ასპანიძის (ბებიაჩემის ძმის) პოემის "ჩემი განვლილი ცხოვრებიდან" რომელიც დაიკარგა. მის საპატივცემულოდ ჩავსვი პირველი სტროფი, რადგან ის გვახსოვს ყველას. ეს მოკლედ, ეხლა მოგითხრობთ ლეგენდას "კლდეისარზე" სადაც სოფელი კლდეისი დაარსდა;

"საქართველოში ერთ მთიან მხარეს
სადაც, რომ ხარობს ენძელა ია,
გადაჭიმული არის სოფელი,
იმას სახელად **კლდეისი** ჰქვია."

(ლეგენდა)

ერთხელ ვახტანგ გორგასალმა
ნადირობა გადაწყვიტა,
მან შეკრიბა მცირე ჯარი
და გაუდგა ვრცელ მინდორსა.
მოიარესარემარე, მთა და
მდელოც გაიარეს,მაგრამ
ნადირთა გზაკვალი ვერსად
ჰპოვეს იმ დიდ მხარეს.
ნადირობით დაღლილები,
შეეფარნენ ერთ დიდ კლდესა,
წაიხელმსეს პური ყველით;
და გამოჩნდა თეთრი შველი,
არ ესროლოთ! ბრძანა მეფემ;
წამს მოზიდა მშვილდ-ისარი,
თუმცა განზრახ ააცდინა,
იყო ლამაზ-მიუფარი.
ის ისარი კლდეს ჩაერჭო
შველმაც ნახა თავის კვალი,
აირეკლა თეთრად წყარომ,
ესე გაჩნდა "**თეთრიწყარო**".
(აქ იზრდება ჩემი ფანტაზიის წყარო).
განვლო წლებმა, ხალხმა ნახა,
სადაც ერჭო კლდეს ისარი,
იმ მთას გორგასლის უწოდეს,
იმ ადგილს კი "კლდეისარი".
ლეგენდაც ხომ ჟრუანტელს გგვრის,
ადგილს სიტყვა შერჩა წრფელი,
რადგან დღემდე კლდეისის
მკვიდრს, ეწოდება **"კლდეისრელი".**

(ისტორია)

ისტორიით ქვემო ქართლში,
სამშვილდეა საცნობარი,
გალავნებით შემორტყმული,
უძლეველი საოცარი.
კლდეკარი კი ცნობილია,
ბაღვაშების ერისთავით.
ბედენი და კლდეისია
გზა-კავშირი ამ ორს შორის,
ტყე-ბუნებით, ჩანჩქერებით,
თამარ მეფის საყინულით.
კლდეისშია **ღვთიმშობელის**
საყდრის, მოხატული ქვები;
"ქრისტე შეიწყალე! ივანე,
სპანდაღუდ და ქავთარ ტბელნი"
ამას მოწმობს ნანგრევები,
ლაპიდარულ წარწერებით.
ეკლესია, ოდითგანვე არსებული,
არის სოფლის წვერში-ველზე,
წმ.გიორგის სახელობის, აგებული
ქრისტიანულ საწყისებზე.
სოფლის თავში სალოცავი
უფრო გვიან ნაგებია, (სახელი **წმინდა ელია**),
გვალვის დროს ხალხი, ლოცვისას,
გვერდი-გვერდ მჭიდროდ დგებიან,
და გადმოცემის მიხედვით,
შემდგომ წვიმასაც ელიან!
"იორაბოსტნის" საყდარი და
სანთლის სანთები **ქვა-ჯვარი,**
ბევრი წყაროა; ქვედა,
ზედა და ნინოსი, დათვისა,
ანტონაველის-აღდგენილია სერგოსი.

წყაროა "**საყინულესი**",
ეგეთი ცივი სადარი?!
კოხტა-ველია, დიდ-ველი,
ჭალებითა და სერებით,
ლელიანი და ბური ტყე,
მაყვლიანი და ნაძვნარი,
კოპიტნარი და მუხნარი,
არსად არ არის მაგვარი!
მოსჩანს სოფელი, სხვაგვარი,
არე სამოთხის სადარი.

(გვარები)

ერთ დროს კლდეისს ჩამოსულან,
ძირითადად შვიდი გვარი;
ჭალიძეა მესხეთიდან
წამოსული, გომარეთში,
ზოგი რაჭის ჭელი-ღელით,
მოწყალე და მთქმელი-ბრძენი,
ხასიათით, ზოგჯერ-ფიცხი,
არა მრუში, არა ფლიდი.
(მაქსიან-ბეჟანაანი.)
მიქელაძე, იმერელი თავადები,
მკვიდრი შვილი სამტრედიის,
დავით ნარინის ვაჟის
ყოფილან მიქელი(ა)ს-ძეები.
„მიქელაძემ მეფეს ასვა,
სავსე კულით ღვინო,
და კულაშის ბატონები,
გახდნენ სრულად თვითონ“.
(აქ არიან ფიდაანი.)
ასპანიძე, სამცხელები,

გვარი დაბა ასპინძელი,
სულ საქმეში ჩართულები,
გულითადი მასპინძლები.
ისტორია უძველესი ტაოს
მთავარის ასპანის-ძის,
ზაზა ფანასკერტელ-ციცისშვილის,
("კარაბადინი"-სდამწერი)
მკურნალის შთამომავლები.
(აქ კიდე სელიმაანი.)
ოქროპირი, ჩოჩი, ჯოჯი, თედე,
ძმები, უცხოვრიათ ნარას ქედზე.
ოქროპირი დისევს მიდის
და მრავლდება ქართლში თვისი,
ოქროპირიძეთა გვარი,
ეკლესიურ მოძღვრების დროს,
ენა ტკბილად მოუბარი.
დისევიდან ჩამოსულა
გიორგი **ოქროპირიძე,**
თავისი გუთან-ხარებით,
სახითა ლამაზ-პირიმზე,
ალალი გულის კარებით.
(აქ არის ტეტიაანი.)
თამაზაშვილი არის გორშიც,
ზირაქაშვილ-ზირაქ(ა)ანივით
ნაცხოვრები გორში, ქსანში,
საგარეჯოს მოსახლენი,
კარგი პურის მჭამელები,
მოდგმა დინჯი კახელების.
გოგიჩაიშვილები ჩამოსულან
გურიიდან, ყაბალახი "გუუგდიათ"
თექი ქუდი მოურგიათ.
ზრდილობა და ადათ-წესი

არასდროს დაუკარგიათ.
იყვნენ გოგიჩას შვილები,
გოგიჩა გვიან მოსულა,
რაღაც თავის პრობლემებით,
უკან მოჰყვა ჟანდარმები,
რომ დაედოთ ბორკილები,
მაგრამ სოფლის ყველა გვარმა,
შეაგროვა დიდი თანხა
და დაიხსნეს ის საწყალი,
ვინძლო კაცი სულ მართალი.
(ესეც გოგიჩაანები.)
შემდგომ ბევრი დაემატა
რძლებიცა და სიძეებიც...
გვარ მარულა (მეგრულად კი ცხენოსანი)-
კალატოზი შვილნი
კუთხის მოყვარული.
ეს გვარები ნაკრებია
საქართველოს კუთხეების,
კლდეისს დღემდე მოჰყვებიან
უკვე მისი ფუძემდებნი.
იქვე **პატარა კლდეისსაც**
რქმევია ძველად **"ხორხები",**
სადაც მათ ნამოსახლარზე,
ჩასახლებულან ოსები.
(გადმოცემით თამარ მეფის,
ქმრის სოსლანის ახლობლები).
იქაც არის ნანგრევები,
ეკლესიის, იმ დროისა,
შეგვეწიოს მისი მადლი,
გიორგი და თედოწმინდა.
გაიხარე ქვემო ქართლო!
ბევრი ჭირის გადამტანო,

ზურგში მახვილ და ისრებით
 უძლეველო კლდეთაკარო.
კვლავ გიმრავლოს ოჯახები,
ძველი საყდრის ბრძენი-მრევლი,
მომავალშიც არ მოგშლოდეს,
კლდეისი და კლდეისრელნი.

თბილისი. **14.05.20.**
თამარობა.
ეძღვნება **ბეგლარ ივანეს-ძეჭალიძეს,** პაპაჩემს 92 წლის იუბილეზე.

სარჩევი

რედაქტორისაგან 1
ეძღვნება 3
რევაზ ძნელაძეს 4
ჩემი ლექსები 9
სიტყვებს მუდამ, რომ დაედოს რითმა..... 9
სიკეთე უნდა ადენთო 10
ხან დარია, ხან მათოვს 10
სიზმარს შევფიცე 11
მე თქვენ მიყვარხართ..... 12
აღმაშენებელს 13
მეფე თამარს 13
ილიას გზა 14
ვინერვიულე 15
ტრამვაი 16
17.05.1973. 17
ღვთიური ცეცხლი 18
ცხოვრების ტკბილი საარი 19
ნებისყოფა 20
ცაზე გალაკტიონი 21
ჩვენი საფიცარი 22
ორი ილია! 23
არ დაგანებებ 24
ამინ! 25
როცა... 25
წერე და ხატე 26
ფიროსმანი 27
სიზმრად ნანახი 30
მე თბილისისა მიყვარს ფესვები 31

ნარიყალა 32
სუფრა გურული 33
კეცებს მოიტანს ოჯახის მამა 34
შემახილი 35
ჩემი მუზა 36
ჩვენია, თუნდაც ცუდი გვიყვარდეს 36
ძველი წისქვილი 37
ვაჰ სოფელო 38
გაარკვიე თავად 38
დაყოფით მტრის გზა ნეტარია 39
ძალა ერთობაშია 40
90/90..... 41
9 აპრილი 43
„იყო და არა იყო რა“ 44
მე მიყვარს 45
მუნკის კივილი 46
მედროვე 46
კორინთოელი 47
გოგონა მარგალიტის საყურით 48
მხატვრის თვალი 49
ვან გოგის მზესუმზირები 50
ლეონარდოს ჯოკონდა! 51
ნატვრისთვალი 52
ტანს ჟრუანტელმა გადამიარა 53
ვიყავი მხოლოდ 54
მეუღლეს 55
პირველი მარტი 56
დღეს პირველი აპრილია 57
იბნ სინა 57
პურ-ღვინო 58
შემოდგომა 59
მირზა 59

საქართველოა 60
საშკა იოსელიანს და ლევან აბაშიძეს 61
დიდება ომში დაღუპულ გმირებს 62
კლდეისს 63
დავით ჭალიძეს 64
წმინდა მარიამ 65
ერთხელ ღრუბელმაც ინაზა ქალში 66
ეძახიან ცას! 66
1941 67
სახლი 67
წვიმის წვეთები 68
ჭექა-ქუხილი 69
ხმელი ფოთოლი 70
ბაბუაწვერა 71
ჩემი არჩევანი 72
ავან-ჩავანი 73
თბილისი 74
ქვარნალა 75
თბილი სიო! 76
თბილისური 80
ყარაჩოღელი 83
თბილისის ბურჯი 84
სადღეგრძელო!!! 85
ჩემად ნაფიქრი ბროწეულები 87
ათოვს მარტში თბილისს.....88
"ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას..."..... 89
ერთად დასაქარგი 90
(ამბავი პირველ ჯაყელთა,
გვარად ბოცვაძედ გაგრძელებისა).....92
ნ ო ღ ა 95
ოთხი ეზო და ია-სამანი 98
ჩოხატაური 100

ა რ დ ა დ ე გ ე ბ ი 101
უარყოფილი ზამთარი 106
გაუსვლელ-გამოუსვლელი (ჩარჩენილი)..... 108
დარაჯები 109
ქართული თეთრი 110
მიწები გვაქვს ნოყიერი 111
შეუპოვარი 112
გვმართებს ერთობა! 113
ქართველები ვართ 115
მახვილ-კალმები 116
მხრები 117
მამის დალოცვა..... 119
ბიძის დარიგება 120
მონატრება 121
ნუ შეაგინებთ საკუთარ, თუნდაც სხვის დედებს!!! . 122
"რაც რამ მტრობას უნგრევია,
ლამაზს შეუჩერებია" 123
მეუღლე 123
სქოლიო 124
წყარო 124
შეგონებანი ჩემს თავზედ 125
შვილებს 126
ასოთწყობა 127
ბალანსი 128
ანდაზიური 129
სუბლიმაცია 130
ხარ-ხარი 131
მხოლოდ ღმერთის გეშინოდეთ! 132
ზღურბლი 133
განვეშორებით 134
ერბოქონი 135
სიტყვის ძალა 136

ამპარტავანი 137
ვიაროთ წინ 138
მაჭარიც ხომ ღვინდება?! 139
მსოფლიოს ვაზისუბანი 140
ყაყაჩოს გაფრთხილება! 141
მტერი და შინაური?! 142
პასუხი: „ნაქებ სიკვდილსა" 143
სეტყვა სიყვარულისა 144
და კიდევ ბევრი თანამედროვე 145
სიჩუმე 146
ღიმილის ბიჭი 147
დარაბებს მიღმა 148
ქარავანი 149
ოქროს აქცია 150
ფერშია წამის მარადისობა 151
ჭადრაკის დაფა 152
შეგნება 153
ქვიშის საათი 154
თანაზიარი. პიარი 155
სკეჩი 156
პატიოსანი თვალი 157
აზრი 158
ჰეგემონია 159
წმინდა გიორგი! 160
სულის ბანგები 161
ვიყავი მარტო 162
ლევანი 162
არა ომს!!! 163
1 დეკემბერი 164
ბრძენი ანტივაქსერი 165
გული უნდა გულობდეს 166
მაისი 167

ბეღურა 168
ლუარსაბ ბოცვაძეს 169
(კიდევ ბიჭია? ბიჭია, ბიჭი
და კიდევ ერთი ქართველთა ნიჭი) 171
ზეიკო 173
დრონი 175
„ამოსუნთქვამდე“-ს 178
8 მარტი 186
მე მოვიგონე სიზმარი 187
ლევანს 190
ლევანს 192
თუნდაც ციოდეს 194
დედიძმას გენად ჭალიძეს 195
მამაო სერაფიმე ფილიას
„შიშველფეხება მწერალი“ 196
სოფიოს 200
სიცოცხლის იშტა.....201
ქართულო სულო.....202
ძმობის სადღეგრძელო.....203
სვეტიცხოველი.....204
მომენატრა.....205
ტელეფისის ციხე.....206
გამოიდაროს.....207
ვაჟა-ფშაველა 162.....208
პოეტ ზ.მამულაშვილს.....209
როცა აყვავდა ნუში.....210
კლდეისის კოხტაველი.....211
პლიუს-მინუსი.....212
ვიწერდი პირჯვარს.....214
როდესაც. დაგაკვირდი.....215
წინასასიტყვაო.....216

ქართლელი პაპა და გურული ბაბუები.....226
ქელეხი.....232
იმიტაცია.....231
ვიბადებით კომპლექსების გარეშე.....234
ცაცა.....238
საკე.....244
ერნესტი.....247
გენდერი.....249
ძერჟინსკის კლუბი.....251
ტრიო.....254
არტოს ბაღი.....255
აგატი.....257
ოთარ რამიშვილი.....260
მამალი.....264
იადონი.....268
სისულელე.....272
კვირის დღეები.....282
ცხადი სიზმარი..... 289
„სთესდე სიკეთეს“.....291
კლდეისი.....296



ავტორი: ლ.ბოცვაძე

ბოცვაძეთა საგვარეულო ღერბი.

THE PRIZE
IVERIA
NOMINATION
NAME / Levan
SURNAME / Botkovadze
10
ANNIVERSARY